

ქსე



ლიტერატურული ჟურნალი

№2 (25)

ქსე

2015



OLE

მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

ჟურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა
სულხან საბა

ოლე – ახოში საჩრდილობლად დატოვებული
ხე
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევი

მთავარი რედაქტორი აკაკი დაუშვილი

რედაქტორები:
ფარნაოზ რაინაული
ნუნუ ძამუკაშვილი

მისამართი: 2200 თელავი
ერეკლე II-ის გამზირი №6
III სართული
მობ: 555 46 44 29
მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთი“
მობ: 558 48 24 80

„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ
ელექტრონული ფოსტით
E-mail: akakidau@mail.ru

ჟურნალის წინა ნომრების შეძენა
შეგიძლიათ რედაქციაში

ჟურნალ „ოლეს“ ეს ნომერი გამოიცა
თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიცი-
პალიტეტის (მერი ბატონი **პლატონ კალმა-
ხელიძე**) და თვითმმართველი თემი თელავის
მუნიციპალიტეტის (გამგებელი ბატონი **ალე-
ქსანდრე შათირიშვილი**) მხარდაჭერით.



მარტი, ივნისი, სექტემბერი №2 (25), 2015



გამოდის სამ თვეში ერთხელ



„ოლე“ ლიტერატურული ჟურნალი



შინაარსი

წერილი რედაქციას

2. მანანა გობიშვილი, ედუარდ კაპერსკი.
ჩვენი „ოლე“ 10 წლისაა

მხატვრული ლიტერატურა

- 3. დავით კიკვაძე.** ლექსები
- 9. ნათია როსტიაშვილი.** ორი მოთხრობა
- 14. რამაზ ბორჩაშვილი.** ლექსები
- 15. მაია მახარაძე.** ლექსები
- 21. გიორგი ელიზბარაშვილი.** ჩვენებურად
შენწყალბებული. მოთხრობა
- 24. ლევან ლორია.** ორი მოთხრობა
- 30. ანა ერისთავი.** ლექსები
- 32. ნანა ქელეხიძე.** ლექსები
- 35. ნანა მარლიშვილი.** ლექსები
- 37. გიორგი ბერძენიშვილი.** ორი მოთხრობა
- 40. ნათია ჩუბინიძე.** მინიატურები
- 42. ტარიელ მარსვაშვილი.** ლექსები
- 44. თამარ კოლეიშვილი.** ლექსები
- 46. ზაქარია რაზმაძე.** ლექსები

ხალხური შემოქმედება

48. მაყვალა ზურაბაშვილი. ლექსები

დოკუმენტური პროზა

49. ნუზარ ვანიშვილი. არქეოლოგიური
მოგზაურობა ტაოში

თარგმანი

53. ალექსანდრ გორგოვსკი. დრო, ტირანები
და... ყველაზე ჭკვიანთა ხვედრი...

წერილები

55. ელისო ჭიჭიაშვილი. მოდილიანის
პოეტური ფერწერა

ხელოვნება

60. მანანა გობიშვილი. ჩვენი თანაქალაქელი
— გარი კუნცევი

ნიშნის წარდგინება

61. „საბავშვო ქრისტიანული ლექსების“
წარდგინება

გარეკანის პირველ გვერდზე
პანტანო (პანტია) დავითაშვილის ნახატი

ჩვენი „ოლე“ 10 წლისა

ათი წელია „სიკეთის მოციქული“ ჟურნალი „ოლე“ ყველა მკითხველის გემოვნებას აკმაყოფილებს. ჟურნალისათვის დასამკვიდრებლად ეს საკმაოდ დიდი დროა. „ოლე“ სახელს ამართლებს, ქართულ ძარღვიან სიტყვას ეფერება, აწრთობს, თავის ტოტე-ბქვემ იფარავს გადასარჩენად.

მახსოვს ჟურნალის დახვეწილი პირველი ნომერი და სიყვარულით ვინახავ, რადგან მასში მკითხველისათვის ბევრი საინტერესო მასალა გაჟღერდა.

შემოქმედის სიტყვა-ლოგოსი ღვთის საჩუქარია და ერის წინაშე დროულად ნათქვამი ჭეშმარიტი სიტყვა ღვთისმსახურებად უნდა მივიჩნიოთ.

ქართულ ენაშია ასახული ერის ისტორია, გონება და ზნე, ხალხის ძალა და მისი სიცოცხლე, რადგან „ქართული ქართველთ რწმენაა! ღმერთია! ბედისწერაა!“ ერის გადასარჩენად და მამულის დასაცავად ბასრ ხმალთან ერთად მასზე უფრო ძლიერი და მჭრელი სიტყვაც სჭირდებოდათ ქართველებს, კაცური სიტყვა, რათა ქართლი-ქართლად, ქართველი – მარად ქართველად დარჩენილიყო, მიწას, ერს და ენას მტრის ხელი არ შეეხოდა.

დღეს, ერის სულიერ-ზნეობრივი რყევის დროს, აუცილებელია მისაბაძი ცოცხალი ან გაცოცხლებული მაგალითების წარმოჩენა და გახსენება, რომ არ დავეცეთ და არ დავეკინდეთ. „ოლე“ მკითხველში რწმენის თესლის გაღვივებას ემსახურება. ეს ჟურნალი სიტყვიერების მასწავლებლად და მამულიშვილური მოვალეობის შემსრულებლად გვევლინება.

სულიერ ენერგიას, კეთილ ვნებებს, ხატოვან სიტყვას შესაფერისი ჭურჭელი სჭირდება და ეს თქვენი – ჩვენი ჟურნალია „ოლე“, რომელსაც ისევე, როგორც განათლების კერას დაცვა და მფარველობა სჭირდება. ეს შეიძლება ვანდოთ წრფელი გულისა და სუფთა ხელების მამულიშვილებს. „ოლე“ თავისი მრწამსით, უნდა იყოს ანბანი ზნეობრივი მოქმედების სულის წრთობისა. გულმონყალება გვჭირდება ყველას – დიდსა თუ პატარას, ერთმანეთის გადასარჩენად. სიუხვე კი ფარდობითია, უხვი დამოკიდებულია იმაზე თუ ვინ გაიღებს და როგორ გაიღებს. ადამიანური სიტყველენი ექსტრემალურ პირობებში გამოვლინდება. ჩვენი მკითხველის თვალი კი უტყუარია და სამართლიანი.

მიუხედავად ძველისძველი ისტორიული მატინისა, ჩვენ მაინც მომავლის ქვეყანა ვართ. თუ დღემდე რაიმემ მოგვიყვანა, ეს, მიწაზე მყარად ყოფნისა და საერთოდ, არსებობის პასუხისმგებლობის ძალაა.

ჟურნალი „ოლე“ მოგვითხრობს ადამიანებზე, რომელთაც თავისი ცხოვრების წესით დატოვეს „კვალი ნათელი“ ქართული ეროვნული თვითშეგნების, ჩვენამდე მოღწეულ სულიერ ფასეულობათა გადარჩენისა და განვითარების საქმეში. ყოველ ნომერში ახალი, საინტერესო მასალაა. აგრეთვე, „მოგონებები გარდასულ დღეთა“ კვლავ გვახსენებენ რანი ვიყავით, რა კულტურისა და სიმდიდრის პატრონი. ჩვენ ამის დავიწყება და დაკარგვა არ გვეპატიება. ღირსეული წარსულის ადამიანებს აწმყოცა და მომავალ-იც ღირსეული უნდა ჰქონდეთ.

ჩემი ნატვრაა, ისე ამაღლდეს ჩვენი ერი, რომ თვითშეყვარებით გააოცოს სამყარო!

„პირველად იყო ამ ქვეყნად სიტყვა,
და იგი სიტყვა ყოფილა – ღმერთი!
მზისებრ დიადი, ნათელი, წმინდა,
ყოვლის მომცველი და ერთადერთი“.

როსტომ ყენია

თუ არ აგვალეღვა ლექსის გუგუნმა და სული არ გაგვითბო ბრიალა სიტყვამ, გაგვიჭირდება ჩვენი მშვენიერი ბუნებისა და ცხოვრების აღქმა. პოეზიისა და პროზის შემოქმედთა კი გურამ რჩეულიშვილის გამონათქვამით მივმართავ! „ყველაზე კარგად კი მათგან ის დანერს, ვინც სხვაზე მეტად და ღირსებით იტანჯება, ვერმიღწეულის ვნებით შეპყრობილი“.

მრავალთაგან მეც მიწა ჟურნალის მესვეურთა მიმართ პატივისცემა გამოვხატო, პრინციპული და შეუპოვარი მუშაობისთვის ქართული სიტყვიერი კულტურის სადარაჯოზე. ღირსეულად და წარმატებით გველოთ ქართული სულიერების რთულ გზაზე.

**თქვენი მადლიერი მკითხველები:
მანანა გომიშვილი, პედაგოგი
ედუარდ კაპარსკი, არქიტექტორი,
თელავის საზოგადოებრივი დარბაზის წევრი**



დავით კიკვაია

დაიბადა 1988 წლის 27 ნოემბერს, ქუთაისში. დაამთავრა ამბროლაურის 22-ე საჯარო სკოლა. აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა პოეტურ კონკურსებში. გამოცემული აქვს ერთი პოეტური კრებული – „უდაბნოების პოეტი“. არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. ცხოვრობს რაჭაში – ამბროლაურში.



სიმორე

არა მხოლოდ შენ,
ახლა ჩემი თავიც შორს არის ჩემგან...

თუმცა გულზე მაინც მეფინები,
როგორც გაზაფხულის ნიაფი ხასხასა მინდორს.

მე გინვდი ყვავილს – ჯერაც გაუშლელს,
მზის სხივთა შემკრებს...

მე შენს თვალეში ვკითხულობდი საკვირველებას
და ვპოულობდი ოკეანეებს,
რომელთაც ფსკერი სულ არ გააჩნდათ
და იყვნენ ისე უძირონი,
ვითარცა ცანი.

ფრთხილად, ფეხაკრეფით გადავდივარ მორყეულ ხიდზე
და ჩემი ფიქრი უერთდება მდინარის ხმაურს
და ჩემი მზერა იკარგება ჰორიზონტს მიღმა,
სადაც შენ სახლობ – ტაძართან ახლოს
ერთ-ერთ შროშანში...

ოცნებად შერჩი დილის მზის ნათელს,
როგორც მე შემრჩა შენგან წიგნის ერთი ფურცელი,
რომელზეც წერია: ნუ მელოდები!

დავეხეტები საღამოთა უდაბნოებში,
წვება ბინდი და შლის თავის კარავს,
მე იგი მფარავს თავის დუმილით
და იღუმალი ჰაერის ჰანგებით მავსებს დღითიდღე.

დასაბამიდან
შენ თოვლივით და ფოთლებივით გროვდები ჩემში...

თვალთა სიღრმეში ცრემლებია ჩემი სულისა,
განთიადზე რომ ნორჩ ბალახზე არის დაღვრილი.

აი, ამ ხის ტოტებია ჩემი ხელები
შენს სახლთან ახლოს რომ შრიალებენ
და აპკურებენ შენში სიმშვიდეს.
ის წერო მე ვარ, რომელიც დაჭრეს, დაატუსაღეს
და შენს სახელს წერს ფანჯრის მინაზე.



ჩემი სუნთქვაა ეს თბილი სიო,
ყოველ საღამოს რომ ტირის და გეაღერებს.

ეს გულწითელა ჩიტი არის ჩემი გულიდან
ამოფრენილი საუფლო ლოცვა,
შენს კარებთან რომ წერილებს ტოვებს...

ეს ლექსებია ჩემი სულის ანარეკლები,
რომ ვერ თბებიან და სტრიქონებს ქარში კარგავენ.

გალაქციონი!

დაბადების დღის აღსანიშნავად

მე გავჩნდი შემოდგომის ყვითელ ფოთლებში
და ამოვედი ფოთლებიდან,
ვითარცა მთვარე თოვლიანი მწვერვალებიდან
და გავანათე ყველა ბნელი გზა,
შემდეგ გავხდი მზე,
მაგრამ სხივები დამიმსხვრია მარტის გრიგალმა,
თუმცა სინათლე არ დამკლებია,
პირიქით, უფრო მეტად გავბრწყინდი...
გავჩნდი ყვავილში,
რომელშიც იყო სპეტაკი თოვლი,
რომელიც სიმორცხვით ჩუმად დნებოდა
და მისი დნობა მავსებდა ცრემლით
და სიყვარულით...

მიედინებოდა დამდნარი თოვლი გაზაფხულისკენ
და მის დინებას მივქონდი იქით,
სადაც ქარები ლელავდნენ ცათა,
სადაც ტალღები მტბორავდნენ მარტის
და შენი ხელები ცურავდნენ ცვარში,
ხოლო თვალები მიაცილებდნენ
ჩემს ცოცხალ ცხედარს, ძვირფასო მერი!

* * *

*გოგონას, რომელმაც თვითმკვლელობის
შემდეგ გაიგო, რომ მიყვარდა...*

მე ვინც მიყვარდა, იგი მკვდარია.
ის ახლაც მიყვარს,
მაგრამ ეს გრძნობა საუკუნოდ არის უთქმელი,
ამ უთქმელობას ამხელს ის თუთა,
უხმოდ რომ შრიალებს აპრილის ბაღში...

მე ავედევენე უამრავ იმედს,
უამრავ სიზმარს და ოცნებათა აუხდენელ რიგს...

ჯერ ისევ თოვენ ქრიზანთემები,
ჯერ ისევ მოხოვენ გზის გაგრძელებას
მოგონებაში დარჩენილი მისი თვალები,
იმ გზის, რომელიც ხავსმა დაფარა,
იმ გზის, რომელსაც არ ჰყავს მფარველი,
იმ გზის, რომელსაც აღარ აჩნია
მისი სიცოცხლის ნატერფალები –
უკანასკნელად რომ დაგვიტოვა მდინარის სილამ...

ხეთა ტოტები უკაკუნებენ
ჩემი ოთახის მტვრიან ფანჯარას



და ჭიკჭიკებენ დილის ჩიტები,
მაცნობებენ რომ დადგა რიჟრაჟი,
ბალახმა უკვე ამოთქვა ნამი,
მინდორმა ცვარი ამოილოცა...

თუმცა არ მინდა მე გაღვიძება,
არ მინდა ცხოვრებას ისევ შევება,
რადგან მკვდარია მე ვინც მიყვარდა.

ის ახლაც მიყვარს,
მაგრამ ეს გრძნობა სამუდამოდ არის უთქმელი
და ეს დუმილი ვარსკვლავით ბრწყინავს ჩემს გულში,
რომლის ნაფლეთებს ტკივილები ინანილებენ.

ჩვენ...

1.
ჩვენ,
ხელისგულები არა გვაქვს მხოლოდ იმისთვის,
რომ პეშვებში ნყალი ჩავიგუბოთ და პირი დავიბანოთ...

ჩვენ,
ხელისგულები არა გვაქვს მხოლოდ იმისთვის,
რომ ერთმანეთს შევებოთ –
სილა გავაწნათ (ამისთვის საერთოდ არ გვაქვს),
ან მოვეფეროთ...

ჩვენ,
ხელისგულები არა გვაქვს მხოლოდ იმისთვის,
რომ მასში ყვავილების თაიგული გამოვიმწყვდიოთ...

ჩვენ,
ხელისგულები არა გვაქვს მხოლოდ იმისთვის,
რომ ტანი დავიბანოთ...

ჩვენ,
ხელისგულები არა გვაქვს მხოლოდ იმისთვის,
რომ დადლილებმა თავი ჩამოვდოთ და ფიქრს მივეცეთ,
ან კიდევ თვლემას...

ჩვენ,
ხელისგულები არა გვაქვს მხოლოდ იმისთვის,
რომ გავიშვიროთ, რათა დაგვეხმარონ...

ჩვენ,
ხელისგულები არა გვაქვს მხოლოდ იმისთვის,
რომ ძლიერი სიცილის, ან ტირილის დროს
სახეზე ავიფაროთ, სახე დავმალოთ...

ჩვენ,
ხელისგულები, პირველ ყოვლისა, გვაქვს იმისთვის,
რომ...

ლურსმნები დაგვაჭედონ!

2.
ჩვენ,
ფეხისტერფები არა გვაქვს მხოლოდ იმისთვის,
რომ წონასწორობა შევინარჩუნოთ
და მყარად ვიდგეთ, მყარად ვიაროთ...

ჩვენ,
ფეხისტერფები არა გვაქვს მხოლოდ იმისთვის,





რომ ვინმეს გავეკიდოთ,
ანდა თუ ვინმე გამოგვეკიდება, გავიქცეთ...

ჩვენ,
ფეხისტერფები არა გვაქვს მხოლოდ იმისთვის,
რომ ვინმეს ამოვარტყათ...
(თუმცა ამისთვის საერთოდ არ გვაქვს)!

ჩვენ,
ფეხისტერფები არა გვაქვს მხოლოდ იმისთვის,
რომ ფეხბურთის თამაშის დროს გოლი გავიტანოთ...

ჩვენ,
ფეხისტერფები არა გვაქვს მხოლოდ იმისთვის,
რომ წყალზე გავიაროთ, ბალახზე გავიაროთ
და დავტკბეთ...

ჩვენ,
ფეხისტერფები, პირველ ყოვლისა, გვაქვს იმისთვის,
რომ...

ლურსმნები დაგვაჭედონ!

3.

ჩვენ,
ქვეყნის აღმშენებლობა –
ტურიზმი,
მოზიდული ინვესტიციები,
სიტყვის თავისუფლება,
თავისუფლება ბიზნესის და სასამართლოსი,
თავისუფალი მედია,
დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნა,
მზარდი ეკონომიკა,
განვითარებული სოფლის მეურნეობა,
გაზრდილი ხელფასები და პენსიები,
დაბალტარიფიანი გადასახადები,
ვაუჩერები,
გაიაფებული სანვაგი და საკვები პროდუქტები,
გაიაფებული მედიკამენტები,
შემცირებული კრიმინალი,
რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა,
ანდა, ნატოსა და ევროკავშირში შესვლა კი არა! –

ჩვენ მხოლოდ სიყვარული გადაგვარჩენს!!!

დიდება რაჭას!

ხვლიდან მე სხვა ცხოვრებას ვინყებ
და რა თქმა უნდა, სხვაგვარად წერას...
მივხედავ ეზოს, მოვუვლი მიწებს,
რომ არ გაცივდეს მშობლების კერა,
რომ იყოს მუდამ ძლიერი, თბილი,
ვით მამის მკერდი და დედის კალთა,
რომ ვიყო სოფლის მკვიდრი და შვილი
და მეტად მწამდეს ერთობა სამთა...

დავანთებ ლუმელს, დავანთებ სანთელს,
ამომავალ მზეს შევხვდები ლოცვით,
მერე სიმინდს და ლობიოს დავთეს,
წერგებსაც დავრგავ, რადგანაც, რომ ცის
სუფევა გულში ჩამომეღვაროს,



შევიგრძნო მინის სინმინდე, მაღლი
და შევუერთდე მე იმ სიმღერას,
რომელიც სულში ცრემლებად ჩამდის...

მერე კი, დავწერ სტრიქონებს ისეთს –
განმაცდევინებს ბოლომდე მის თავს,
ვისაც მივუძღვნი ყვავილებს, ფიფქებს
და ვინც ჩემს სისხლში თევზივით ყვინთავს...

წლებია უკვე, შევეშვი კანაფს,
წელზე მეტია შევეშვი სასმელს.
არ მინატრია ცხოვრება ქალაქს
და არც ვინატრებ! აქ ვუსმენ შაშვებს,
ბელურებს, მერცხლებს, ძაღლების ყეფას,
მდინარის ხმაურს, ფოთლების შრიალს,
აქ მზეც სხვანაირ სხივებს ღვრის ჩქეფად
და აქ სუფრასაც სხვანაირს შლიან.
აქ სხვა ცაა და სხვა ვარსკვლავები,
სხვა ღრუბლები და სხვა მთვარე, ჰავა.
მე მასწავლიან სიბრძნეს ბავშვები,
უბრალოებას და გულში ჰყვავის
სასუფეველი უუთეთრესი,
აქედან ცისკენ სინათლის გზა ჩანს...
და აივანზე ვდგები, ხელებს ვშლი
და ჩუმად ვამბობ: დიდება რაჭას!

სალამოს ისევ გადაშლილ წიგნებს
დავუბრუნდები, როგორც ტბას წერო.
ხვალდან მე სხვა ცხოვრებას ვიწყებ
და რა თქმა უნდა, სხვაგვარად წერას...

მე, ქარი მხოლოდ ლექსებში მიყვარს
და მაშინ, როცა ჩუმია, არ ქრის...
ცა ყოველივეს უყვება მყინვარს –
სასწაულები არსებობს რაც კი...

მწიფდება წვიმა, ვით მინდვრის მარწყვი,
წამოვა თავსხმა და გაჰბანს წიფელს,
წიფლის ფოთლებით მე შენთვის დაწვნი
გვირგვინს გულისას და ერთად ვიფრენთ...

განშორების და დაკარგვის შიშით,
გემახსოვრება, გითხარ: შევერთდეთ...
და თავისუფალ, თუმც მძიმე ფიქრში
შენ სანთელივით ჩამომელვენთე

და დღემდე სულში წვეთ-წვეთ მელვრები,
ხან მოვარდები, ვითარცა ღელე.
შენს ყლორტებს – ხელებს ვერ შევეხები,
ვერ შევეხები დიდი ხნის მერეც...

სამრეკლოს ზარი გამოსცემს იმ ხმას,
რომ აცახცახებს სიმშვიდეს ტაძრის...
მე, ქარი მხოლოდ ლექსებში მიყვარს
და მაშინ, როცა ჩუმია, არ ქრის...

ჰო, დღემდე სულში გროვდები წვეთ-წვეთ
და ფანტელ-ფანტელ. დილით ისევ იმ
ამომავალ მზის სხივებში შევხვდეთ
მომავლინებელს ჩვენში მოვლენილს...

ხეებს ფოთლები სწყდება ტაძრებთან...
ასე იყო და ასე იქნება...
ათინათებით თავს დაგვათენდა
და მე ამ ლექსში გკონავ სიტყვებად

და მე ამ ლექსის გეძებ სიტყვებით,
ვით შემოდგომის ყვითელ ვერხვებს მზე...
შენ იფურცლები, როგორც წიგნები
და წიგნებივით მაინტერესებ.

მე ჩემი თავი ცისაკენ მიმყავს,
ბილიკს ვიკვალავ კალმით და ფანქრით...
მე, ქარი მხოლოდ ლექსებში მიყვარს
და მაშინ, როცა ჩუმია, არ ქრის...

მათოვდეს შენი თვალების თოვლი,
მანვიმდეს შენი თვალების წვიმა...
მე მოვდიოდე ყვავილთა კონით,
ცაზე კი ჟღერდეს გაბმული სიმად
წეროთა გუნდი. და თოვლის გუნდა
ნასროლი შენგან, დამქონდეს გულით
და სიყვარულის სპეტაკი სუნთქვა
ჩაგუბდეს ჩვენში, ვით სისხლის გუბე.

წარიელი სოფელი

სოფელი ისე ცარიელია,
რომ ვერ შეხვდები უცნობს და ნაცნობს,
წყაროსთან უკვე აღარ მღერიან
„მრავალჟამიერს.“ მოხუცო კაცო,
შენი დამჭენარი, სუსტი ხელებით
მონაგროვები თივის ზვინები
დგანან, ვით სოფლის მოგონებები
და როგორც სოფლის ძველი სიზმრები.
სიზმრებში ხედავ წარსულის კადრებს,
იმ სინამდვილეს, რაც იქცა ფერფლად:
ერთ დროს ბერტყავდნენ ბუმბერაზ კაკლებს,
ყველა ეზოში ბომბორა ყეფდა.
ყველა ეზოში დარბოდა ბავშვი
ხან ჯოხის ცხენით, ხან კიდევ ბურთით,
წისქვილებს ფესვი გაედგათ წყალში...
ყანებს კი ხნავდნენ ხარით და გუთნით.
ხოლო თონეში აცხობდნენ შოთებს
თავსაფრიანი მანდილოსნები...
მდელოებზე კი ცხენები რბოდნენ,
ეკლესიებში ჩქეფდა „ოსანა“.
სოფელი მსგავსი მაგალობელ შაშვის...
ეზოდან ეზოს ყივილი მამლის
გადასწვდებოდა და ასე კავშირს
დაამყარებდა. შემყურე ამის
ხარობდა ღმერთი, ხარობდა კაცი
და იდგა ტკბილი გალობა ცაათა.
ახლა სოფელი ბუდეა ნაცრის,
ის ძველი სითბო დღეს არის სადღა!
სოფელი ისე ცარიელია,
დარჩენილია იმედად ერთის
ან კიდევ ორის. მტვერს შეერია
ის ძველი წლები და ბურუსს ერთვის.



ბუნება ფეთქავს – ხან წვიმს და ხან თოვს
კაცის ფიქრები რომ გაიტაცოს...
ამ ცივ ზამთარში სრულიად მარტო
ხარ დარჩენილი, მოხუცო კაცო.

სავალონელი შენთვის

ახლა ეს ღამე ისე სავსეა მთვარის ნათელით,
როგორც მე შენით,
შენი სითბოთი და სუნთქვის მუსიკით.

შენ სანთელივით ანათებ ოთახს
ჩამობნელებულს, ჩანყვდიადებულს
და აშრიალებ ოთახის ფოთლებს
გაშლილ თმებივით,
მათ ამჩნევია ნათითურები
და ბაგეების წმინდა სისველე.
უმოდრავს ხდი ოთახის ჰაერს
ისე ატყვევებ უმსუბუქესი ფრთების ფარფალით,
ხმით და გალობით.

გარიჟრაჟისას, როცა იღვიძებ,
მაგ თვალებიდან ცისარტყელებად
იფრქვევიან სამყაროები
და გიმღერიან მზის სხივები ჩიტების ენით,

და მე გამსგავსებ
ტაძრის ნანგრევებში ამოსულ ყვავილს,
რომელიც სივრცეს ეპოტინება
თავის სიჩუმით და სურნელებით.

ღმერთიდან ჩემამდე მანძილი – ნულია.
ჩემიდან ღმერთამდე – უთვალავი კილომეტრი,
თითქმის მთელი უსასრულობა...

მოლოდინი

როგორც თოვლი თრთის
გაზაფხულის საამო მზეზე,
სწორედ ისე თრთის ჩემი სული
ქრისტეს მოლოდინში,
რომელთანაც შემახვედრებს გარდაცვალება.

თოვს რაჯაში

ამავსე შენით,
თორემ უკვე დავცარიელდი
უსივრცეებოდ და სიმარტოვით.
როგორც მდინარე, დიდდება იმედი
და ჩემში მდინარებს. ახლაც ცას თოვლის
სურნელი ასდის და სისპეტაკეს
აფრქვევს ფიფქებად და ეფინება
მთებსა და მინდვრებს, სახლებს, სენაკებს, –

ამის შემყურეს არ მეძინება
და შენ გნატრულობ, რომ სივრცეები
ვიხილოთ, ვიგრძნოთ, მივისაკუთროთ,
ვილტვოდეთ ცისკენ, როგორც ხეები,
ანგელოზებს რომ იქაც წავულოთ
ჩვენ სიყვარული და თანაგრძნობა,
მათგანაც მივილოთ იგივე წრფელი
ფერება, სიტყვა და სათნოება,
რომ დავილოცოთ მათივე ხელით.
ასეა, თოვლი სულშიც გროვდება,
გატკბობდეს, მაგრამ მაინც იდარდო
ვილაცის მოსვლა და განშორება...
ეს ყოველივე რომ განვიცადოთ,
უნდა შევერწყათ იმ მივიწყებულ
მთათა სავანეს – სამოთხეს რაჭის.
ეს სიყვარული შეუნდე ჩემს გულს.
ნუ წახვალ. დარჩი.

ფიქრის მინდორი

შეუცნობი და იდუმალია
წყალზე ტალღათა გალივლივება...
ცა დიდია და თან დაბალია...
ის ღრუბლებს ისხამს ხშირად მძივებად,
ხოლო ღამით კი დიად ვარსკვლავებს,
ჩვენ რომ გვხიბლავენ მუდმივ ციმციმით.
შენ არასოდეს დაგიმაღავ მე,
პირიქით, გაგიმხელ, შენთვის გვირილის
და იასამნის ბალი მოვნახე
ტკბილსურნელებით შენაზავები.
ლექსით სავსეა ჩემი ოთახი,
გულიც, სამყაროც, სადაც ზარები
რეკენ ყოველდღე და შენ გიხმობენ,
მაგრამ არ გესმის, ანდა კი გესმის,
მაგრამ არ ისმენ. ფიქრის მინდორზე
ვშრომობ, ვაშენებ სახლს ისევე ლექსის.
ფიქრის მინდორზე ვაშენებ ლექსის
ვენახს და ყანას. სანამდე სამანს
გავსცდები, მანამ მე სიტყვით ვერწყმი
და სიტყვით ვეტრფი მშობლიურ ანბანს.

ჰო, ასეთია მარტოკაცის მთელი ცხოვრება –
კარგად იცის, არავინ მოვა,
მაგრამ მაინც
გამუდმებით ზის ფანჯარასთან
და გზისკენ ცქერას თავს ვერ ანებებს...

ჩვენ, დამსხვრეულებს
უფალი შეგვაგროვებს ნაწილ-ნაწილ,
წვეთ-წვეთ შეგვკრებს,
ნამცეც-ნამცეც თავს მოგვიყრის
და თავის პემეში გაგვამთლიანებს.



ნათია რუსთიაშვილი



ფულს აგროვებს ერთი კაცი

ფულს აგროვებს ერთი კაცი. აგროვებს და თან ფიქრობს: „აი, როცა იქნება, მომიგროვდება გარკვეული რაოდენობის თანხა. საქველმოქმედო ფონდს დავაარსებ. „ერთი კაცის ფონდი“ ერქმევა. დავეხმარები ღარიბ-ღატაკებს, უსახლკარ-უთვისტომ-უყველად-როებს. ხელს გავუმართავ ღატაკებულ ინტელიგენციას: ექიმებს, პედაგოგებს, მეცნიერებს. მერე თავსაც მივხედავ. იქნებ დავოჯახდე კიდევ, ამ სიბერეში“.

ფულს აგროვებს ერთი კაცი. აგროვებს და თან ფიქრობს:

„არა, ჯერ თავს მივხედავ, მერე ღატაკებულ ინტელიგენციას და ბოლოს, იქნებ დავოჯახდე კიდევ, ამ სიბერეში. თავდაპირველად, კრემისფერს რომ ეძახიან, ისეთ კოსტიუმს შევიძინ და ამავე ფერის შლაპას, ბოლოებზე თავვისფერი კანტით. ახალი ხელჯოხიც მექნება, თუმცა... არა, გვიანია უკვე. შალვა ნუცუბიძემ, რომელიც ახალგაზრდობაში ყოველთვის ატარებდა ხელჯოხს სტილისთვის, ასაკში შესულმა მასზე უარი თქვა, ვინმეს არ ეგონოს, დავბერდი, დავუძღურდი და საყრდენად მჭირდებო. ჰო, კრემისფერი კოსტიუმი... ამ დროში გულისპირზე მიხაკს აღარავინ იბნევს, თორემ ამაზედაც შეიძლებოდა ფიქრი. სად არის ჩემი ჯიბის სარკე, ჩემი უტყვი მეგობარი? ჰო, აი, აქ ყოფილა... მდა... ახალგაზრდა, ვალიარებ, აღარ მეტქმის, მაგრამ ჯერჯერობით არც მთლად მამაჩემს ვგავარ, ასე არაა? ჰა, ჰა, ჰა! ხომ გახსოვს, მეგობარო, რას ამბობდა ამის თაობაზე მარკესი (შენთვის ხშირად წამიკითხავს მარკესი და არა მხოლოდ იგი): „გამიგონია, კაცი რომ დროთა განმავლობაში მამამისს ემსგავსება, სწორედ ეს არის სიბერის ნიშანიო. მე, ეტყობა, მარადიული ახალგაზრდობა მაქვს დაბეჭეული, რადგან ჩემი ცხენისებრი პროფილი არასდროს დაემსგავსება მამაჩემის კარიბულ პროფილს“.

ფულს აგროვებს ერთი კაცი. აგროვებს და თან ფიქრობს: „შეგროვილ თანხას ქველმოქმედებას მოვახმარ, ეს უდავოა. თუმცა, ურიგო არ იქნებოდა, ნაწილი საკუთრივ ჩემი და ჩემი მომავალი ოჯახის კეთილდღეობისთვის გამომეყენებინა. კეთილდღეობა, ანუ დღეთა სიკეთე – განა დიდებული სიტყვა არაა?... „დიდებული“ – ეს სიტყვა შენს თავს მაგონებს, მარგარეტო. ო, მარგარეტო... ნეტავ, სად ხარ ახლა და რისთვის ან ვისთვის იხარჯები?... ვნანობ, უაღრესად ვნანობ და გულზე ლოდად მანევს ჩვენი განშორება. მაშინ ორივენი ახალგაზრდები ვიყავით. ერთსა და

იმავე სკოლაში ვმუშაობდით მასწავლებლებად. მთელი პედკოლექტივისათვის მარგო იყავი და მხოლოდ შენი მონა-მორჩილისათვის – მარგარეტო.

ათიოდე წლის წინ ჩვენი სასწავლო ნაწილი შემხვდა. ხომ გახსოვს? უთუოდ გეხსომება... აშკარა იყო, არ ესიამოვნა ჩემი დანახვა. სანამ მივუახლოვდებოდი, თვალში საცემად სქელმინიანი სათვალე (აი, სიბრმავემდე მისული, მხედველობადაკარგული ადამიანები რომ ატარებენ, სწორედ ისეთი) სწრაფი მოძრაობით მოიხსნა, გამელოტებულ თავზე კი ქუდი დაიფარა. მერე უფრო მშვიდი, თავდაჯერებული კაცის მოძრაობით ძვირად ღირებული ლაბადა გაიხსნა და გაბლენძილმა, პიჯაკის გულისჯიბიდან მოოქროვილი საათი ამოიღო, ვითომდა დროის გასაგებად... ხომ გახსოვს, მარგარეტო, ყოველთვის შეძლებულად ცხოვრობდა და ამის დემონსტრირება ხიბლავდა... მე, მაღლობა ღმერთს, არც მხედველობა დამიკარგავს და არც ჩემი ქოჩრით ვარ უკმაყოფილო, ამიტომ მასთან შეხვედრისთვის დიდი მზადება არ დამჭირვებია. ერთი ეგაა, ფეხსაცმლის გაქლეტილი წვერის დამალვას დროდადრო შარვლის ჩამოქაჩვით ვცდილობდი. თუმცა, უნდა ითქვას – უშედეგოდ. ლაბადაზე არ მიდარდია, შელახული საყელო კაშნეთი მოხერხებულად მქონდა დამალული... ისეთი ტონით მომესალმა, თითქოს მის წინაშე უპატიებელი შეცდომა ჩამედინოს... იქნებ ასეცაა? შენ ხომ მრავალი წლის წინ ჩვენ ორს შორის ჩემს სასარგებლოდ გააკეთე არჩევანი, მარგარეტო?... თავს ძალა დავატანე და შენი ამბავი ვკითხე. მითხრა, რომ არ გათხოვილხარ... მაშინ ჩემი ელეონორა ცოცხალი მყავდა. ო, რომ იცოდე, რარიგ დამნაშავედ ვიგრძენი თავი იმის გამო, რომ მე მქონდა ოჯახური სიმყუდროვე, შენ კი მარტოობა გტანჯავდა. ახლა მეც მარტო ვარ, მარგარეტო...

აი, შევავგროვებ, როცა იქნება, საჭირო რაოდენობის თანხას და მოგეახლები. მდაბლად დაგიკრავ თავს, თავვისფერკანტიან შლაპას ჩემთვის ჩვეული ჯენტლმენური შესტით (ხედავ, თავსაც ვიქებ) მოგიხიდი, ოდნავ შესამჩნევად გაგიღიმებ და გეტყვი: „ო, მარგარეტო“... ხელკავით გავივლით ქუჩებს (შემოდგომა იქნება უთუოდ) ფოთოლცვენაში. თეთრად შეღებილ სკამზე ჩამოვსხდებით და შენ კეკლუცად მეტყვი: „რა ვქნა, ბატონო, ნავიკითხე, მაგრამ ვერაფერი გავუფე ამ თქვენს სანაქებო „ულისეს“. ნუ გამინყრებით, თუკი მასზე საინტერესო აზრის გამოთქმა არ ხელმეწიფება“.

ოჰ, რა გამახსენდა ახლა, რომ იცოდე! შენთვის თავის მოსაწონებლად მზად ვიყავი, უკადრებელი მე-





კადრა. წიგნაკში საგანგებოდ ვინერდი ჩემზე მილი-არდჯერ გონიერი ადამიანების გამონათქვამებს. ისეთივე მონდომებით ვიზეპირებდი, როგორც ჩემი ფრიადოსანი მოსწავლეები – პირისა და ბრუნვის ნიშნებს. განზრახული მქონდა, ხელსაყრელ მომენტში ჩემს სიტყვებად გამესაღებინა... იქნებ, ხვდებოდი კიდევ, მაგრამ შენი დიდსულოვნება ნებას არ გაძლევდა, ჩემთვის გეგრძნობინებინა. ერთხელ სკვერში ვსეირნობდით, უცებ ჭექა-ქუხილმა გააყრუა მიდამო. შემოგხედე და მიქელანჯელო ბუონაროტის სიტყვები დავიბრალე: „ცა მრისხანებს, რადგან ისეთ მშვენიერ თვალეში, როგორიც შენ გაქვს, ჩანს ისეთი გონჯი, როგორიც მე ვარ“. მინდა გითხრა, რომ ერთხელ მეც დაგიჭირე სხვათა სიტყვების მითვისებაში (სახელდობრ, ანატოლ ფრანსისა), მაგრამ აბა, როგორ შევიმჩნევდი... მახსოვს, შენს თავგადასავალს მიყვებოდი. აი, ის მოპარული სიტყვებიც: „ერთ ყმანვილ კაცს, რომელსაც ცუდ თვისებებთან ერთად ბევრი კარგიც ჰქონდა და მხოლოდ ამ უკანასკნელს აჩენდა, მე, ცოტა არ იყოს, მოვენონე...“

ო, მარგარეტ...

ფულს აგროვებს ერთი კაცი. აგროვებს და თან ფიქრობს:

„ელეონორა, ჩემო საბრალოვ, ვინ იცის, ციდან დამცქერი ერთდროულად გახარებული და დასევდიანებული თვალებით. გიხარია, რომ ქველმოქმედება განმიზრახავს და სევდა გეუფლებს, რომ არ გახსენებ. ხვალ მოვალ შენს საფლავზე და შენს საყვარელ მინდვრის ყვავილებს მოგიტან. მომიტევე, რომ საფლავის ქვა დღემდე არ გაქვს. აი, მოვაგროვებ გარკვეული რაოდენობის თანხას და...“

ჩვენი შვილები, გეცოდინება, უცხოეთს არიან. მათ მეც ისევე ვერ ვნახულობ, როგორც შენ. როგორც უფალმა შენ გაგმიჯნა ჩემგან, ისევე უფულოდ გამმიჯნეს მათაც თავისგან. არაფერს ინერებთან, მაგრამ ვიცი, რომ კარგად მოეწყვენ, შენ მანდ ნუ იდარდებ, გთხოვ...

ღმერთს მზა დარჩა ჩართული

მზე აჭერს უბედურად. დღისითაც და ღამითაც. თუმცა, სადღაა ღამე?..

გაუნძრევლად წვანან. თემო გვერდზეა გადატრიალებული. მის ზურგს უკან სიცხისგან მისავათებული თეო წევს გულალმა. ოდნავ განზე განეული ხელებიც გულალმა უწყვია, ანუ ხელისგულებით ზემოთ. შუშის თვალეებით მისჩერებია ჭალს, რომელზეც თეოს თვალეებისფერი შუშის მძივებია ჩამოკონწიალებული.

– რა გახდა ერთი ხეირიანი ასტროლოგი ან ღმერთი?! ან, რა ვიცი, ვინმე ციურ სხეულთა სპეციალისტი? – ჩუმად თქვა თეომ.

– ციურ სხეულთა სპეციალისტი არა, მეიხტიოზავრე...“

თემო სანოლიდან ადგა, მიხურული სარკმლის ღრიჭოში გარჭობილი სიგარეტი ფრთხილად გამოაცურა, დახედა და ისევ ღრიჭოში დააბრუნა.

– მოეკიდა?

ჭალისთვის თვალი არ მოუცილებია, ისე ჰკითხა თეომ.

– ნნ... იცი, როგორი რამეა?

– რა, სიგარეტი?

ყველასათვის ელენევ და მხოლოდ ჩემთვის – ელეონორავ! მიჭირს და მიმძიმს მარტოობა. მე, მოგეხსენება, ძლიერი მამაკაცი ვარ, სულით არასდროს დავცემულვარ, მაგრამ ახლა... ნუ გამინყრები, თუკი მარგარეტს შევირთავ. ეს ჩემთვის იქნება ისეთივე შვება, როგორც ხელჯოხის შეძენა კოჭლისათვის, სათვალისა – უსინათლოსთვის, პურის ლუკმისა – მშვიერისათვის. დაარქვი, რაც გსურს, ოღონდ არა – ლალატი. არამც და არამც, უძვირფასესო ჩემო – ელეონორა...“

ფულს ეძებს ერთი ქალი: ელვაგაფუჭებულ ხელჩანთაში, ჯიბეში, მეორე ჯიბეში, ბიუსტჰალტერისკენაც გააპარა ხელი დარცხვენილმა, მაგრამ ვერც იქ იპოვა. „ნუთუ ამომაცალეს? არა, ჩემი ხნის ქალს ქურდობას ვინ მაკადრებდა... ღმერთო, გამახსენე, სად შევინახე“. ნირნამხდარს ზურგს უკნიდან ქალის აქოშინებული ხმა ესმის:

– მარგო მასნ, მარგო მასნ! აი, ეს დაგივარდათ, – ყოფილი მოსწავლე გაქუცულ საფულეს უწვდის.

– ოჰ, გმადლობ, შვილო, გაგახაროს ღმერთმა.

საფულეს ხსნის და ფულს ითვლის: „ამით პროდუქტს შევიძენ... ამას შავი დღისთვის გადავინახავ... ამ დარჩენილი ღარიტ კი ვინმე ჩემზე გაჭირვებულს შევეწვევი“. ღარიანს იღებს და შორიხლოს მდგარ ჩაფიქრებულ მათხოვარს უგდებს ძველისძველ ქუდში. გზას განაგრძობს. მერე ტყვიანაკრავივით ტრიალდება. გახევებულს გაფართოებული სევდიანი თვალეებიდან ცრემლი უგორდება: „საბრალო, საბრალო... ალბათ, ვერც მიცნო“.

ფულს აგროვებს ერთი კაცი. აგროვებს და თან ფიქრობს:

„ესეც ლარი. როგორ ჰგავდა ეს ქალი მარგარეტს?! თუმცა, არა, ვერ იყო მასავით დიდებული... ასე, ღარს ღარი მიემატება, მოვაგროვებ საჭირო თანხას და მერე...“

– ოოო... მზეზე ვამბობ.

– ...

– აი, შენ რომ გაზზე ქვებს დგამ და მეზობლებში გადიხარ...

– მილიონი წელია, მეზობელთან არ გავსულვარ.

– ასაკის დაკონკრეტება საჭირო არ იყო.

– შენზე ათას ერთი ღამით ახალგაზრდა მაინც ვარ.

– შენ არ გესმის... პრობლემის ანალიზი გვეხმარება. შეიძლება პრობლემის მოგვარებაში არა, მაგრამ რალაცაში გვეხმარება, ხვდები? შიშის დაძლევაში, დროის გაყვანაში... მოკლედ, შენთვის გასაგებად რომ ავხსნა, ასეა: როგორც შენ, პირობითად, მეზობელთან გადიხარ და ჩართულ გაზზე ქვები გრჩება, ეგრე გავიდა ღმერთი და მზე ჩართული დარჩა.

– ხვდები, რომ სისულელე თქვი?

თემომ არაფერი უპასუხა. ეს ჩხუბიც მოზეზრდა უკვე. რალაცნაირად აღარ გამოდის. ცოლად რომ მოიყვანა, ურთიერთობა კარგად აენყოთ. ან იქნებ პირიქით, ურთიერთობა ისე კარგად აენყოთ, რომ ცოლად მოიყვანა. მერე თითქოს ველარ უგებდნენ ერთმ-



ანეთს. ეგ კი ზუსტად ახსოვს, რომ ვერგაგების ამბავი მას შემდეგ იყო, რაც ცოლად მოიყვანა.

„კონფლიქტსაც ისევე სჭირდება ორივე მხრიდან ხელშეწყობა, როგორც ურთიერთშეთანხმებას, – ფიქრობდა თემო, – თავიდან გამოგვდიოდა, ზუსტად ვიცოდით, როგორ შეგვეძლო ერთმანეთის გაცოფება. ახლა ველარ ვენყობით. ზუსტად არ ვიცით, რა არ გვესიამოვნება ერთმანეთისგან“.

მზე ზღვარგადასულად ვარვარებს. რაღაც ვერაა რიგზე. გარეთ მხოლოდ თვითმკვლელები გადიან.

„სიყვარულით გართობა მოგვებზრდა, ჩხუბი აღარ გამოგვდის, ასანთი და ზაფიგალკა გამოცალეთ. რა ვაკეთოთ? ახლა გაბუტვა სიგიჟეა. თუ არ ვილაპარაკე, გავგიჟდები“, – თემო „ვენტილატორს“ თვალს არ აცილებს.

– უნდა დავმშვიდდეთ, თეო. ძალიან გაგვიმართლა, რომ მეთექვსმეტეზე არ ვცხოვრობთ. ვინც მალაა, უფრო მალე ჩადნება.

„რა კაია, რომ მეცხრეზე ვართ! არ ჩადნებით!“ – მას მერე, რაც „ღმერთს მზე დარჩა ჩართული“, ეს პირველი პოზიტიური ფრაზა იყო, რომელიც თემომ გაიფიქრა.

– მეცხრეზეც ბლომად ჩადნებიან, – უთხრა თემომ „ვენტილატორს“.

თეო პირქვე გადატრიალდა, მოიკუნტა, ცხელი შუბლი გასაგრილებლად თბილ მუხლებს მიაჭირა.

– ვხუმრობ. უფრო სწორად, ვგონებამახვილობ. ცხრასართულიანები ვიგულისხმე, – თემომ „ვენტილატორს“ მიწებებული თვალები აახლირა და თეოსკენ გადაბრუნდა. გაოფლილი თითი ხერხემლის მალეზე ხტუნვა-ხტუნვით ჩამოაყოლა. გამხდარი იყო თეო... თემომ ამწუთას, ხერხემალზე „ჩამორბენის“ დროს იგრძნო, რომ თეო ისევ ძალიან უყვარს. შეიძლება იმაზე მეტადაც, როცა თვლიდა, რომ საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმუმით უყვარდა.

„აღამიანის შესაძლებლობები ამოუწურავია“, – გაიფიქრა.

– რა კარგია, რომ მეცხრეზე ვართ, – თემომ მეორე წრეზე დაატრიალა პოზიტივი, – რა კარგია, რომ ცხრასართულიანის კი არა, თექვსმეტსართულიანის მეცხრეზე ვცხოვრობთ.

– ანო!

თეო უცებ სანოლიდან წამოხტა და ტელეფონს ეცა.

...სახლის ყიდვა რომ გადაწყვიტეს, ამ სადარბაზოში ორი ოჯახი ყიდდა ბინას: მეცხრეზე და მეთექვსმეტეზე. თემომ მეთექვსმეტე აირჩია. სახურავზე სახელოსნოს გაკეთება უნდოდა.

– რალაცნაირად, შენთვისაც კარგია, – უთხრა თემოს, – აი, ძმაცკაცები რომ მოვლენ და ეტყვი: ჩემი ცოლი სახელოსნოშია, მალლა, ხატავს. რალაცნაირად, ამაყად ჟღერს. რა, არა?

– ნუ სულელობ, – ჩაეხუტა თემო. მაშინ ურთიერთობა აწყობილი ჰქონდათ, ჩხუბის აწყობის საჭიროება არ იყო, – იმაზე დაფიქრდი, ანოს რომ დაიბარებ საჭორაოდ, სადარბაზოში შემოვა და ლიფტი გაფუჭებული დახვდება. ეგ თავისი ასსამოცდათვრამეტსანტიმეტრიანი ქუსლებით მეთექვსმეტეზე ამოვა ფეხით? ეგრევე უკან გაბრუნდება!

– მეცხრე აქვეა, უცებ ამოიბრუნს, არა? – გაიცინა თემომ. ეგეთი პერიოდი იყო, თეო შეკამათების მაგივრად იცინოდა. თითქოს თვალებიც მაშინ უფრო ღია ცისფერი ჰქონდა. მერე ჩაუშუქდა ყველაფერი, თვალებიც, ხასიათიც...

ჰო, ბინა მეცხრეზე იყიდეს. მერე თემოს ძმაცკაცმა ვანომ თეოს დაქალი ანო ცოლად შეირთო და ის ბინა იყიდეს, მეთექვსმეტეზე. ოროთახიანი ბინა და ორი წყვილიც დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი, ანოსთვის.

– ანო!

თეო უცებ სანოლიდან წამოხტა და ტელეფონს ეცა. ვიდრე ნომერს კრეფდა, თემო ნერვიულად ისრესდა გაოფლილ შუბლს:

„რალაც ხდება. არა, რალაც რომ ხდება, გასაგებია, მაგრამ პლუს პირადად ჩემს თავს ხდება რალაც. უფრო სწორად, „თავს“ კი არა – თავში. აზროვნებასა და მეხსიერებაში მერხევა. საერთოდ არ გამხსენებია ვანო და ანო. ვთქვი „მეთექვსმეტე სართული“ და საერთოდ არ გამხსენებია ეგენი“.

– ზარი გადის, არ პასუხობენ... – შეშინებულმა თემომ თემოს გახედა, – ჩ... ჩადნენ?!

მზე იყო შეუბრალებელი და ხარბი. მთელ ცაზე გადაფაშვულიყო და არხეინად ვარვარებდა.

– რომ ჩამდნარიყვნენ, ზარი არ გავიდოდა.

თემო ზანტად წამოდგა, „ფორთოჭკის“ ღრიჭოდან სიგარეტი ნერვიულად გამოაცურა, დახედა და უკან შეაცურა.

რა ლოგიკა იყო ამ „რომ ჩამდნარიყვნენ, ზარი არ გავიდოდაში?“ იყო კი საერთოდ რამე ლოგიკა? ან ლოგიკური იყო კი ლოგიკით ხელმძღვანელობა, როცა მზე სრულიად ულოგიკოდ დამხობოდათ თავზე?

სანამ თემო ნერვიულობდა, თეო დამშვიდდა. აინონა-დაინონასავით ჰქონდათ ნერვები.

„რა კარგია, რომ მეთექვსმეტეზე არ ვიყიდეთ, – გაიფიქრა თემომ და ორჯერ ზედიზედ შერცხვა: პირველად – სინდისისა და ანოს, მეორედ კი თემოს წინაშე, – ჩემი ყველა უთანხმოება თემოსთან, ქვეცნობიერად, იმის ბრალი იყო, რომ გულის სიღრმეში ვერ ვპატიობდი, ბოლო სართულის ყიდვა და სახელოსნოს გაკეთება რომ გადამაფიქრებინა. არადა, ფაქტობრივად, მისი დამსახურებაა, ამწუთას გადარჩენის იმედი რომ მიბჭუტავს გულში თუ ტვინში.“

თეო თემოს გვერდით, მის გაშლილ მკლავზე წამოწვა და მშვიდად იკითხა:

– ნეტა, რამდენი დღეა, რაც გარეთ არ გავსულვართ? – თან ჭალს უყურებდა. დანოლისთანავე ჭალის ყურება რალაცნაირად, ბუნებრივ მოქმედებად ექცა. ისევე, როგორც ადგომისთანავე ფეხის ჩუსტში გაყოფა.

– დღეებს დაღამება-გათენების მიხედვით ითვლიან... – იმავე ჭალს ასჩურჩულა თემომ.

– ესე იგი მხოლოდ ერთი დიდი დღეა, რაც სახლში ვართ, – გამშრალი ტუჩი გაღიმებისას გადაუსკდა და სისხლის წვეთი ამოეზარდა თეოს.

„ორივენი ჭერს რომ ვუყურებთ, ამიტომაც დავინყეთ ერთმანეთის გაგება, – გაიფიქრა თემომ, – წელან რომ ამეხედა, ან თეოს ეყურებინა, ჩემსავით, ვენტილატორისთვის, „ღმერთს მზე დარჩა ჩართული“ სისულელედ არ მოეჩვენებოდა. იქნებ, სისულელეცაა, მაგრამ თეოს სისულელედ არ მოეჩვენებოდა“.

მოგუდული ყმუილი შემოესმათ.

– პაკოა, – თეო დაიძაბა, – როცა ძალლი ყმუის, მისი პატრონის სიკვდილს მოასწავებს. პაკო ქურჩისაა, მთელი კორპუსი მაგის პატრონები ვართ. ყველანი დავიხოცებით.

თვალის კუთხიდან ცრემლის წვეთი ამოუგორდა. ნელა, ზანტად. თითქოს მლაშე წყლის კი არა, ყელა-ტინის წვეთი იყო. ტუჩზე ისევ ედო სისხლის ნერტილი. არ ჩამოეღვარა, იქვე შედედა.

– ორგანიზმიდან წყალი ამომეხაპა, ნერწყვიც





გამისქელდა და ცრემლიც, – გამსკდარ ტუჩზე მიკრულ წვეთზე არაფერი იცოდა ჯერ, – თან პაკოც ყმუის. რატომ არ ვნერვიულობ? არა, კი ვნერვიულობ, მაგრამ ეს რა არის, ბევრად სერიოზულ „იზმენაში“ უნდა ვიყო. რატომ არ ვარ?! ესე იგი, რაღაც ვერ მაქვს მწყობრში.

ეს „რატომ არ ვარ?“ აუცილებლად „დააიზმენებდა“ იმ დროით, რამდენითაც ასეთ სიტუაციაში (თეოს აზრით) უნდა იყოს ნორმალური ადამიანი, მაგრამ თემომ არ აცალა, ხმამალა წამოიყვირა:

– პაკოა! ხვდები, ეს რას ნიშნავს?

თემომ მკლავი შემოხვია, თავზე აკოცა.

– მაგას კი ვხვდები, მაგრამ შენ რა გიხარია, ამას – ვერა.

– თეო, გადავრჩებით, თეო!

თემო ჩაეხუტა და ისე ძლიერად შეანჯღრია, თეოს წელანდელი ცრემლი მიძიმედ, მაგრამ მაინც ჩამოუგორდა ლოყაზე.

– ყმუის, პაკო ყმუის! პაკო ცოცხალია. ყმუილი ცოცხლების თვისებაა, თეო! გარეთ სიცოცხლე არ ჩამკვდარა!

სანამ თემო ბოლო ხმით გაჰყვიროდა, მოგუდული ყმუილი მოთქმა-ტირილში გადაიზარდა.

„გოდერძა!“ – ზუსტად ერთდროულად გაიფიქრეს. მარტოხელა, მოხუცი მეზობელი გოდერძა... ამათი ჭერი იმის იატაკი იყო.

თეო აკანკალდა. შუბლიდან წარბებისკენ ხტუნვა-ხტუნვით, მკვრივად დაიძრნენ ოფლის წვეთები.

– დამშვიდდი, აი, ხომ ხედავ, გოდერძაც ცოცხალია... – თქვა გაფითრებულმა თემომ.

– პაკო, ალბათ, სადმე გდია დაჩუტული... – თემომ წვალებით გადაყლაპა ნერწყვი, – აი, რომ გადავრჩებით, თუ გადავრჩით... მოვლენ დასუფთავებიდან და გზებზე დაყრილი ძაღლების ჩენჩებს ნიჩბებით აკრეფენ, როგორც ბლინებს ცხელი ტაფიდან.

– თეო!

– არ ვნერვიულობ, პოეტურ რაღაცას ვამბობ.

– რა არის პოეტური, დაჩუტული ძაღლების ტყავები?!

– არა, ეგ საშინელებაა. პოეტური ისაა, რაც მათგან დარჩება.

– დამშვიდდი-მეთქი!

თემომ თითები აათამაშა. ნერვიულად წამოხტა სანოლიდან, სქელი ფარდები ოდნავ გადასწია, გაიჭყიტა. მილიონი პროფექტორის ეფექტით ანათებდა მზე. თეო აღარ კანკალებდა, მშვიდად განაგრძობდა:

– და იცი, რა დარჩება პაკოს მეგობრებისგან? – ნახატები. მზისგან ჩამუქებულ, დაზაგრულ მიწაზე თეთრად დარჩება მათი პორტრეტები. ადგილები, რომლებზეც მათი ტყავები ეყარა, ნეგატივივით გამოჩნდება ჩვენი აივნიდან. ეს უნდა დავხატო.

თემომ მუშტი დაარტყა კედელს:

– გაჩუმდი!.. მოდი, დავკონცენტრირდეთ პრობლემაზე. რადგან პრობლემა გლობალურია, დავიყვანოთ ის ჩვენთვის გასაგებ, გამარტივებულ მოდელზე.

– გასაგებია. მე გავედი მეზობელთან, ღმერთს მზე დარჩა ჩართული... მერე?

– ჰო... რა ხდება ამ დროს? რა დღეში არიან ქვაბში მყოფი პროდუქტები? ჯერ არაფერი, მერე ცხელებიან, დუღებიან, წყალი შრება. მაგრამ მაქამდე საქმე არ მიდის ხოლმე. შენ, დიასახლისი, პასუხს აგებ შენს ქვაბზე. ამიტომ დიდი ალბათობაა, გამოიქცე მეზობლისგან და გამოართო.

– ჩვენ რა ეტაპზე ვართ, ვდუღვართ?

– არა, ჯერ მხოლოდ შევთბით, დრო გვაქვს...

– მეჩვენება, რომ სიკვდილის გეშინია, თემო...

თემოს სახეზე სინითლემ გადაუარა. იგრძნო, რომ თეო ვილაცაა. სხვა პლანეტიდანაა. არაფერი აკავშირებს ამ ქალთან, სულ გვერდით რომ უნევს და გვერდში არასდროს უდგას. ამ ქალს მისი არ ესმის, გარემოს ადეკვატურად ვერ აფასებს. მისი ამჟამინდელი მდგომარეობა მხოლოდ ჭალზე მზერამიყინულობისა და გესლის ნთხევის საშუალებას იძლევა. მას ფარული, ჩუმი ისტერიკა სჭირს.

„ცოდოა!“ – დაასკვნა ბოლოს და სიბრაზემ გაუარა.

– კაი და, გავერთე მეზობელთან და სულ არ მახსოვს ეს ჩემი ქვაბი? მაშინ რა ხდება? დავერებით, დაეინვებით, გავიჭვარტლებით, დავიხრუკებით... ასეა?

– გეყო! იცი, რა განსხვავებაა ჩემსა და შენს შორის?!

– არავითარი. უკვე არავითარი, თემო. ორივენი ერთ ქვაბში ვიხრაკებით...

ისევე ყმუილი.

– პაკოა, მოგვედებით! – დაიძაბა თეო.

– პაკოა, გადავრჩებით! – გაუხარდა თემოს.

ყმუილი შეწყდა და ზედა სართულზე რაღაც დაბრაზუნდა. ჭალი ოდნავ შეირხა.

– ჩვენი ჭერის ამოტრიალება რომ შეიძლება... გიფიქრია, ამაზე, თემო? თეთრი ჭერის მაგივრად გოდერძას მოუხეხავი იატაკი რომ ჩაჯდეს... და ჩვენი ეს უბრალო ჭალი როგორ სამოთხის ჯადოსნურ ხესავით გამოჩნდება გოდერძას ხრიოკ ოთახში...

თემო უსიტყვოდ დანვა. თეოს ზურგი შეაქცია და ისევე „ვენტილატორს“ მიაშტერდა.

– მიყვარხარ, – ჩუმად თქვა თემომ და მოეჩვენა, რომ მისი პირიდან ამოსულ სიტყვას, მზეზე გახურებული ასფალტივით, ბული აუვიდა.

– თემო, იცი, გამოსავალი მოვიფიქრე, ანუ საშველი, იმ შემთხვევაში, თუ მე და ღმერთი გამოსართავად არ მოვბრუნდებით.

თემო ხმას არ იღებს. „ვენტილატორის“ ერთფეროვან მოძრაობას მისჩერებია და ფიქრობს: „ჩვენც ასე, წრეზე ვტრიალებთ მთელი ცხოვრება. ახლა – მით უმეტეს...“

– აუცილებელი არაა ერთმანეთში ჩამუშულები დავიხრუკოთ. მისმინე: როცა ქვაბი სავსეა (ჩვენი „ქვაბი“ კი ნამდვილად სავსეა. ჯერ მარტო ჩინელები რამდენნი არიან?!), დუღილისას წყალი ქვაბიდან გადმოდის და გაზს აქრობს. ჰოდა, მორჩა ხარშვა. ნავედით სამსახურებში.

„ეს ვარიანტი როგორ ვერ მოვიფიქრე?! ღმერთის ნების გარდა, სამყარო ფიზიკაა, ქიმიკა, მექანიკა... საშველი ყოველთვის არის!“ – დამშვიდებულ-დაიმედებულმა თემომ ხმამალა სულ სხვა რამ თქვა:

– ეგ არაა გამოსავალი. მერე გაზის სუნი წავა.

„რატომ ვუდგები ჯიბრში თეოს? რაღა აზრი აქვს?“ – თემო გულაღმა გადატრიალდა. ეს ორი მდგომარეობა ამოიჩემა: მარცხენა გვერდზე და გულაღმა. ჭერში ყურება უფრო ოპტიმისტურად განაწყობდა, ვიდრე ბალიშში თავის ჩარგვა. გაცხელებული გამაგრებლის, იგივე „ვენტილატორის“ ყურებაც, აშკარად უფრო სასიამოვნო იყო, ვიდრე ხორცცხელი და გამომეტყველებაგაყინული ცოლისა.

– არ გინდა, ალიარო, რომ გაჯობდე გამოსავალი მოძებნე. განსხვავებას ვერ ხვდები? დამწვარი ცოლი გირჩევნია თუ სუნიანი?

„რატომ მიდგება ჯიბრში თეო, რაღა აზრი აქვს?“



– პირადად ჩემთვის ორივე ერთნაირი დისკომფორტია, ცოლო.

„რამდენი ხანია, წყალი არ მოდის. ორივენი სუნიანები ვართ... – გაიფიქრა თეომ, – და მალე ორივენი დავინვებით, ამხელა სიცხეს ვერ გაუძლებთ,“ – თემოს გახედა.

– რატომ არ გვწყურია, თემო? ან სიგარეტს რომ ვერ ვენევით, რატომ არ გადავდივართ ჭკუიდან?

– მაგას თვითგადარჩენის ინსტინქტი ჰქვია. ჩვენმა ტვინმა იცის, რომ არჩევანი არ გვაქვს, ამიტომ, რომ დაგვიცვას, მოთხოვნის სიგნალებს არ უგზავნის ჩვენს სხეულს. ჩვენს უიმედო „მინდას“ ბლოკავს, – თვალეები დახუჭა. – „რა სისულელეები ვილაპარაკე!“

– მიყვარხარ, – თქვა თეომ და ისევ მოეჩვენა, რომ სიტყვას ალმური აუვიდა. ეს უკვე მეორედ და ისევ „მიყვარხარს“. ვითომ იმიტომ, რომ ყველაზე ცხელი სიტყვაა? იქნებ სხვა სიტყვებზეც ეგრეა და არ დაკვირვებია?

– თოვლი, – დაიჩურჩულა თეომ.

– რა?

– არაფერი.

არანაირი ბული, ალმური და ოხშივარი. ის კი არა, თითქოს ოდნავმა სიგრილემაც კი დაუარა ტუჩებზე.

შეთანხმებულებივით ერთდროულად დახუჭეს თვალეები. ასეთ დროს თვალეების გახელა-დახუჭვა ბევრს არაფერს ცვლის.

დამწვრის სუნი შეეზღაზნათ ცხელ ნესტოებში. სქელი ბოლი დახუჭული თვალეებითაც იგრძნეს.

თემო წამოხტა და სიგარეტს ეცა. მერე ოთახს მოავლო თვალი.

– მოეკიდა? – შეშინებულმა იკითხა თეომ.

– ნნ... ვენტილატორი გადაინვა.

– კიდევ კარგი, – ამოისუნთქა თეომ.

– რა „კიდევ კარგი“?... უვენტილატორობაც თითქმის იგივეა, როგორ ვერ ხვდები!

– შენი თეორია გვიშველის. ტვინი დაბლოკავს ჩვენს სურვილს „მინდა გაგრილება“.

„აინონა-დაინონა“ ძალაში რჩებოდა. თეოს მშვიდად დაწყობილი ნერვები თემოს ნერვების ყალყზე შედგომას მოითხოვდა.

– ეს კატასტროფაა! დასასრულია! კოსმოსი წყობიდან გამოვიდა და ჩვენი ვენტილატორივით მალე ბოლს გაუშვებს. საშველი არაა!

– დამშვიდდი, – ჭალს უთხრა თეომ, – სიგარეტის ეგ ღერია ჩვენი საშველი. იფიქრე მასზე, როგორც მაშველ რგოლზე. რადგან არ ეკიდება, ესე იგი, გარეთ არც ისე უსაშველოდ ცხელა. იფიქრე ამაზე და დამშვიდდი. მოეკიდება თუ არ მოეკიდება, ეს ღერი ჩვენი იმედია, თემო.

– არ მოეკიდა, გვიხაროდეს და რომ მოეკიდოს, მაინც? – ასე ირონიული ჩაცინება მხოლოდ მაშინ იცოდა, როცა არ უნდოდა, მისი სასონარკვეთა ვინმეს შეემჩნია.

– თუ მოეკიდება, მოვწევთ. არ თქვა, რომ ახლა ერთი ღერის მონვევაში სიცოცხლეს არ დათმობდი.

თავის მოტყუება იყო ეს ჭერში ყურებით ყურით მოთრეული ოპტიმიზმი. თემო პირქვე ჩაემხო ბალიშში. თეოს უშფოთველი ტონი აღიზიანებდა. როდის გაცვალეს როლები? სიმშვიდის შენარჩუნება და გამოსავალის ძებნა ხომ თემოს როლი, თემოს უპირატესობა იყო?!

– იცი, შენი რომელი ფრაზა მიყვარდა ყველაზე მეტად?... – თეოს გამაღიზიანებლად მშვიდი ხმა ჰქონდა. – „ჩემი მზე ხარ“...

– უნდა ვილოცოთ, – საკუთარი თავისთვისაც მოულოდნელად თქვა თემომ.

– ღმერთო, გამორთე მზე. ალლელუია... – თეოს ისტერიკული სიცილი აუვარდა. მშრალი ყელიდან სტვენისმაგვარი ხმა ამოსდიოდა.

გაღიზიანებული თემო მისკენ რომ გადაბრუნდა, თეო უკვე ტიროდა.

– დამშვიდდი, – თეოს თავი მკერდზე მიიდო თემომ, – თითქოს ისე აღარ ჩახჩახებს.

„ღმერთო, გამორთე მზე, ალლელუია...“ – გულში მექანიკურად გაიმეორა თეოს „ლოცვა“.

– უბრალოდ, თვალი შევაჩვიეთ... ამას აღარაფერი ეშველება, თემო. ისლა დაგვრჩენია, ბოლო ფრაზა ვთქვით. რამე ამ სტილში: „სიგიჟემდე მომენატრები, მეგობარო...“

თემო სანოლიდან წამოხტა. ფანჯრის ჩარჩოს მუშტი სთხლიშა.

„ღმერთო, გამორთე მზე! ალლელუია...“

ხელი სარკმლისკენ გაინოდა და გაქვავდა.

– მოეკიდა? – დაიჩურჩულა თეომ.

– მოეკიდა? – თქვა.

– მოეკიდა?! – იყვირა.

– გადავარდა... – დაიჩურჩულა თემომ.

თეო სანოლიდან წამოხტა.

– მოკიდებული იყო და გადააგდე, ჩემთვის რომ დაგემალა? – ტუჩები არ გაუნძრევია, თვალეებით ჰკითხა.

– დამშვიდდი. შეგნებულად არ მიქნია, მუშტი რომ დავარტყი, ეტყობა, მაშინ გადავარდა, – თვალიც არ დაუხამხამებია, ისე უპასუხა.

თეომ არ დაიჯერა.

„დაძაბულმა მიპასუხა. დარწმუნებული ვარ, მოკიდებული იყო და გადააგდო, რომ არ შემშინებოდა. თუ შეგნებულად არ გადაუგდია და სიგარეტი გაქრა, ესე იგი, მოეკიდა და ჩაინვა. ორივე შემთხვევაში გარეთ ყველაფერი დულს და მალე ყველაფერი დამთავრდება...“

თემომ ჩაიმუხლა. იდაყვებით ფეხებს დაეყრდნო, სახეზე ხელები აიფარა. წინ და უკან რწევას მონოტონური ხმა ააყოლა:

– ღმერთო, გამორთე მზე! ალლელუია... ღმერთო, გამორთე მზე! ალლელუია... ღმერთო, გამორთე მზე! ალლელუია... ღმერთო, გამორთე მზე!..

სადარბაზოსთან დავარდნილი სიგარეტი რამდენჯერმე დაყნოსა, თათი გაჰკრა და თავი მიანება პაკომ...



რამაზ ბორჩაშვილი

14



ქისტეთში

ულრუბლო ზეცა კამკამებს, –
თავისი ლურჯი კაბითა,
კლდეზე ჰკიდია ჩანჩქერი,
თეთრი, რძისფერი ქაფითა.

ნისლი ძლივს მოიზღაზნება,
თითქოს, მგზავრია გვიანი,
ვერცხლივით ბრწყინავს აქა-იქ
მწვანე ბალახი, ცვრიანი.

მზემ მალლით გადმოიხედა, –
ლამაზი სხივთა ჩქერითა,
ისე კობტაობს ტყე-ველი,
კაცი ვერ ძლება ცქერითა.

მოდიდებულა მდინარეც,
ზედ ზვავის ცრემლი აწვიმს და
ხმა მედიდური, ამაყი,
ისმის სვავთა და არწივთა.

შავლეგა ციხე-კოშკებით
მოჩანს ალაზას სოფელი,
დაბლა დაჰყურებს საჯიხვე –
ქედებს, ცხვარ-ძროხით მოფენილს.

სიმშვიდე დავანებულა,
კვალიც აღარ ჩანს სიავის,
ბილიკს ლილინით მოჰყვება
გალაღებული ნიავი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის

სიცოცხლეს, დასაწყისიდან,
ბევრზე ბევრი აქვს სავალი,
ვით, – დღემდე, დღეის შემდეგაც,
წავა, წამოვა მრავალი.

ზოგ-ზოგი: ქვეყნად გუგუნებს,
ბაყბაყდევობს და რაინდობს,
მაგრამ... დადგება ის წამიც,
მსახვრალი რომ არ დაინდობს.

ვილა შერჩება, ბოლომდე,
ამ ველ-მინდვრიანს, ან ამ მთებს,
შენ კი, შორ სავალს, მგოსანი –
აბრწყინებ, ლექსით ანათებ...

ქალაყ

ქალაყ, ქალავ, – მზისდარო,
გააშუქურე წამს ცაო,
შენი თვალების ლადარმა,
დამათრო, უცებ, დამწვაო.

შემოვიარე ხმელეთი,
ეგ სხივი მდევდა თანაო,
ბევრია – მთვარე, ვარსკვლავი,
ვერ ვნახე – შენისთანაო.





მაია მახარაია



დაიბადა ქობულეთის რაიონის სოფელ ციხისძირში.
 1981 წელს დაამთავრა ბათუმის ნ. კანდელაკის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი.
 1990 წელს დაამთავრა თბილისის ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის
 საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტი – გამოყენებითი და ხელოვნებათმცოდნეობა.
 გამოცემული აქვს პროზაული და პოეტური კრებულები. მუშაობს დრამატურგიაშიც.

სიზმრისა და სიყვარულის მონოლოგი

...სიჩუმემ, შენამდე მატარა...
 უჩვეულოდ მომხიზლავი მომეჩვენე.
 ეკლესიაში შესულ ბავშვს დავემსგავსე,
 რომლის თვალებმა, პირველად იხილა,
 თეთრი ანგელოზი და მოინუსხა...
 იშვიათად დადიოდა, სულში ჩაფრენილი ბავშვი,
 ეკლესიაში.
 თეთრი ანგელოზი, შეუცვლელი ღიმილით ასაჩუქრებდა...
 მისი ერთფეროვანი მანერა, ზღურბლამდე აცილებდა ბავშვს და
 ფიქრით მოსავდა:
 დიდია ანგელოზის ფრთები.
 უშველებელი ჩრდილია მის ქვეშ...
 ბავშვმა იშვიათობა გაახანგრძლივა.
 თითქმის მიივიწყა ეკლესია.
 (მერე, ეგონა გავიზარდო და
 ანგელოზს მიაშურა).
 ანგელოზი, უფრო გაზრდილიყო,
 უფრო გაზრდოდა ფრთები...
 იღიმის ბავშვი თავის გულუბრყვილობაზე
 და გრძნობს,
 დაღლილია თეთრი საოცრება.
 ხედავს, ფრთები დაუკეცავს და
 შეუცნობი სურვილით ავსილ თვალებს,
 კვლავ აღიმილებს.
 ღიმილი, მას ეკუთვნოდა...
 პირისპირ აღმოჩნდა თავის ანგელოზთან.
 ანგელოზმა მოულოდნელად ფრთებზე შეისვა ბავშვი,
 სივრცეში აიჭრნენ...
 – ეს სიზმარია – ჩურჩულებდა ბავშვი.
 თეთრი ანგელოზი, უარის ნიშნად,
 ფრთას აფარებდა ბაგეზე...
 – შეფრინდი ეკლესიაში ანგელოზო,
 ძალიან მაღლა მიფრინავ,
 უსივრცობამ გაგაბრუათ...





დაეშვი ფიფქო! – ეს სიზმარია, გესმის? სიზმარი!..
 (ბავშვი თეთრ ანგელოზს, ფიფქოს ეძახდა სიყვარულით...)
 „ფიფქო?“ – სახელმა მოხიზლა ანგელოზი და
 ფრთები აშალა...
 ფრთის ქვეშ, წლებისგან აკინძული სიყვარული,
 სათუთი გრძნობით უმღეროდა ბავშვს...
 – შენ ჩემი ხარ, – უთხრა ანგელოზმა და
 ცრემლი მოერია...
 – ადამიანივით სტირი? – გაიოცა ბავშვმა.
 მაშ რად დუმდი ეკლესიის კედელზე,
 რად დუმდი ფიფქო?...
 ანგელოზმა, მოულოდნელად გაიძრო
 ბუმბულის სამოსელი...
 ბავშვმა, ჩვეულებრივი ფრინველი იხილა...
 ფრთის ქვეშ მალული გრძნობა, უფრო ფაქიზი ეჩვენა,
 ვიდრე შიშველი, ღვთიური არსება,
 რომელმაც იცის, მინაზე დაყრილ ბუმბულს,
 ზეცა ვერ შერისხავს...
 ბავშვს თვალები უფართოვდება, ხმა ებზარება:
 – აღარ ხარ ანგელოზი! – ეუბნება...
 – მაშ ვინა ვარ?!
 ბავშვი ყუჩდება.
 უშველებელი ფრთის ქვეშ ჩაცუცქული,
 შერჩენილ ღინღლს ეთამაშება,
 რომელიც თითებს ჩხვლეტს...
 სურს გაუძლოს...
 აიტანოს...
 შეეჩვიოს...
 შეეგუოს...
 გაუტოლდეს.....
 – სთქვი რამე ანგელოზო,
 მითხარი, რად ამიტაცე ამ სიმაღლეზე?!
 თვალებს რად ხუჭავ?!
 რომ დაგეძინოს?!
 მე სუსტი ვარ და გადავვარდები ფრთიდან.
 ხვალ იქნებ, აღარც გახსოვდეს ჩემი არსებობა,
 ხოლო დღევანდელს, შესაძლოა, დასცინო იქნებ...
 მეშინია ანგელოზო...
 არ დაიძინო, თვალებს ნუ დახუჭავ,
 წონასწორობას დავკარგავ და
 გადავვარდები,
 ვიცი გადავვარდები და მერე?!
 არა! არა! არ დაიძინო ანგელოზო!
 მინდა ხვალ, თვალხილულები შევხვდეთ განთიადს,
 რათა იხილო, შენი სურვილით ამიტაცე ამ სიმაღლეზე...
 არ დაიძინო ანგელოზო!
 ჩვენ ხომ ისედაც სიზმარში ვიმყოფებით?!
 არ დაიძინო! არ დაიძინო!..
 არ დამიკარგო რწმენა და იმედი, –
 იმედი, – მომავლის, რწმენა, – სიყვარულის, –
 ჩემო ანგელოზო...
 და თუ ღვთის ნება არის, ჩემი დაცემა ციდან
 და თუ ჩემს რწმენას, ნდობას, გრძნობებს,
 გათელავს ბედი,
 მაშინ ვირწმუნებ, არაფერი არ არის წმინდა
 და ამიტომაც, ჰო, ამიტომ, თავს იკლავს გედი...



სიმღერა ზათუმზე

შენა ხარ ჩემი ნათლის სანთელი,
შენა ხარ ჩემი წმინდა სავანე,
ეს არსებობა, ღვთის ბოძებული,
შენს ერთგულებას, მთხოვს და მავალებს.
მე უშენობით, უფრო ჩიტი ვარ,
უსიყვარულო კაცის მსგავსება,
შენ ჩემში სახლობ, სადაც მივდივარ,
შენი სახელი ჩემში, არ ქრება...
ზათუმო ჩემო, სხივთა ციანო,
ზღვის დელფინო და მიწის აკვანო,
ბაირალივით მსურს გაფრიალოს,
სიკეთემ შენმა და აგაყვავოს...
ზათუმო ჩემო, მზევ წვიმიანო,
სულის კუნძულო, გულის სამყაროვ,
შენ, ძე ღმერთივით, – ადამიანო,
ფესვო ბებერო, კვირტო ახალო...
მე შენი ზეცის, ერთი სხივი ვარ,
ერთი წვეთი ვარ, ზეციდან მიწის,
შენი საყრდენი, მუხლი, წვივი ვარ,
გასაჭირიდან სიცოცხლით გიხსნი...
ვერ შეგედრება ქვეყნად ვერავინ,
გულის სითბოში, ანკარა სულში,
ვიქნები შენი ძმობის მზვერავი,
ჯავშანი, რომ არ გესროლონ ზურგში...
აცისკროვნდება იმედი შენი,
დაგეკვირტება რწმენა ნაყოფად,
შენ, ზღვის დელფინო, სიცოცხლე გშვენი,
სიცოცხლეს დავთმობ, შენდა სამყოფად...
შენ უკვდავების მონუმენტი ხარ,
რელიეფი ხარ, ტაძართა კედლის,
ქალაქთა შორის, ერთი დენდი ხარ,
რასაც მზე-წვიმა ხალივით შვენი.

ვისაჯ თვალეში ჩაახედე...

ვისაც თვალეში ჩაახედე,
სულში ჩაახედე ვისაც,
ოდეს ნაქებარ ნალმერთევს,
ვხედავდი სულის ნისლად.
ვისაც დავენთე კელაპტრად,
შარავანდელით ბრწყინავს,
ვერ ავკელაპტრდი ხელახლა
მათთვის, გამრიყა ვინაც.
ვიქადაგე და მოძღვრებით,
გზა ტაძრისაკენ ვჭერი,
ულამაზესი ოცნების,
ბედმა დამიხშო კარი...
მიყვარდა კენჭი ყოველი,
სუნი ბალახის, მიწის,
ჯვარი და სვეტიცხოველი,
ახავერდება ფიჭვის.
ვხატავდი ფრესკებს სულისა,
ვმინანქრებოდი გრძნობად,
ამურს ვკურნავდი წყლულისგან,
ბზად ვეჭრებოდი ბზობას...
აისბერგით, – ცხოვრება,
მხრებზე მანევს და მძირავს,
მე მუდამ მემახსოვრება,
გადაღებული წვიმა...
დამძიმდა, ყოფა დამძიმდა,
სისხლით, სისხლით და სისხლით,

რა გინდათ დაჭრილ არწივთან
თქვენ, ყვავ-ყორნებო მიწყვი?!
წამის წამია სიცოცხლე,
გაელვებაც კი არ ვართ,
ოდესლაც მოვა ღვთის მოყმე,
უსამართლობის ლახვრად.

ანა კალანდაძეს

შენი თვალნათელი საქართველო,
მე ახლა თვალდათხრილი მყავს.
ერი, ადათ-წესით სასახელო,
ლამის პირველყოფილს ჰგავს.
სული ევროპისკენ მიუწევს და
საქმით სახლის ანგრევს კარს,
როცა ღმერთი ჩვენთვის ხორბალს თესდა,
ნათესს ვაპკურებდით შხამს.
რა ქნას გამჩენელმა, ამდენ სულელს,
როგორ გადუნერგოს ჭკვა,
ქვაბში როცა ყველა „ხმელ კუჭს“ ურევს,
იმ კერძს ძალიც კი არ ჭამს...
ყველა გენიოსობს, გენიოსებს,
განცდა სირცხვილისა წვავთ,
ტაძარში უნმინდური თუ ილოცებს,
ტყუილად შეინუხებს თავს...
ყველა ერთმანეთზე დაბოლმილი,
შლიან წინაპართა კვალს,
ჯიბრი, ჯირკებივით გაბოგილი,
ხერგავს ჭეშმარიტთა გზას.
თუ არ გაპიარდა გენიოსი,
მიაქვს მდინარეს და შლამს,
ვისთვის სულელია ელიოზი,
ვისთვის რეალობის ცა...
გაქრა სამწუხაროდ ეროვნული,
ღელე-ღურდანს, უცხო ხნავს,
„ასოცირებული“ ევროპულით,
ვერსად იწონებენ თავს.
ვაი, საქართველოვ, მეცოდები,
ღვთის წილს, დემონი რომ გხრავს,
არსაიდან ისმის მათი ხმები,
დევებს რომ აჭრიდნენ თავს.
ჰეი! ცისკარავ და ასფურცელავ,
ზღაპრადაც გვანატრებთ თავს,
ივერთ ბალ-ვენახს მგელი ცელავს,
ბაზას ეძახიან დათვს...
შენი თვალნათელი საქართველო,
მე ახლა თვალდათხრილი მყავს.
ერი, ადათ-წესით სასახელო,
ლამის პირველყოფილს ჰგავს.

ორთავეს გულზე გადაგვიარა...

ვერ შევძელ, გრძნობა ვერ გაგიმხილე,
ახლა მწარედ ვგრძნობ, რომ გვიანია,
წრფელ გულს უხდება გრძნობის სიშიშველე,
რადგან ცხოვრება ერთი წამია.
რადგან არ ვიცით ბედი მდევარი,
დაგვიხურავს თუ გაგვიღებს კარს,
ვერ ანუგეშებს ქვეყნად ვერავინ
მას, ვისაც სხივი ჩაუქრეს ცაზე...
მთვარემ მზისა და მზემ უტყვი მთვარის





ვერ ამოიცივს ფიქრის ცრემლები,
 ჰო, გალაკტიონ, „ქარი ქრის, ქარი“,
 ცრემლიან ფიქრებს მხოლოდ შენ ხვდები.
 ახლა მარტოდენ ფიქრებთან რჩენილს
 და მოჩურჩულეს სულის სფეროსთან,
 მომნატრებია წარსული შენით,
 როცა გაუმხელ გრძნობის გვჯეროდა...
 მე შენზე ფიქრით შეჩვეულ ანმყოს
 სულის საწრთობი ვუნოდე გრდემლი,
 მინდა ვიმღერო, სტრიქონებს ვანყო,
 სტრიქონებს, რასაც ულის ცხელი ცრემლი...
 სტრიქონთან ერთად მსურს გულიც დავწვა,
 მოუშუშარი არის ტკივილი,
 უსიყვარულო სიცოცხლე არ მწამს,
 გოლგოთას უდრის ეგ სიმძიმელი...
 რად შეგვემინდა, რად დავიბენით,
 უხმოდ უხმობდა თვალებს თვალები,
 შენ ერთადერთი იყავ იმედი
 სულის, ყალბთაგან განანამების.
 ჩამქრალ ნაპერწკლით ჟამი შეჩერდა,
 ჩვენ, ორივენი, ახლა სხვასთან ვართ,
 ვიცით, ამ ყოფას ჰქვია შეჩვევა,
 თორემ ოცნებით, კვლავ იმ ზღვასთან ვართ, –
 რომელმაც ჩვენი ფიქრები იცის
 და იცის უტყვი მზერის იარა,
 ზღვამ, რომლის ტრფობით, აქამდე ვინვით,
 ორთავეს გულზე გადაგვიარა...

წხრა ძმის ძახილი

...ისე დანამა ცვარმა ფოთლები,
 როგორც ცრემლებმა თვალთა უპენი,
 დედა სამშობლოვ, ისევე მოკვდებით
 შენთვის ცხრავე ძმა, ერთად უკლებლივ.
 გვესმის იღვრება ძმის სისხლი ძმისგან,
 რად იმეორებთ ცოდვებს წარსულის,
 რა პასუხს ელით ჩვენი დედისგან,
 ვინაც გადმოგცათ დროშა ქართული.
 ამერ-იმერნო! ვის მტრობთ კარსშიგან,
 ვისი სისხლისღვრას არ ერიდებით,
 რომ არ მოგადგეთ მტერი ყარსიდან,
 შეადუღაბეთ ძმობის კლიტენი...
 ძმებო! ერთურთთან თქვით რა გაომებთ,
 წარმავალია ყველა დიდება,
 რას უპასუხებთ თქვენ იმ თაობებს,
 ვის თვალში კარგავთ ძმობის ღირსებას.
 რამ გაგყოთ, ან რამ დაგანანევრათ,
 ნულად აქციეთ ერთობის ძალა?!
 საკუთარ სისხლში გასვრილ სატევარს,
 დედა დაარქმევს სამშობლოს ღალატს...
 სამარის დუმის, კვნესის ხმა არღვევს,
 ეს ხმაა ჩვენი დედა მშობელის,
 მის კაბის კალთას, ბრძოლებში ნარღვევს,
 ფეხს ვინ აბიჯებს თქვენგან, რომელი?!
 გვედრით, ნუ დახრით ერთობის ალაშქრს,
 გფარავდეთ ქრისტეს ჯვარი და რწმენა,
 იმერს დაღად აქვს „დიდება ალლაჰს“,
 ამერს კი „ჩადრში“ ჩამკვდარი ენა.
 შემოგეპარათ თანდათან მტერი,
 სახემლიმარი, ურიცხვი ძღვენით,
 ჩვენს სამშობლოში, ახლა სხვა მღერის,
 ცრემლად იღვრება, შვილები თქვენი...
 რად ამიცრემლეთ ძმებო სამშობლო,

რად ჩამიკალით სიბრძნე საბასი,
 ო, როგორ მინდა დედამ კვლავ შობოს,
 ერთობის დროშით, ძმები ათასი...
 გაფრთხილებაა ჩვენი ძახილი,
 მტერი მოკეთედ არა ქცეულა,
 მზად იქონიეთ მტრისთვის მახვილი,
 ვიდრე სამშობლო არ დაქცეულა.

სულის სწენარი წხოვრების სწენაზე

(მონოლოგი)

...გეგონა მსახიობობას ვერ შევძლებდი.
 იჭვითა და თრთოლვით მიმზერდი.
 მელიმებოდა.
 შენს არსებაში ტალღასავით აბორგებულ
 უხერხულობის განცდა მაღიმებდა,
 სცენაზე ჩემი დანახვის გამო.
 ფითრდები.
 გაკრთობს ჩემი პირველი მოძრაობა.
 ტუჩების გახსნა.
 ნაბიჯები...
 მალულად ავლებ თვალს პარტერს.
 ვერავინ გამჩნევს.
 რალაც ჩაინიშნე ალბომში.
 ალბათ ნიუანსები
 სცენასა და პარტერს შორის...
 უკვე ველარ გხედავ.
 გრძნობათა ქარბორბალამ
 უზარმაზარ კოჭზე დაახვი
 დაწყვეტილი ძაფები და
 სფეროდ აქცია.
 თითქმის ყოველი მაყურებელი
 თანაბრად დაშორებული
 სცენიდან,
 ხოლო სფერო –
 დახშული ზედაპირი,
 რომელზეც ვდგევარ,
 სუბიექტური სცენარია
 ადამ და ევასი...
 გეგონა მსახიობობას ვერ შევძლებდი.
 მართალი იყავი.
 მე არა ვარ მსახიობი.
 მხოლოდ სიყმანვილის დროინდელ
 ჰერბარიუმს ვფურცლავ და
 ცისფერი ძარღვიდან
 დაქცეულ სისხლს
 საკუთარი თითების
 ანაბეჭდს ვადარებ.
 მე არ ვთამაშობ.
 არც არასოდეს მითამაშია.
 ბავშვობიდანვე მეჯავრებოდა
 გამარჯვებული ჯამბაზი ცირკის
 და უაზრო სიცილით
 კმაყოფილი მაყურებელი,
 რომელთაც არასოდეს უგრძნიათ
 დარბაზის კვნესა...
 მეცოდებოდა დარბაზი,
 სადაც
 ადგილზევე იმარხებოდა



მასხარას სიბრძნე...
 მე არ ვთამაშობ,
 ნუ იფიქრებ,
 რომ სიუჟეტში
 საკუთარი ორეულია,
 რომელიც შენ გეჩურჩულებს.
 იფიქრე, რომ სცენა,
 მხოლოდ სარკეა,
 ამალგამა აფხეკილი,
 რომლის ორივე ზედაპირი
 გამჭვირვალეა და
 ერთმანეთს ვუმზერთ...
 ხედავ?
 ვტირით.
 მე – სცენაზე.
 შენ – პარტერში
 და ამ უნიკალურ სამყაროში,
 შენს გარდა,
 ყველას ჰგონია,
 რომ ვთამაშობ...
 მე არ ვთამაშობ.
 ეს პირველი და
 უკანასკნელი როლია
 სულის სცენარის –
 ცხოვრების სცენაზე.
 ჰო, სულიდან სცენაზე
 აგავასავით ამოსული.
 პირველყოფილი წყურვილი –
 ვყოფილიყავი:
 პოეტი,
 მხატვარი,
 პროზაიკოსი,
 მუსიკოსი, –
 ნანატრი მირაჟებია
 მინიდან ცამდე.
 სინამდვილეში კი –
 ირეალური
 წარმოსახვებითა და
 ვირტუალური
 თვითკმაყოფილებით,
 ვიქეცი საკუთარი სულის
 ბოჰემად.

დღეს მე უკანასკნელი
 ემიგრანტი ვარ
 უკანასკნელი სურვილისა –
 შენი გაოცებული
 თვალების ხილვის,
 (როგორც მომმართავდი)
 „პროვინციელი“ გოგონას მიერ,
 რომელიც იმიტომ
 ავიდა სცენაზე,
 რომ სხვისი თვალით
 დაგენახა...
 რომელმაც წარმოდგენის
 დასასრულს,
 ავანსცენიდან,
 სურათი გადაუღო
 თავის ცხოვრებასა და
 შენს გაოცებულ
 თვალებს....

ქალის დუმილი სიყვარულში, ჰგავს თვითმკვლელობას

აუბრალოებს, ასე მითხრეს,
 სიყვარულს სიტბო,
 მომეტებული,
 უსაზღვრო და უკიდევანო.
 მე რომ უბრალო,
 თბილი, სათნო და
 ლალი ვიყო,
 იმ მომეტებულ
 სიყვარულს ვითხოვ,
 მომეტებულად
 ვინც მიყვარს
 მისგან...

შეუგრძნობელი გრძნობაა, რომ
 ტკივილით გვავესებს
 და ველარ ვხედავთ
 ვარდნარს ჩვენი,
 ცხოვრების გზაზე.
 იმთავითვე თქვა
 გალამ გრძნობის
 უსაზღვროება,
 რომ წრფელ სიყვარულს,
 არ აქვს ჟამი,
 არ აქვს დროება.

არ ბერდებაო, რომ იტყოდნენ,
 გრძნობისთვის გული,
 არ ჩაქრებაო, ჭეშმარიტი,
 თვით სიყვარული.
 ეს აქსიომა, მე მგონია,
 აკენიდან მწამდა,
 როცა ჩემს თვალთან,
 ვგრძნობდი დედის,
 ცრემლიან წამწამს...

გავიზარდე და
 მაშინ ავხსენ,
 ცრემლები დედის,
 მაშინ გავიგე,
 თუ რას ნიშნავს,
 სიმღერა გედის,
 (ვისთვის უცხოა
 ეს სიტყვები,
 აუხსნის ჟამი)
 არავინ უწყის,
 რა სათნოა,
 სუყველა ქალი...

თუკი ქალს უყვარს,
 დრო და ჟამი,
 ჩაკირავს მასში,
 გრძნობას დიადს და
 ამავე გრძნობის,
 გაუმხელობას,
 ქალში ყოველთვის,
 ფეთქავს გული,
 სათუთი ბავშვის,
 ქალის დუმილი,
 სიყვარულში,
 ჰგავს
 თვითმკვლელობას.



გამოჩნდება და ტყვიას ესვრიან...

გადავიხედე ჟამთასვლის მიღმა,
იმ ჭიშკარს იქით, სადაც იმედი,
ეძებდა თავის ბედსა და იღბალს,
სადაც დაკარგა რწმენა მცირედიც....
სულში ჩავხედე ყველას სულითა
და დავინახე გული იმათი,...
მინდა დავბრუნდე დასასრულიდან,
ვინაც შემიცნო, მხოლოდ იმათთვის...
კაცობრიობის ნავთსაყუდარი,
კაცობრიობა არის ისევე,
ჩვენ კი, ერთმანეთს, თეთრი სუდარით,
იმედს ვუკლავთ და თვალებს ვუსვლელებთ...
ჟამს შემოვაცვდი და ვერ ამოვხსენ,
თვით უფალისთვის რად ვართ საჭირო,
კარდახშულია ჩვენი სამოთხე
და „საქმემ ჩვენმან“, უნდა გაგვნიროს...
სამყაროს ხედებს გულში ვიხატავ,
ფერებს სულში ვღვრი, ზეცის მირონად,
ღმერთო, მაქციე იმ ერისკაცად,
რომ ჩავიდინო მისთვის გმირობა...
თავს ზემოთ ძალა მართლაც არ არის,
ბედისწერაში მოკვდავი მქვია,
ბედნიერს ჰყოფნის ლერწმის კარავი
და ამას ვხვდებით, ძალიან გვიან...
მაშინ, როდესაც თვალ-მარგალიტი,
უბედურისთვის მძიმე ტვირთია,
მაშინ როდესაც, ზეობს „კრამიტი“
ხოლო სასახლეს, სახურავს ხდიან...
საიდან, რა გზით, ან რა გონებით,
უფალთან ჩემი თხოვნით მივიდე,
რით შევაჩერო სისხლი, ომები,
ლოდს მთაზე ვერ ვდგამ, როგორც სიზიფე...
ახლა სამყარო, როგორც არასდროს,
ნიშნისმოგებით გვეგულდიდება,
მიგვიხვდა, როგორ მალვით, ვპარავთ დროს,
დროს და დიდებას...
რომ მოვუნოდო ღვთისკენ ერს და ბერს,
„შენ ვინ ხარ თავად“, ვიცი მეტყვიან,
ვაჟას არნივი ენატრება კლდეს,
გამოჩნდება და ტყვიას ესვრიან.





ბიორბი ელიზბარაშვილი

ჩვენებურად შეწყალებული



– დავითაშვილი, „სვეშჩამი!“
 – ხო, ხო, შენ გეუბნები, ბიჭო! ოცდასამი წელი მოგაკლეს, თავისუფლება გარგუნეს. მოკიდე შენს ბარგს ხელი და გამობრძანდი გარეთ.

ნუგზარი ნარიდან ჩამოძვრა, პატარა ბოხჩა შეკრა, რალაც ფურცელზე ხელი მოანერა და თხუთმეტ წუთში უკვე გალავნის გარეთ ამოყო თავი. ეს ხდებოდა რუსთავში, იანვრის ერთ სუსხიან საღამოს. იმ დღეს, დაახლოებით ოცმა კაცმა დატოვა ციხე. ის-მოდა მილოცვები, შამპანურის ბათქა-ბუთქი. ზოგს ცოლი დახვდა კართან, ზოგს შვილი, ზოგს მეგობარი, მხოლოდ ნუგზარი იდგა ეულად. არადა, ორიოდ წლის წინ უამრავი მეგობარი ჰყავდა. ცოლიც თვალებში შესცივინებდა. ბევრი ფული ჰქონდა და ბუზიც მოდიოდა ბაღდადიდან. მერე? მერე დაიჭირეს. წელიწადნახევარზე მეტი იყო გასული რაც ცოლი, უფრო სწორედ კი ყოფილი ცოლი აღარ ენახა. ჰმ! არ იცოდა, ხომ, რასაც სჩადიოდა მისი ქმარუკა. თავადაც ეხმარებოდა ყალბი საბუთებისა თუ საქმიანი ქალაქების დამზადება-გავრცელებაში. კაბრიოლეტითაც დარბოდა, კოპა-კაპანას პლაჟზეც ნებივრობდა. მთელი ქონება თავისზე გადაიფორმა, რამე რომ მოხდეს, ჩამოგვართმევენ, ამ ფულით დაგიხსნი და ხურდაც ბევრი დაგვრჩებაო. მერე ფიქტიურად განქორწინდნენ – რა მნიშვნელობა აქვს, ერთმანეთი ისევ ძველებურად გვეყვარება, ისევ ერთ ჭერქვეშ ვიცხოვრებთ, ასე უფრო დაცულები ვიქნებითო. განქორწინებიდან ზუსტად ერთ კვირაში ჩაავლეს ხელი ნუგზარს და არაერთგზის თაღლითობისთვის გისოსებს მიღმა ოცდახუთი წლით გაისტუმრეს. ხალხი არ ხართ, კაცო?! მკვლელებს, ბარიგებს და პედოფილებს 10-15 წელს აძლევენ, თუ თქვენთანია 3-4 წელიწადსაც სჯერდებით და მე თაღლითობის გამო ციხეში მალაპობთ? მოვატყუე, გავძარცვე, მშრალზე დავსვი ბევრი, მაგრამ მკვლელზე უარესი ვარ?! – ყვიროდა ნუგზარი განაჩენის გამოტანისას.

– რას ვიზამთ, ჩვენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით ვხელმძღვანელობთ, – აუხსნა მოსამართლემ.

– აქ შენს დედას გავთხარე, იქ შენი სისხლის სამართლის კოდექსის დამწერ-შემდგენელს. ყველა იმ დეპუტატს, ვინც მას დაუჭირა მხარი და მერე მას, ვინც საბოლოოდ მოანერა ხელი! თემიდას შესახებაც სურდა გასაუბრება, მაგრამ მოსამართლემ დამატებით 500 ლარიანი ჯარიმა დააკისრა და დარბაზიდან გააძევა.

რამდენიმე დღეში ცოლის წერილი მიიღო – მთელი ცხოვრება ვერ დაგელოდები, გავთხოვდიო. ნუგზარს თითქოს ფეხქვეშ მინა გამოეცალა. რა გამოდის, მე დანაშაულს ჩავდიოდი, ის კი, ჩემი ფულებით, საყვარელთან დაგულაობდა? ყველაფერმა აზრი დაკარგა და გასაჩივრებაზე უარი განაცხადა. მერე და

მერე უარესი გაიგო, თურმე ცოლს დაუჭერინებია. ნუგზარმა სარჩელი შეიტანა, ერთად ვთაღლითობდითო. საქმე კი აღიძრა, მაგრამ რად გინდა, ვერაფერი დაუმტკიცდა. სამი განსხვავებული ინფორმაცია მიუტანეს ნუგზარს – წინანსნარ იზრუნა, რომ მისი კვალი არ გამოჩენილიყო, 50 000 დოლარი მისცა პროკურორსო, სარეცელი გაიზიარა პროკურორთანო. ყველაფერზე ხელი ჩაიქნია და აღსასრულს დაუნყო ლოდინი.

მეგობრები, რომლებთანაც ყანით სვამდა ძმობის სადღეგრძელოს, ფულით ეხმარებოდა მკურნალობისა თუ შვილის სწავლის გადასახადის დაფარვაში შრშანდელი თოვლივით გაქრნენ. დარჩა ოთხკედელშუა გამოკეტილი მოძალადე ზედამხედველების, ანტისანიტარიისა და წყალ-წყალა წვნიანის ამარა.

ბედად „ცოცხების რევოლუციამ“ მოუსწრო. გამოცხადდა ამნისტია. ის, ვინც თაღლითობაში იყო მხილებული, სასჯელის მეოთხედისგან თავისუფლდებოდა; ხოლო თუ დაზარალებული თანახმა იყო, ციხეს ტოვებდა.

ნუგზარს ახალბედა ადვოკატი შეხვდა. ქალიშვილი ყოველგვარი საფასურის გარეშე ჩარხივით დატრიალდა. აქეთ ეცა, იქით ეცა. ჩამოირა ყველა მოტყუებულის ბინა. ზოგი იოლად დაიყოლია, ზოგთან ბევრი ლაპარაკი დასჭირდა. ქრისტემ ჯვარზე გაკვრა აპატია ჯალათებს, თქვენ რამდენიმე ათასის ზარალი ველარ უნდა აპატიოთ? რა სარგებელს მიიღებთ მისი ციხეში ყოფნით, შანსი მივცეთო. ზოგს გული მოუღბა, ზოგი უბრალოდ დაღალა ამდენმა ხვეწნამ და აბეზარი ახალგაზრდის თავიდან მოსაშორებლად მოანერა საჭირო საბუთზე ხელი. მხოლოდ ერთი არ ნებდებოდა – სამ ოთახიანი ბინა მქონდა, ახლა ცოლ-შვილიანად ერთ ოთახიან ნაქირავებში ვარ შემძვრალიო. უნდა დაისაჯოს მაგისტანა, რომ სხვას ცდუნება აღარ გაუჩნდესო. მთელი ორი კვირა ეხვეწა და ბოლოს ისიც დაითანხმა.

დგას ეულად. დაბინდა, მოიღრუბლა. წერილი, გაყინული თოვლი წამოვიდა. ნუგზარი კი დგას და არ იძვრის. საით წავიდეს? ლარიანიც კი არ უგდია ჯიბეში. თოვლი სახეში აყრის. ისე სცივა, იძულებულია ადგილზე იძაგდაგოს. ნათქვამია, საავადმყოფოს კარი რომ გააღო არავინ გამოვა და ციხის კარის გაღებაზე ყველაო. აჰა, გამიღეს, გამოვედი და რა ვქნა ახლა?

ტაქსის მძღოლები უარს ეუბნებოდნენ, ფული არ გაქვს და ფეხით წამოდი, ჯანმრთელობააო. ერთს 15 ლარზე მოურიგდა. დაუმალა, ფული რომ არ ჰქონდა.

მიდის ნუგზარი ტაქსით – ნაცრისფერი „ოპელ ვექტრათი“. ანუ ულ რადიოს არ უსმენს, ფიქრებშია გართული. კარგი, ჩავედი თბილისში, მერე? რას ვეტიყვი მძღოლს? დაუშვათ, რომელიმე სადარ-





ბაზოდან დავითესე, ეს მიშველის? მერე რა ვქნა, მერე? ბინა მე არ მაქვს, ნაცოლართან მისვლას ცხელი ტყვია მიჩვენია. მეგობრები? კაი ერთი! ქუჩაში უნდა დავრჩე? აბა სად წავალ? მაქვს ქუჩაზე უკეთესი ბინა? ჭამა ხომ მინდა? ვიმათხოვრო? ვერ ვიმათხოვრებ.

– ჰა, ჰა, რას შვრები?! – დაიხრიალა მძლოლმა, როდესაც კისერში მოჭერილი ხელები იგრძნო.

– გააჩერე მანქანა! ამოყარე რაც გაქვს. დროზე ფული, ოქრო, ტელეფონი.

– აჰა, ეს არის რაც თან მაქვს, – მძლოლმა სავარძელზე 180 ლარი, „ნოკიას“ ტელეფონი, ოქროს საქორწინო ბეჭედი და ბანკის პლასტიკური ბარათი დააგდო.

– პინ კოდი!

– 1837.

– თუ მატყუებ, ყელს გამოგჭრი, – მსხვერპლი სავარძელზე ქამრით დააბა.

– ხო, კარგი, 3471.

– ასე.

უახლოესი ბანკომატიდან მთელი თანხა – 600 ლარი მოხსნა, ლომბარდში ტელეფონი 50 ლარად დაიტოვეს, ბეჭედი 200 ლარად გაასალა.

ნუგზარს ჯიბეში ედო 1130 ლარი. ბინა 150 ლარად იქირავა, ტაქსა და საკვებში კიდევ 30 ლარი დაეხარჯა. დარჩა 1050 ლარი და ცხოვრებისეული გაურკვეველობა.

სანოლზე მოიკუნტა. სულ რამდენიმე დღის წინ იატაკზე მშვიდი ძილისთვის ლოცულობდა. ფეხზე რომ გაიხადა, მერეღა მიხვდა, რომ ფლოსტები არ ჰქონია. ტულაღებში გავიდა და ქალაღიღ არ დახვდა. ზღაზღნით წამოღდა, კიბეები მძიმედ ჩაიარა და მაღაზიაში შეღრა. მერე ამოღდა, ჭამა და დანვა. ძიღი არ მიეკარა, ემოციებით გადაქანცულმა ღამის სამ საათზეც ვერ მოხუჭა თვაღი. ხვალღინდელ დღეზე ფიქრობდა, სად ემუშავა რომ ფიზიკურად ეარსება. რაღაცას ვნახავო, დაიღმეღა ბოღოს თავი. რა არის ეს სოფელი? სკოღა ვერცხღის მეღალზე დავამთავრე, უღივერსიღეტი წითელ დიპლომზე. ღამეებს ვათენებღი, არაღა, შემეღძღო იოღად გავსულიყავი ფონს. მერე იყო ასპირანტურა. ყოვეღთვის მძაღდა ქრთამი, ვარღისფერი სათვაღით ვიყურებოღი და ვფიქრობღი, რომ ხვალ-ზეგ ჩემი შეღძღებით წავინვეღი წინ. მერე, ქვეყანაც აიღია. მე კი, რაკი ერთხელ ვულაღაღე საკუთარ პრინციღებს, შეჩერება ვეღარ შევღძღი... მაინც უნდა წამოვდგე ფეხზე. იქნებ მერე ოჯახი შევღქმნა? პირვეღმა ცოღმა შვიღი არ მაღირსა, აბორტს-აბორტზე იკეთებღა. ოჰ, რა სიამოვნებით დავახრჩობღი!.. ამ ფიქრებში გართულს დღღის ექვსი საათისკენ ჩაეღინა.

მაღაზიაში მღვირთავად დაინყო მუშაობა. ბინის ქირის გარდა, ჯიბის ფულად 150 ლარი რჩებოღა. ესეც ასე, საარსებო მინიმუმში მაქვს, გაიციღნა მწარედ. სამსახური კი იშოვა, მაგრამ ნელ-ნელა შიშმა დარია ხელი. ჯერ არ იმჩნეღდა, იქნებ მძღლოს პოღიციღაში არ უჩივღია, მანქანა ხომ არ წამირთმევიღო. ანდა, მიღიღონიღან ქალაქში ვის აქვს 1200 ღარის გამტაცებელი ქურღის დევის თავიო. მძღოღი იტყოღა სადაც ჩავჯეღი, ჩემს გარეგნობასაც აღწერღა. დამნაშავეის ვინაობა უკვე ეცოღინებათ, სადაც დამინახავენ, ჩამავღებენო. პატრუღლის მანქანის დანახვაზე სახით უკან ბრუნდებოღა. ნებისმიერი მსუბუქი ნაცრისფერი მანქანა „ოპელ-ვექტრას“ ტაქსად ერვენებოღა. დროთა განმავღობაში შიში გაუმღაფრდა, მისამართს დაადგენენ და სახღში მომადგებიღანო. ღამით მშვიდად ვეღარ იღინებღა, წამით ჩათვღემიღს, ციხის საშინეღებები ეღანდებოღა. სახღში დაბრუნებისას მუხღები ეკვეთებოღა, იქნებ შინ მეღლოდებიღანო. ბინა გმოიცვალა. ხან იგვიანებღა, ხან ყუთი უვარდებოღა...და სამსახურიღან გამოაღდეს. ნაძარცვი ფულიღან 700 ღარი კიღევ ჰქონღა. პარკე-

ტი აყარა და იქ ჩამაღა. ჩაქურღის ყოვეღ დარტყმაზე გული უსკდებოღა, ხმაურზე მეზობღებმა პატრუღში არ დარეკონო. ახალი სამსახური ვერ იშოვა, პარკეტი აყარა და თავის თავს 200 ღარი მოჰპარა. „განდი“ 3 ნაწიღად გაყო – 100 ღარი ისევ იატაკში დატოვა, 300 ლეღბში ჩაჩურთა, 100 კი მაღიდის გამოღრუტუნულ ფეხში.

ერთ საღამოს, როდესაც მაღაზიღან პური მი-ჰქონღა, პატრუღლის მანქანა დაინახა. ვაი დეღაო, იყვირა, პარკს ხელი გაუღვა და რაც ძალი და ღონე ჰქონღა გაიქცა. პატრუღლი დაეჭვღა, გაქცეულს დაედევნა და სადარბაზოსთან მიღმწყვღია. დაბნეული ნუგზარი შემოტრიაღდა, პატრუღლს მუშტი უთავაზა და კვღავ გაიქცა. ეს საშიში დამნაშავე ჩანსო, იფიქრა ნაქცეულმა და რაციით დახმარება ითხოვა. თხუთმეტი წუთის შემდეგ ნუგზარი უკვე პოღიციღის განყოფიღებაში იჯღა.

– ჰა, იტყვი რაზე გარბოღი თუ გავისენო ძვეღი მეთოღები? – შეუღრინა ნაცემმა პატრუღლმა.

– მართღა არ ვიცი, რატომ გავრბოღი.

– კი ბატონო, პოღიციღლის ცემისთვის გაგასამართღებთ.

მაღე, მძღოღის დაყაჩაღების ბრალღებაც ნაუყენეს.

– კაცს რომ შეინყაღებენ და ოც წელზე მეტს აპატიებენ, ის კი იმავე დღეს იყაჩაღებს, გულწრფელად მითხარი, რისი ღირსია ასეთი კაცი? – პროკურორმა ბრალღებულს ჰკითხა.

– ბატონო პროკურორო, ასეთ კაცს ჰქვია არაკაცი, მაგრამ ჩემს შემთხვევაში, საწყალი კაცი, – უპასუხა ნუგზარმა.

– რატომ მაინცდამაინც შენს შემთხვევაში?

– აბა, ახღა თქვენ მიპასუხეთ, ცოღი რომ გავიბოზდებღა, ყვეღა ძმაკაცი რომ მიგატოვეღს, ჯიბეში 50 თეთრიც არ გიღღია და კიბისქვეღაც კი არ გაქვს თავშესაფარი, ასეთ დროს, თქვენ რას იზამღით? ნუთუ ასე მარტივად ფიქრობთ, რომ გამოვეღი ციხიღან და იმავე დღეს შესაბრუნებელი მიზეზი მოგეციოთ? ნუთუ გგონიათ, რომ მომწონს ოთხკედელ-შუა ჯღღომა და დღეების თვღა? იქნებ ფიქრობთ, რომ დანაშაული სისხღში მაქვს გამჯღარი? თაღღითი ვიყავი, მაგრამ არა ყაჩაღი. ვინ ვარ ახღა? რა მზაღღია? არც ერთი მეგობარი, არც ერთი ნათესავი, არანაიღი პირადი ქონება. დანაშაული შენზე მეტად მძღლს, საკუთარი თავი მეზიზღება. გარემოებამ მოიღანა, რომ განსასჯეღლის სკამზე ვზივარ. ბუნებრივია, არ გეცოღინებათ, თუ რას გრძნობს ადამიანი, როდესაც ციხის აღაყაღის კარიღან გამოღა და ერთი კაციც არ გამოუნვღის ხელს.

– დამნაშავე იმიტომ სჩადის დანაშაულს, რომ ჰგონია გამივარო. ღმერთის არ მჯერა, მაგრამ მისი მაღღიერი ვარ. ის რომ არა, რომ არა შიში უბირ ადამიანებში ჯოჯოხეთის გეენიაში დანთქმისა, ათ ამდენ დანაშაულს ჩაიდენდენ. ათეისტი, რომელიც ბოღო ექვს მცნებას იცავს, უფრო კეთიღშობიღია, ვიდრე ორთოღოქსი ქრისტიანი, ვინც ათივეს იცავს ცნობიერი თუ ქვეცნობიერი შიშით. არ არსებობს რეაღობაში მაღდაღინეღლის წმინდანად ქცევა, ვერც სავეღე იქცევა პავღედ. მიღიღონში ერთი შეიღძღება მიხვდეს თავის საქციელს და შეწყვიტოს უკეთურებანი, მაგრამ უკვე ჩადენიღს ვერ წამღის, რაც არ უნდა მუხღები გადაიყვღიღოს ღოცვიო. პატიება ყვეღაზე დიდი ბოროტებაა. შენთვის რომ არ ეპატიებინათ, იმ კაცს არ დააყაჩაღებღი. რას იზამღი ჩემს ადგიღასო, მკითხე. მტკვარი იცი? ჯიბეში ჩავინყოზღი ქვეღს და იქ გადავხტებოღი. რათ მინდა ისეთი სიცოცხღე თუ არც არავინ მეყოღება და არც არაფერი მეზადება? შენ მარტივი დანაშაუღის გზა აიჩიე. დაახ, ეს სისხღში გაქვს გამჯღარი. შენ, ამ დღეში, შენმა საქციელმა ჩაგაღღო. მე კი, არავისთვის არაფერი



წამირთმევია და ჩემს ქონებასაც არ ემუქრება კონფისკაცია. მაგრამ, თუ მაინც აღმოვჩნდი შენს მდგომარეობაში, მტკვარი და დამთავრდება ყველაფერი. ნუ, მე პრინციპში, მტკვარი არ მჭირდება, ესეც მიყოფა, – იარაღზე წაივლო ხელი.

– ბატონო პროკურორო, მე დღესვე შემიძლია საჩივარი შევიტანო თქვენს წინააღმდეგ. თვითმკვლევობამდე მიყვანა, გეცოდინებათ ასეთი მუხლი. თქვენ, ახლა სწორედ, ამისკენ მიბიძგეთ. როდესაც მკვლელს, პედოფილს კლავ, რომელიც შესაძლოა იმსახურებს სიკვდილს, ჩნდება ერთი დიდი პრობლემა – ვილაცამ უნდა გამოჰკრას სასხლელტს თითი, ვილაცამ უნდა შეკრას ყულფი, ვილაცამ უნდა შეაერთოს სკამი დენტან, ვილაცამ უნდა გაუმეფას გაზი, ვილაცამ უნდა შეიყვანოს სასიკვდილო ინექცია. ეშაფოტზე არ ავა კაცი თავის ნებით, ვილაცამ უნდა აიყვანოს. ვინაა ჯალათი, თუ არა ახალი მკვლელი? მკვლელი, რომელსაც თავად ქმნის სასამართლო და ხელფასსაც უხდის. თუ ფულის გამო კლავს, რითი განსხვავდება ის დაქირავებული ქილერისგან? სისხლიანია ის პური, სისხლიანია ის სათამაშო, სისხლიანი ის ბურთი თუ შოკოლადი, რომელსაც ის შვილებსთვის იყიდის. მონამლული იქნება ის ყვავილი, რომელსაც ცოლს მიუტანს, რადგან ყველაფერი, რასაც ის ხელს შეახებს გაბინძურდება და წარწყმდება. ღამით გამოეცხადებიან მის მიერ კანონიერად დახვრეტილები და ეტყვიან, მე იმიტომ მოვკალი, რომ ნაძირალა ვარ და შენ იმიტომ, რომ ხელფასი აგელო. ასე რომ, თქვენი თეორიები თქვენთვის შეინახეთ და საქმესთან დაკავშირებით მელაპარაკეთ. მგონი, ორ რამეში მედება ბრალი, ძარცვაში, ოღონდ არა შეიარაღებულ ძარცვაში და პოლიციელისთვის წინააღმდეგობის განევაში. მოვითხოვ, რომ სწორედ ამ მუხლებით წამიყენოთ ბრალი.

– ყველაფერი აღიარე, კითხვაც აღარ მაქვს. მალე სასამართლო იქნება და დაუბრუნდება შენს მშობლიურ მხარეს, ჯერ ორი თვით და შემდეგ კიდევ

რამოდენიმე წლით. ფილოსოფია გყვარებია, შეგიძლია მოითხოვო: პლატონი, ჰეგელი, ნიცშე,... ეს შენი უფლებაა.

– ახლა ზემოდან მიყურებთ, ცინიზმით მელაპარაკებით. არადა, იმათგან, ვისაც მონინებით ეპყრობით, რამდენია ჩემზე უარესი ბანდიტი, მკვლელი. არც ის იცით, რას იზამდა თითოეული მათგანი ჩემს ადგილას.

– ხოხ, მაგაში კი გეთანხმები. ბევრი ნაბიჭვარი შეიძლება დადიოდეს ქალწულისგან ნაშობის ნიღბით. აბა, ახლა გეყო ლაზღანდარობა. ბადრაგ, გაიყვანეთ!

სასამართლოზე ადვოკატმა ისეთი მგზნებარე მოხსენება გააკეთა, ისე ახსნა ნუგზარის მდგომარეობა, რომ ადამიანურად შეაცოდა მოსამართლეს. მიუხედავად ნასამართლეობისა, მიუხედავად ორი ახალი ბრალდებისა, მოსამართლემ 10 000 ლარიანი გირაო შეუფარდა ბრალდებულს.

იმავე დღეს დატრიალდა ადვოკატი. ხან ვის დაურეკა, ხან ვისთან მივიდა – მეგობრებთან, ბიზნესმენებთან, სხვადასხვა ფონდებში, არასამთავრობოებში. ყველას ატყუებდა, ორი ათასილა გვაკლდება, რვა ათასი უკვე მოგვცესო. ორი ათასიც არავინ გაიმეტა. მერე, ათასზე ჩამოვიდა, ვერავინ აცდუნა. ერთმა ჰკითხა, რაიმე სტატუსი თუ აქვსო? რასტატუსი უნდა ჰქონდეს, რაც აცვია, იმის გარდა არაფერი აბადიაო. მაშინ, ჩვენ არ შეგვიძლიაო. მეორემ, თუ სექსუალური უმცირესობის წევრია და ამის გამო განიცდის დისკრიმინაციას, მაშინ დაგეხმარებით 3 ათასითო. ამაზე თავად ნუგზარმა დაიწყო ყვირილი, გამანებე თავი, არ მინდა მაგისთანა „სვაბოდა“-ო. ნუგზარის უჩუმრად, მის ცოლყოფილთანაც იყო ადვოკატი, რომელმაც ირონიული სიცილით გამოაგდო. დათქმული ვადა ისე გავიდა, ფული ვერ იშოვეს.

ნუგზარი კი ზის ნარზე და ფიქრობს, სანამ 3650 დღე გავა, იქამდე მთავარანგელოზი მიქაელი ესტუმრება და თავისთან მიიპატიჟებს. თუ მინაზე დაივინყა ყველამ, ეგებ, მთავარანგელოზმა მაინც გაიხსენოს.





ლევან ლორია



თერთმეტი საათი და თერთმეტი წუთი

თეთრი გვირაბის მერე კაშკაშა შუქმა მოჭრა თვალი. თითქოს გათენდა და გაღვიძებულს მზემ შემოაჭყიტა თვალებში. ცა იყო ძალიან ლურჯი, დაბლა კი ღრუბლები ჩანდნენ მხოლოდ და ახლალა გაიგო, რომ ღრუბლებზე სიარული შეიძლება...

ღრუბლებზე ბალებიცაა თურმე – ათასგვარი ხილულით დახუნძლული და ნაირ-ნაირი ჩიტები გალობენ...

ანკარა წყაროებიცაა და ისე შეეჩვია ამას ყველაფერს, თითქოსდა სულ აქ იყო...

მერე ერთი, თეთრ თმანვერიანი, თუმცა ახალგაზრდა კაცი მოვიდა და უთხრა, მე გამნაწილებელი ვარ, მეტროში უნდა ჩახვიდეო.

გაუკვირდა, გიჟი ხომ არა ხარ? მეტროში რა მინდა, შენ თვითონ ჩადიო!

იმან, ცოტა სიტყვები შეარჩიე, ამ ცუდი სიტყვებისთვის ღმერთთან ჩაგიშვებ და საერთოდ, ნეტა ვიცოდე, ვისი რეკომენდაციით ხარ აქო.

- ვა, აქაც ჩაშვება? და, სად ვარ?!
- ვერ ხედავ – ცაში!
- აქ რატომ ვარ?!
- ამის გარკვევა ჩემს კომპუტერში არ შედის!
- აბა, ვის?
- ბევრი გეცოდინება, მალე დაბერდები! – გაეცინა თეთრ თმანვერას.

- რა გაცინებს?
- ზუსტად შენ გკითხავ როდის გავიცინო!
- მეტროში რა უნდა ვაკეთო?!
- გონება გიკარნახებს!
- რა ხუმარა ხარ, მოვკვდი სიცილით!
- ნუ იტყუები, ან არ მოკვდები?!
- ე. ი. ცაში ვარ?!
- კი...
- ანუ, დედამინაზე მოვკვდი?!
- არ მომკვდარხარ, გარდაიცვალე.
- ე. ი. მომხვდა ის დანა?
- კი.
- ეს ასე პირდაპირ უნდა მომახალო, არ უნდა შემომაპარო?! ექიმი ხომ არ ხარ?!

- რა დამლელი ვილაცა ხარ, რა! მოკლედ, ხვალ მეტროში ჩადიხარ!

- მოიცა, თუ მოვკვდი, როგორ ვლაპარაკობ?!
- დედამინაზე ჰგონიათ, რომ მოკვდი... ისე, ხედავ, არ მომკვდარხარ... ანგელოზი ხარ და ახლა თერთმეტი საათი და თერთმეტი წუთია...

- თერთმეტ საათზე და თორმეტ წუთზე ვინ ვიქნები?

- ვაა, კარგი, გეტყვი... შენთვის ყოველთვის თერთმეტი საათი და თერთმეტი წუთია!

- ვაა, იქნებ და არ მინდა ანგელოზობა?
- ერთი მომისმინე, რო დაიბადე, გკითხა ვინმემ თუ გინდაო?
- არა, აბა როგორ მკითხავდნენ, დაბადებული არ ვიყავი.
- რო მოკვდი, გკითხა ვინმემ, გინდა სიკვდილიო?
- არა, არავის უკითხავს?
- აქ რო მოხვდი, გკითხა ვინმემ, თუ გინდა ცაშიო?

- არა, არც ეს უკითხავთ.
- ხოდა, ხვალ დილით ექვს საათზე, მეტროს კარები გაიღება და პირველი შენ შეხვალ...

- აბა, ჩემთვის, ყოველთვის თერთმეტი საათი და თერთმეტი წუთიაო?

- მე ცის დროზე გეუბნები!
- რატომ მაინცდამაინც მეტრო?
- დამიწყე ახლა გამოკითხვა, შენს გარდა გგონია საქმე არ მაქვს?
- აუ, შენ ვინა ხარ, ციდან პირდაპირ მინაში მიშვებ?
- ნადი...

აქ, ცაში, როგორც მერე მიხვდა, ლაპარაკს არავინ გიშლის, შეუძლია ილაპარაკოს რაც უნდა...

იმასაც მიხვდა, რომ ლაპარაკის გარდა, რაიმე სისულელის გაფიქრებაც შეიძლება. მაგალითად, გამნაწილებელზე გაიფიქრა, ჯერ ცემაში გავბერავდი, მერე ტალახში ამოვსვრიდიო...

თუმცა რა, აქ ცაში, არც ტალახია და მით უმეტეს, არც სარეცხი მანქანები...

რა მოსაწყენია ღამის საათები პირველიდან ექვსამდე – ყველაფერი ცარიელდება, მუშები გამოივლიან მხოლოდ ყვითელი მოსაცმელებით, რომელზედაც ფოსფორის მანათობელი ზოლები აქვთ გადაკრული.

ხაზებს ამონებენ, დაზიანებულ დეტალებს არემონტებენ... მერე ისვენებენ.

უყვარს მათთან ჩამოჯდომა და მათი საუბრის მოსმენა.

თითქოს საინფორმაციოს უსმენს, ყველაფერზე ყვებიან, ქალებით დაწყებული, დიდი პოლიტიკით



დამთავრებული, შუაში კი აუცილებლად ფეხბურთი – მესის (თითქმის მესხი) ფინტები და საკუთარი ძაღლის მიერ დაკბენილი მარადონა.

თან, ჩანთებით სახლიდან წამოღებულ, ვერცხლისფერ ქალაღდში შეფუთულ საჭმელს მიირთმევენ.

ერთმაც ამოალაგა თავისი წილი, მაგრამ არ ჭამდა და რა გჭირსო, ჰკითხეს.

მოყვა, გაკვირვებული – სამაგრი იყო მოშვებული, იმას ვამაგრებ, ხოდა სულ დამავიწყდა მორიგე მატარებელს რო უნდა ჩამოველო, ფიქრებში გავერთე თუ რა იყო და უცებ რალაც ძალამ ბაქანზე ამაგდო და მაშინ ჩამიქროლა მატარებელმა, მთელი სისწრაფით მოდიოდაო...

სამი ღერი თმაღა მქონდა დარჩენილი, ისიც გამითეთრდა (მელოტი იყო), რა შიში ვჭამე, კარგა ხანს მეყოფა, ახლა საჭმელს რა მაჭმევსო.

ეტყობა, რალაც მეათე თუ მეთხუთმეტე გრძნობა მაქვს და იმან ამაგდო ბაქანზეო!

„ზუსტად მეთხუთმეტე გრძნობამ ააგდო ეს მძიმე უმადური ესაო...“ – გაცინა.

დღეს ოთხი ჯიბის ქურდი შენიშნა. დილით, პიკის საათი რომ არის, მაშინ იციან ჩამოსვლა ხელში გაზეთებით, ან შავ ცელოფნის პარკში ჩადებული რაიმე ნივთით – ერთმანეთის ხელები რომ დაფარონ და მგზავრების ჯიბეებიც...

ერთად არიან, მაგრამ ვერანაირად ვერ მიხვდები ამას. თვალებით თუ მიანიშნებენ ერთმანეთს და ასე არჩევენ საკბილოს.

კობტად ჩაცმულ, მოხუც ქალს ამოუდგნენ ოთხივე მხრიდან...

ერთმა ქალს ჩანთა გაუხსნა და საფულე ამოაცალა. ოღონდ, ჯიბეში მეორე ამხანაგს ჩაუდო, გვერდით ვინც ედგა.

ამან, საფულე ისევ მოხუცს ჩაუდო ჩანთაში.

ვერც ის ოთხი მიხვდა რამეს და ვერც მოხუცი.

გაჩერებაზე ჩამოვიდნენ. თვითონაც გაჰყვა, ცოტა გავმხიარულდებით.

– აბა, ვნახოთ, მდიდარი მოხუცი ჩანდა!

„სულელები – კარგად ჩაცმა სულაც არ ნიშნავს, რომ საფულე სავსეა“.

– სად არის?

– ჯიბეში ჩაგიდე!

– რო ჩამიდე, ბიჭო, მეც გავიგე, მაგრამ ახლა არ არის!

– ნუ აჩმახებ!

– ნუ ბუინობთ ბიჭო, პატრული მოდის!

– წამო ერთი, მაღლა ავიდეთ!

– წამო!

ექსკალატორზე ავიდნენ. თვითონაც გაჰყვა. „მგონი არ შეიძლებაო“, – გაიფიქრა. „არა უშავს, დიდი-დიდი სამსახურიდან მომხსნან. მერე რა, მომხსნან თორემ, მეც პრემიერ-მინისტრი ვარო“, – გაცინა. ეს ოთხი მეტროდან გამოვიდა, თვითონაც გამოჰყვა.

დედამინაზე ციდან რო დაბრუნდები, პირველი, რაც გაგაკვირვებს, სურნელია.

იქ, ცაში, ჰაერს ძალიან მოტკბო სუნი აქვს, თითქოს რომელიღაც ყვავილის, რომელიც თავიდან ძალიან მოგწონს, მაგრამ მერე ისევ მინის სუნი გენატრება, ოღონდ ამას ცაში ვერ გრძნობ.

მეტროში მაზუთის სუნი დგას. ახლა, მინაზე მიხვდა როგორ მონატრებია დედამინა, მინის სუნი.

თუმცა ასფალტით და ქვაფენილით დაეხუთათ

ირგვლივ მინა, მაგრამ მაინც მინის სუნი იდგა და უხაროდა.

ის ოთხი ბიჭი გზის მეორე მხარეს გადავიდნენ და იქვე, მეტროს ამოსასვლელთან აშენებული კორპუსის კედელს მოეფარნენ. თვითონაც უნდოდა გზა გადაეკვეთა. უცებ მანქანა უჩერებს. „ბე-ემ-ვე“ – ტაქსი. მძღოლმა – „სად მიდიხარ, წამო წაგიყვანო!“ გაუკვირდა – „ვა, მხედავო?“ „კიო“, „არსად არ მივდივარო“. „კარგიო“ – იმ ტაქსისტმა და წავიდა, წითელზე გაიარა. უნდა დაეყვირა, რომ ეჯახებო, ისე გაიარა მანქანამ მანქანაში, თითქოს ფანტასტიკურ ფილმს უყურებდა. დარჩა ასე, გაკვირვებული...

ის ოთხიც დაკარგა ამასობაში. არ უძებნია. ისევ მეტროში დაბრუნდა.

– შემოეთრიე!

– წესიერად მელაპარაკე, თორე შეგტენე ეს შენი ფინალი!

– უი, ეს რა მითხარი... წესიერება მოუნდა! ნახე, რას ბლატაობს ბიჭი! დაიჩოქე, ვირო!

– დავაი რა!

– არა?! მოდი აბა ერთი, რქები მომფხანე!

– მამაშენს მოფხანე!

– მოვიდა მათრახი!

– უხ, შენი...

– ნახე რას ბლატაობს?! მინაზე გგონია თავი?

– აბა, სად ვარ?

– ვერ მიხვდი?

– ჯოჯოხეთში?

– აი, ჭკვიანი ბიჭი, მიხვედრილი... სკოლაში ალბათ ნიჭიერს და ზარმაცს გეძახდნენ... კუპრს ტემპერატურა ხო არ მოვუმატოთ, რალაც საღად მეჩვენებო... არადა რა კარგად გააგორე ის ბიჭი! კლასს! ვისში პილოტაჟ! მომენონა, ჩემი ფავორიტი ხარ...

– არ მინდოდა იმ ბიჭის მოკვლა!

– უი, ეს რა მითხარი? არ გინდოდა? დანა კი გლიჯე შიგ გულში...

– რას ეჩრებოდა, ნასულიყო თავის გზაზე, მოსაკლავს ვკლავდი! მაგრამ მისი მოკვლა არ მინდოდა, მოვუქნიე შეშინდება-მეთქი და ვერ მოვზომე...

– იმ კაცს რას ერჩოდი, ვისაც მისდევდი?

– ის კაცი არ იყო, ის იყო არაკაცი... ის უნდა იყოს ჯოჯოხეთში!

– ანუ, შენმა ერთმა ძმაკაცმა წაიყვანა შენი მეორე ძმაკაცის მეუღლე აბანოში... კარგად მაქვს საქმე დედამინაზე დაყენებული...

– შენ საიდან იცი?!

– ვიცი, აბა ვინ გაკეთებინებთ ამას, გგონია თვითონ მიხვდა?! ხოდა ჩამოვა ისიც ქვესკნელში, ერთ ქვაბში მოგათავსებთ ორივეს და ითუხთუხებთ! იმ კაცს რას ერჩოდი?

– ვინ კაცს!

– იმ ტაქსისტს, შენ რომ გაგიტანა, ისიც მოკვდა. გულმა უმტყუნა, კაცი მოვკალიო! მინდოდა, ისიც ქვაბში შემეთბო, მაგრამ არ გამატანეს, შენი მოკვლა ცოდვად არ ჩაეთვალა... ხედავ, არც გაფასებდნენ იქ, მინაზე! სამაგიეროდ, აქ მყავხარ პატივში. აბა, კუპრის ქვაბი გირჩევნია თუ დავალება?

– რა დავალება?

– მეტროში ახვალ, იქ ერთი კეთილი სული დაძრწის და ბოროტება ვერ ჩამიდენია. გააუენებლყოფ, გაიგე?





- ვერ გავიგე...

- ქვაბში რომ ჩაგაგდებ ისევ, მაშინ გაიგებ! დააბრუნეთ უკან და კუპრს ტემპერატურა მოუმატეთ!

კარი გაიღო და ადამიანის ზომის ორი დიდი ვირთხა შემოვიდა უცებ, ორ ფეხზე იდგნენ და კულებს მათრახვით ატყლაშუნებდნენ.

- ხო, კარგი, ჩავალ მეტროში.

- და რასაც გეტყვი გააკეთებ...

- რამე მაღალი ადგილი ნახე რა!

- რატო?

- იქედან რო გადმოფრინდე და...

- ჰა-ჰა-ჰა... რას მაცინებ, რისი თავი გაქვს, ლაყაფისტი ესა. ფუ, რა ხალხთან მიწვევს ურთიერთობა, ლამის ვიტყვი! მოკლედ, დავალებას შეასრულებ - დაგანიშნაურებ!

- დანიშნაურება რას ნიშნავს?

- კუპრის უფრო დიდ ქვაბში მოხვდები, ხალვათად იქნები. ახლა რო ხარ, ფეხსაც ვერ ანძრევ!

- შენ ალაოდ ხო არ ხარ? კუპრი კუპრია, არ ნავალ!

- გაიყვანეთ ეს მძორი, ტემპერატურა მოუმატეთ და აბლავლეთ! ...

- მოიცა! ხო, კარგი, ნავალ!

- თუ კარგად შეასრულებ დავალებას, მერე შეიძლება კაზინოში გაგიშვა სტაჟირებაზე: უფასო ბარი, ლამაზი ქალები, ფულები ოხრად...

- ანუ ადამიანის სახე მექნება?

- ადამიანის სახე, მიწაზე რომ იყავი, მაშინ დაკარგე!

- აბა, ვინ ვიქნები?

- აარჩიე: ან კოლო იქნები, ანოფელესი და ერთ დღეში მიგასრისავენ ადამიანები ყურზე და უკან დაბრუნდები, ან ვირთხა... სამაგიეროდ მეტი დრო გექნება, სანამ ან მოგწამლავენ, ან ხაფანგით დაგიჭერენ!

- არსადაც არ ნავალ!

- ხო, კარგი რა, რა ავარდი, შეგაშინე! კოლოებს და ვირთხებს მისი პატრონი ყავს, სხვა განყოფილებაში არიან! მოკლედ, მეტროში ადიხარ! ქვესკნელის მერე გამონათებაა, მეტი რა გინდა?!

დღეს ალბათ დასვენების დღეა, ლამის მუშები არ ჩამოსულან. იფიქრა რითი გავერთოო და ლექსის შეთხზვა დაიწყო... უცებ, კაცი დაინახა! გაუკვირდა, არავის ელოდა ახლა აქ! თან უფრო ის გაუკვირდა, რომ მიხვდა, ეს კაცი აშკარად მისკენ მოდიოდა, ანუ ხედავდა... კაცს ნაცნობი სახე ჰქონდა, მაგრამ უცებ ვერ გაიხსენა ვინ იყო...

- გამარჯობა!

- მე მეუბნები?

- ხო, შენ... ჩამოვჯდები აქ!

- ჩამოჯექი!

- რას აკეთებდი?

- აი, ლექსს ვთხზავდი!

- რა ლექსს?

- „სიყვარული მეტროპოლიტენის გვირაბში“, ასე ჰქვია...

- და ვის უნდა ნაუკითხო?

- რა ვიცი.

- აბა, მე წამიკითხე!

- გაინტერესებს?

- ხო, აბა რატო გითხარი!

- კარგი, ლექსი - „სიყვარული მეტროპოლიტ-

ენის გვირაბში“:

ღრუბლიან დღეს შენს ჩრდილს მეტროში
დავუნყებ ძებნას,
არ გაგიკვირდეს ვიპოვი არ გეტყვი როდის,
პაემანს გინიშნავ, არ მოხველ, იქნება გზა აგებნა,
ვხედავ, შენს მაგივრად,
ცისფერი პანტერა მოდის!
ორნახევარ ფურცელს ზეპირად გეტყვი
ასფურცელას ზღაპარს,
და მერე შენთვის ტკბილ კანფეტებს
შევაჭრი ფორჩებს,
მეტროს გვირაბში ლიანდაგზე თუ
გნახავ დამჯდარს
მოვალ და ჩუმად ყურში გეტყვი: - „ჩაიჩოჩე!“
მორჩა, როგორია?
- არ ვიცი, არ მიყვარს ლექსები!
- ხო, დიდი ვერაფერია, მონყენილობა მოვკალი.
- ვინ მოკალი?!
- მონყენილობა!
- მე კიდევ, კაცი მოვკალი!
- ვინ მოკალი?
- არ გახსოვარ, ის დანიანი კაცი, შენ რომ გაჩერება გინდოდა, მე ვარ?
- ხო, ახლა გიცანი! რას მერჩოდის?
- შენ არაფერს, მაგრამ, რას ეკვებებოდი, რა შენი საქმე იყო, წასულიყავი შენი გზით!
- ყვიროდა კაცი, მიშველეთ, მკლავენო!
- ის კაცი არ არის, არაკაცია!
- რა დაგიშავა?
- ბიჭო, სამი ძმაკაცი ვიყავით, პურს ერთად ვჭამდით, სასმელს ერთად ვსვამდით და ბოლო კუბ გასაკეთებელსაც ერთად ვიკეთებდით... მერე ერთი ძმაკაცი დაგვიჭირეს... ხოდა, იმ არაკაცს, ვისაც მოსაკლავად მივსდევდი, დაჭერილი ძმაკაცის ცოლი დაუთვრია და აბანოში წაუყვანია...
- რატო?
- შენ მთლად დებილი ხარ? რატო და საბანაოდ...
- ხო, კარგი, გავიგე რატომაც, მაგრამ ის ქალი რატო დათვრა და რატო გაყვა...
- ბიჭო, ქალმა რაც არ უნდა გააკეთოს, კაცს კაცობა უნდა ეყოს, ძმაო. თან, ვის უკეთებ ბიჭო პოდლობას, შენ ძმას? არ იყო მოსაკლავი?!
- ხო შეიძლებოდა გეცემა...
- მოიცა რა! იცი რატომ ვარ ახლა აქ?
- რატო?
- შენს გასანეიტრალებლად. რას აკეთებ ასეთს?!
- ისეთს არაფერს... და მე რატო მეუბნები?!
- მე ჩემი ცოდვა მეყოფა, ძმაო, გარენარი კი არა ვარ... იმასაც გეტყვი, რატო დავთანხმდი აქ ჩამოსვლაზე თუ ამოსვლაზე. მე რომ უარი მეთქვა, ალბათ სხვას მოგიგზავნიდნენ, თანაც ერთიცი იქნება და ხო ჩამოეთესლება აქ ის ახვარი... მაინც მოვკლავ, დიდი-დიდი რამდენიმე გრადუსი მიუმატონ იქ ჩემს ქვაბს!

ინფორმაცია: დღეს თბილისის ერთ-ერთ მეტროს სადგურში ახალგაზრდა მამაკაცის სუიციდის ფაქტი მოხდა. თვითმხილველების თქმით, დაღუპული მოქალაქე მომავალ მატარებელს ისე უეცრად ჩაუვარდა, რომ შემანქანემ დამუხრუჭება ვერ მოასწრო. თვითონ შემანქანე თავზარდაცემულია და ამბობს, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს უეცრად ვილაცამ ხელი კრა ამ კაცს, თუმცა იმ მომენტში მის სიახლოვეს არავინ იდგაო, ხოლო ბაქანზე მყოფი მგ-



ზავრები ამბობენ, რომ მოესმათ სიტყვა „მიშველეთ“ თუ „მშვიდობით“... კარგად ვერ გავარკვიეთ, ალბათ უფრო „მშვიდობით“. ანუ, ამ სიტყვებით, ის ემშვიდობებოდა თავის ნაცნობ-მეგობრებს და ოჯახის წევრებსო...

– ჩემი მისია ამონურულია!
– ალბათ ჩემიც, ხელი ვერ შეგიშალე...
– ისე გამოდის, რომ შენ გადაადგდე ის კაცი. წინ რომ მელობებოდი ხელი გკარი, შენ კი მას დაეჯახე. ლამის თანამონაწილე ხარ!
– მე იმ კაცის გადარჩენა მინდოდა!
– შავები ხო არ გინდა ახლა ჩაიცვა! მაგ კაცმა სულში ჩამაფურთხა და მიიღო რისი ღირსიც იყო!
– ხო, მაგრამ შენ არ ხარ მოსამართლე!
– არ იყო საჭირო მოსამართლე! თავის თავს თვითონ გამოუტანა განაჩენი!
– შენს თავს დააბრალებ, მაგარი ძმაკაცი გყოლია!
– ამაზე ვგიჟდები, ტო! ეს რა გაგვიკეთა, რომ გამოვიდოდა ის კაცი სვაბოდაზე, რა უნდა მეთქვა? ხო მკითხავდა, ის ახვარი რომ ამას აკეთებდა, შენ რა ქენიო?
– არ ვიცი...
– მგონი არავის ვახსენდებით! წავიდეთ ზემოთ! ცუდია, რომ იქ მიწაზე არ გიცნობდი! ლუდს დალევა ახლა კაცი პარაპეტებთან! ხო წამოხვალ?
– წამოვალ, მაგრამ ჩვენ ვერ დავგინახავენ და ხო არ მოვიპარავთ! მოდი, ისე ჩავიაროთ და შევხედოთ!
– მოიცა რა, ორი ლიტრა ლუდი არ დააქცევთ, მივიდეთ და ავილოთ, ვითომ დაქცევიათ...
– შენ რა, ლექსების წერა დაინწყე?
– რა ლექსები?
– „მოიცა რა, ორი ლიტრა ლუდი არ დააქცევთ,

მივიდეთ და ავილოთ, ვითომ დაქცევიათ“ – ლექსია, მეტი რა გინდა!

– ვა, მაგარია, ლექსების წერაც დამინყია! აბა, წავედით! ...

– კარგი, წავიდეთ...

– უფ, კარგია მიწა!
– ხო!
– აი, ახლა ის ტაქსი გაგვიჩერებს!
– არ არსებობს!
– რა არ არსებობს!
– ეს ტაქსი დამეჯახა შენ რომ შემომაკვდი, მერე იმ კაცისთვის გულს დაურტყამს!
მართლა გაააჩერა ტაქსმა, მძლოლი გადმოვიდა, უხმოდ ტიროდა, ცრემლები ღვარ-ღვარად მოდიოდა: „მაპატიე ძმაო“, – ძლივს ლულულუღებდა.
– მორჩი რა, თუ ძმა ხარ, არ მიყვარს ეს ცრემლები და ტრაური!
– სანაპიროზე ხო ჩაგვიყვან...
– ე. ი. მაპატიე...
– კი, ოღონდ უნდა პარაპეტებთან მიგვიყვანო! ლუდს ხო დალევა!
– დავლევა!
– აბა წავედით... „სამი ლიტრა ლუდიც არ დააქცევთ, მივიდეთ და ავილოთ, ვითომ დაქცევიათ...“
– რა მაინტერესებს, საათი რომელია ახლა?
– გერქარება სადმე?!
– არა, მაგრამ მაინც!
– თერთმეტი საათი და თერთმეტი წუთი...



ღონ კიხობის ბრალია ყველაფერი...

დღეს დილით, როცა ამაოდ ვინატრე ერთი ჭიქა ლუდი, გადავწყვიტე ბიზნესი დამენყო. სხვა თუ არა, ლუდის ფული მექნება...

სანამ ბიზნესს დავინწყებდე ხომ უნდა ვიცოდე, რას ვინყებ... ვიფიქრე კოტეს ვკითხავ, იგივე „პროფესორას“ – მეთქი.

მე და კოტე ერთ იტალიურ ეზოში ვცხოვრობთ. იტალიაში არ ვიცი როგორი ეზოებია, იმიტომ რომ წამყოფი არ ვარ. აქ, ჩვენ ეზოში, კი ერთმანეთზე ყველამ ყველაფერი იცის. მე და კოტე ძმაკაცები არასდროს ვყოფილვართ, თუმცა ერთ ბაღში დავდიოდით და ერთ კლასში ვსწავლობდით. კოტეს ადრეც სულ წიგნები ეჭირა ხელში. სკოლაშიც სულ ფრიადოსანი იყო. „პროფესორას“ ვეძახდით. მერე ბიჭებმა აგდება და დაცინვა დაუწყეს. მერე ხუმრობა-ხუმრობაში სათვალეც გაუტეხეს. ეს უკვე არ მომენონა – მაინც ჩემი ეზოელი იყო და სამი კლასელი ისე ვცემე, თვითონ ალბათ არც გაუგია. ამის შემდეგ დაცინვას ვერავინ უბედავდა. რომ მეგონა ყველაფერი იცოდა, მაინც საზღვარგარეთ წავიდა სასწავლებლად. რა ისწავლა, არ ვიცი. მართლა პროფესორი გახდა. რომელიღაც ინსტიტუტში ლექციებს კითხულობს. ახლა მარტო ცხოვრობს. მშობლები სოფელში გადა-

ვიდნენ საცხოვრებლად, ხანდახან რაღაცეებს უგზავნიან, ან თვითონ ჩამოაქვთ. ცოლი არ მოჰყავს თუ არავინ მოყვება, არ ვიცი. ერთხელ, მეზობლებთან ეთქვა, სკარლეთ ოჰარა მიყვარსო. ეტყობა, უცხოეთში რომ სწავლობდა, ეს სკარლეთი იქ მისი ჯგუფელი იყო... მოკლედ, გადავწყვიტე კოტეს ვკითხო რჩევა, თან სიტყვა ბიზნესის ზუსტ ქართულ მნიშვნელობას გავიგებ, იქნებ ლუდიც...

ზარის დარეკვას აზრი არ აქვს, ვიცი არ მუშაობს. კოტე ზედმეტი ელექტროენერგიის ხარჯვას ერიდება. ზარი პირობითად აქვს, იმიტაცია. ვაკაკუნებ...

– რომელი ხარ?
– გაგა ვარ!
– რომელი გაგა?
– მეზობელი ვარ, კაცო, გაგა!
– არ არი...
– რა არ არი?
– ისა, რა გინდოდა?
– წიგნი.

უცებ საკეტები ახმაურდა. მერე კარი გაიღო, მაგრამ მთლად არა. ახლა ჯაჭვი იჭერს. ნეტა რად უნდა ეს ჯაჭვები, შეუვარდება ვინმე? გამოჩნდა კოტეს თავი, გეგონება საპარიკმახეროდან ახალი





გამოსულია. ამ ვარცხნილობას ბავშვობაში, მახსოვს, „პოლბოქს“ ეძახდნენ. ადრეც ასეთი ვარცხნილობით დადიოდა. ჯაჭვის იქედან და სათვალის ზემოდან გაკვირვებული მიყურებს, არ ვიცი რას ფიქრობს, მაგრამ კარგს რომ არაფერს, აშკარად ეტყობა. მერე სათვალის შემხედა, რა დარწმუნდა მე ვიყავი, მეუბნება.

- არ ვარ ახლა ანეკდოტების ხასიათზე.
- რა ანეკდოტი?
- ანეკდოტია, აბა რა არის, შენ და ნიგნი.
- ვითომ, რატო?
- იმიტომ. მატყუებ?
- არ მატყუებ!
- ნიგნი რად გინდა?
- ნიგნი რად უნდათ?
- გააჩნია ვის! ვერ გამიგია, ნიგნი რად გინდა?
- ვითომ რატო?
- იმიტომ. კიდე მაგიდის ჩოგბურთი უნდა ითამაშო?

ეტყობა ბავშვობა გაახსენდა. ერთხელ ტენისის რაკეტა გამიტყდა და კოტეს ნიგნი ვეთხოვე. რა თქმა უნდა, რისთვის მინდოდა, არ იცოდა და რა ნიგნი გინდაო, მკითხა. რამე, მაგარი-მეთქი. მაგარი სერვანტესიაო. მერე „დონ კიხოტ ლამანჩელით“ სამი პარტია მოვიგე. ტენისის მაგიდა ეზოში გვედგა. უცებ ვილაცხას ცემენო და საჩხუბრად გავცვივდით. ნიგნი მაგიდაზე დავტოვე. უკან რომ დავბრუნდით აღარ დამხვდა. მერე ეს მაგიდა ერთ-ერთ ცივ ზამთარს შეენირა. ნიგნი ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერ გავიგე. არ ვიცი, შეიძლება ისიც ზამთარს შეენირა... კოტე იმ ვილაც დონ კიხოტის გულისთვის სამი თვე საერთოდ ხმას არ მცემდა. რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ უკვე და თუ ვეტყვი რამეს, მპასუხობს, თორემ თვითონ ეთქვას რამე, არ მახსოვს...

- არა, არ უნდა ვითამაშო. უნდა წავიკითხო.
- მეორე ანეკდოტი.
- შენ რა, გგონია ნიგნი არ წამიკითხავს?!
- რა კაი თქვი! - მითხრა უცებ.

...ახლა საბავშვო ბაღი გამახსენდა. აღმზრდელმა საახალწლო ზეიმისათვის ლექსები გვასწავლა. მე ერთი ლექსი ვისწავლე, ასე იწყებოდა „ახალო წელი გნატრობდი, გულის ფანცქალით გელოდი...“, კოტემ მთელი ჯგუფის ლექსები ზეპირად იცოდა და თუ ვინმეს შეგვეშლებოდა, გვკარნახობდა. აღმზრდელმა, აბა შენ რომელ ლექსს იტყვიო, რომ ჰკითხა, კოტემ დონიჯი შემოიყარა და ზუსტად ასე უპასუხა: „აუფ, რა კაი თქვიო!“ არც ერთი ლექსი არ თქვა. კი ვიცოდი ეს „რა კაი თქვი“ დაახლოებით რას ნიშნავდა, მაგრამ მაინც ვკითხე.

- ეს რას ნიშნავს?
- არ მგონია, დარწმუნებული ვარ, - გაეცინა.
- არ შემომიშვებ? - ვისარგებლე მომენტით.
- ჯერ მითხარი, რა ნიგნი გინდა, იქნებ არ მაქვს?
- უცხო სიტყვების ლექსიკონი.
- მთლიანად უნდა ისწავლო? უცხოეთში ხო არ აპირებ?

- არა, ერთი სიტყვა მაინტერესებს.
- რომელი სიტყვა?
- ბიზნესი.
- რა ბიზნესი?

- სიტყვა ბიზნესი რას ნიშნავს?
- სიტყვა ხო არ გაქვს, ან წნევა. დილით გაისინჯე?
- მართლა მინდა ამ სიტყვის მნიშვნელობა გავიგო, არ შეიძლება?
- ერთი სიტყვის გამო ნიგნი რად გინდა?
- მაშინ, მითხარი, სიტყვა ბიზნესი რას ნიშნავს?
- რად გინდა?
- ბიზნესი უნდა დავინყო, ხო უნდა ვიცოდე რას ვინყებ!
- კიდე ანეკდოტი. რა ბიზნესს იწყებ?
- ჯერ არ მაქვს გადაწყვეტილი.
- კარგი, შემოდი.

კარს ჯაჭვი ახსნა და გაალო. შევედი. ისე დასუფთავებული და დანკრიალებულია ყველაფერი, როგორც ძვირადღირებული სასტუმრო. ფანჯრებს და პარკეტს ბზიალი გაუდის. რად უნდა ამას ცოლი და სკარლეთ ოჰარა? სასტუმრო ოთახში დავსხედით. ორჯერ თუ სამჯერ მესამე თუ მეოთხე კლასში აქ მათემატიკის დავალებაც მაქვს განაკეთები. განაკეთები რა, ის წერდა მე ვინერდი. ის მიხსნიდა, მე სურათებს ვათვალისწინებდი. ისევ ის ორი სურათი, რაც ბავშვობიდან მახსოვს. ერთზე გოგონა ჩანს ბურთზე, ეს ეს არის ჩამოვარდება, მეორეზე კიდე თავიდან რომ შეხედავ, თითქოს აბლაბუდას ქსელია, კარგად თუ დააკვირდები, კაცი ჩანს წვერებით, ქულით და ხელში ფუნჯით...

- ე. ი. ნიგნი გინდა... - გამანყვეტინა სურათების დათვალისწინება.
- კი.
- ბიზნესს იწყებ?
- კი.
- არაფერი არ გამოგივა.
- ვითომ რატო?
- ბიზნესი რომ დაინყო, რალაცა გამოცდილება გჭირდება. ბოლოს და ბოლოს, ნიგნი უნდა გქონდეს ნაკითხული!
- იმიტომაც მოვედი.
- ე. ი. დღეს ნიგნს ნაკითხავ, ხვალ ბიზნესს დაიწყებ?!
- კი.
- რა გეშველება?!
- მეშველება, აბა არ მეშველება? მილიონერი რომ გავხდები, მერე შენც დაგეხმარები. გინდა, ერთ ბიბლიოთეკას გიყიდი?
- არ მინდა. რა ნიგნებიც მაინტერესებს, ისედაც მაქვს.
- მაშინ, მთხოვე, რაც გინდა.
- გთხოვო, კარგი. ერთი ის რომ ჩემს კარებზე დაკაკუნებას მოერიდე. მეორე, გაანებე ამ საქმეს თავი, შენგან ბიზნესმენი არ დადგება.
- რატო, ცა და ქვეყანა ბიზნესშია, მე რითა ვარ ნაკლები.
- ამას ჰგონია ბიზნესი იოლი საქმეა, - გვერდით გაიხედა და იქ უთხრა ვილაცხას.
- იოლი? ვინ თქვა იოლიაო, მე ასე არ ვფიქრობ, - მეც იქით გავიხედე, საინტერესო არაფერი, ირგვლივ სულ ნიგნებია ჩამწკრივებული.
- ხო კარგი, გიხსნი: სიტყვა ბიზნესი საერთოდ საქმეს ნიშნავს, უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონით კი ეს არის საქმიანობა პირადი გამდი-



დრების მიზნით.

– პირადი რა პონტია? ეტყობა, ეს კომუნისტების დროინდელ ლექსიკონში წაიკითხე?

– და შენ ფიქრობ, ბიზნესმენობა რომ გინდა, საკუთარ თავზე არ ფიქრობ?

– საკუთარ თავზეც და მილიარდელი რომ გავხდები მერე მივხედავ ხალხს! – ის არ ვუთხარი, ლუდზე რომ ვფიქრობდი.

– შენ და მილიარდელი... კიდე ერთი ანეკდოტი...

– ვნახოთ კაცო...

– ოქროს სასახლეს ამიშენებ, შენს რომ მორჩები მერე!

– კი.

– მოკლედ, ბიზნესი გითხარი რასაც ნიშნავს, კიდე რა გინდოდა?

– მანდ, წიგნში, ლუდზე არაფერი არ წერია? – მაინც ვერ მოვითმინე.

– შენ რა, ლუდი გინდა ანარმოო?

– არა, დავლიო მინდა.

– არა, ეს არ წერია.

– რა სტუმართმოყვარე ხარ?! ის მაინც არ გკონდეს წაკითხული, როგორ ქვია, ხო, „სტუმართმოყვარეობა“.

– „სტუმარ-მასპინძელი?“

– ხო.

– რაღა გინდა? სიტყვა ხო აგისხენი?

– მკითხე, ლუდს არ დალევ-თქო?

– ლუდს არ დალევ?

– კი.

– ხო გითხარი, უკვე – არ არი...

... ეჰ, დონ კიხოტის ბრალთა ყველაფერი. წამოვედი...

ის იყო სადარბაზოდან უნდა გამოვიდე, ფეხების ბრაგა-ბრუგი მესმის ზემოდან. „პროფესორაა“ ალბათ. არ ვიხედე.

– დამელოდე. ხინკალი სად ექნებათ ახლა კარგი...



ანა ერისთავი



შობა

ფრთებს ისწორებს და
 სიმღერას აწყობს,
 იისთვალემა,
 პატარა ჩიტი,
 საღვთო სიხარულს
 მოუტანს მინას,
 იესოს შობა,
 მადლით ავსილი.
 ფიფქებზე ზიან
 ანგელოზები,
 ოქროცურვილი და
 მოხატული,
 ფანჯარასთან დგას
 მოხუცი დედა,
 მკრთალი სახე აქვს,
 – ლოცვით დაღლილი.

* * *

ნიავი ცელქობდა
 პატარა ბავშვივით,
 ცა იყო ფაქიზი
 ღვთისმშობლის ხატივით.
 ჭრელ კაბას კერევედა
 სათუთი აპრილი,
 გულისპირს შვენოდა
 ყაყაჩო გაშლილი.
 ცაში ღმერთიანო
 – ჩურჩულით ამბობდი,
 არ დაამნუხროო
 შენი ანგელოზი,
 ხატებთან დაანთე
 წმინდა სანთლები,
 განსაცდელისგან
 დაგიცავს გამჩენი.
 ...ცისა რა ვიცოდი,
 მინაზე შობილმა,
 მაგრამ დედის ლოცვამ
 ცა-წმინდა გამიხსნა.
 სანთელი დავტოვე,
 რომ მარტო ელოცა,
 პატარა ვიყავი
 და ასე მჯეროდა.
 ნიავი ცელქობდა,
 პეპელას დასდევდა,
 სულში შემოჭრილი
 ნათელი – სანთლობდა.
 ტაძრის ნანგრევებთან
 უწმინდეს მინდორზე,
 ყვავილი ფეთქავდა.
 ზეციურ სინათლედ

ხავსიან ლოდებთან
 ბრწყინავდა სანთლები,
 ბილიკი მიდიოდა
 ეკლიან ვარდებში.
 ფარფატა პეპელა
 არაფერს ნაღვლობდა,
 ყვავილთა სურნელი
 უცოდველს ათრობდა.
 პირველად როდესაც
 ავანთე სანთელი,
 მუხაზე გალობდნენ
 სამოთხის ბარტყები.
 – ამ გზაზე თუ ივლი...
 დედა ჩურჩულებდა:
 უფალი გაკურთხებს,
 უფალი შეგენევა.
 ...სანთელი დავტოვე
 მარტო რომ ელოცა,
 პანია ვიყავი
 და ასე მჯეროდა.

* * *

მზით და მთვარით მოხატულს,
 მომფენელო სინათლისა,
 ჩემო ტკბილო საქართველო,
 საყდარი ხარ მეუფისა.

* * *

ჯვარზე – ჯვარია,
 უფლის ხატია,
 ჯვარი სწერია
 ჯვარს,
 ჯვარცმული ქრისტე
 ჩვენი მხსნელია
 და გვიადვილებს გზას.
 ოთხივე კუთხით ქერუბიმები,
 სამოთხის კარებს რთავს,
 ქართველისათვის,
 მცხეთასთან ჯვარი,
 უფლის ზმანებას ჰგავს.
 ჯვარზე ნისლია,
 ვაზის ჯვარია,
 ჯვარი სწერია
 ჯვარს,
 მტკვარი,
 არაგვი
 და ალაზანი
 ქრისტეს ყანასა
 რწყავს.



ჰეპელას ნათქვამი

რა ლამაზია ნუთისოფელი,
იით და ვარდით
ცა მოჭიქული.
ფრთაფარფატა ვარ,
ნამივით წმინდა,
ერთ კვირას ვცოცხლობ,
მაინც ვარ მშვიდად.
ცისა და მიწის ალერსში ვინვი,
ქათქათა შროშნის
მივყვები ბილიკს,
თავზე ვეველები
ლურჯთვალა იებს,
სიზმრად და ცხადში
გვირილებს ვუმზერ.
ადამის ძეო,
შენ ცოცხლობ დიდხანს,
თუმც, არასოდეს,
არა ხარ მშვიდად,
ყაყაჩოს თიბავ,
ენძელებს თელავ,
მზეს რომ შეხედო,
ცოდვილი ბედავ.
– ასე პატარა როგორ გჯობივარ?
სინათლეს ვეტრფი
გზას ვჭვრეტ მორჩილად,
წავალ ღრუბლებში,
ჩუმად ჩავქრები,
აცრემლდებიან იასამნები.

ყაყაჩოებს,
ფურისულებს,
კორჩიოტებს,
ენძელებს,
ქვესკნელიდან,
ზესკნელამდე,
ქრისტე,
ლოცვით აცოცხლებს.
ლამაზია სამყურები,
დილის ცვარით ნამული,
ლამაზია საქართველო,
– ვაზი –
უფლის დარგული.

წმინდა ნინოს ლოცვით,
ზეცა გახსნილია,
მოციქულთა სწორი
– ქრისტეს ყვავილია.

ზარაკონი

ვაზის ჩუქურთმაში
მტევნები ელავს,
ფრთათეთრ ბარაკონს
ღრუბლებში ვხედავ.
მტრედივით ღულუნებს
შროშნების ხევში,
მტრედივით მშვიდია
სინმინდის მფენი.
ფაზისი ეფერება
გვერდს როცა უვლის,
მყინვართა სამეუფო
გალობას უთვლის,
ჭუთხაროს მთებიდან
იღვრება სინათლედ,
ყველაფერს აგისრულებს,
თუ გულით ინატრებ.
ბზები და იები
გუმბათსა ცვივა,
ნაომარ ციხესთან,
საუბრობს ხშირად,
როცა მას ვუყურებ
ცა – წმინდა მესხნება,
უბინო ქალწული
ქრისტეს ვევედრება.
ღვთისმშობლის საუფლოა,
ლოცვა აქვს ლიბოდ,
მზის კალთას გვაფარებს,
ღმერთთან რომ ვიყოთ.

ქვემო შვირალის
ყვითელი ანგელოზო,
ზეციურ სარკმელის
სულისთვის გამღებო,
უფლის მგალობელო,
სენისგან დამხსნელო,
დარდის შემტყობო
და დიდო მფარველო;
ორსავე სოფელში
იყავი პატრონი,
მასმინე გალობა
კირიელეისონი;
როცა გაეყრება
სული და ხორცი,
შემიმსუბუქე
სავალი შორი...





ნანა ქელესიძე

32



ჯვარი

მედიდგულებიო, ბედმა, მედიდქალებიო,
ვერ გადააღწევო მასთან, უცხო მთებს გადაღმა,
მთებიც მინააო, ბედმა, მინა – ავიაო,
მხარზე ჯვარი აქვსო, მარცხნივ, შენგან დამალული.

მედიდქალებიო, ბედმა, მეჯიუტებიო,
ნატკენ ფეხზე არის ძნელი ზოგჯერ ჩამოყრდნობა,
ჩაიჩეხებითო მერე, უცებ, ჭიუხებში,
მერე – დადგებაო ღამე შავი, ყორნისფერი.

გესიკვდილებაო, ბედმა? გეიმქვეყნებაო?
მაინც მარტო ხარო, იცი, განაპირა.
რა აიხირეო, ქარის დევნა, ყვავილები?
დამიხსოვრეო – გერგე სამგლე, სატიალე.

ნუ მექალებიო, ბედმა, გირჩევ დაივინყო –
როგორ გაუყვავო ბილიკს, თითქოს ცა მიჰქონდა,
სიზმრად მიუხვალო, მენდე, ძილში მიუხვალო
და ტუჩებს შერჩები მოტკბო გემოდ, შაქარივით.

მედიდგულებიო, ბედმა, მეავქარებიო.
მედიდქალებიო, ბედმა – გეიმქვეყნებაო?
ერთხელ, თვალებიდან, როგორც ჩიტებს ამოგაფრენ
და მზეს გაგაყოლებ ქერის შორი ყანებისკენ.

* * *

სისულელეა, პირველი, ან ბოლო სიყვარული,
მოგონილია...
არის უნარი –
ორ ხეს შუა გაბმულ თოკზე შეგეძლოს გავლა.
და თუ ერთხელ მაინც შეძელი,
განწირული ხარ –
მთელი ცხოვრება ინარჩუნო წონასწორობა.
აღარ არსებობს პირველი, ან ბოლო გავლა გაჭიმულ
თოკზე,
როცა ჩნდება ის ერთადერთი,
აი, ამ ნუთას, რომ გაკავებს მაშველ ჯოხივით
და სადღაც, მაღლა,
გეხმარება გადარჩენაში.



თეთრი კუფელი

აღმოსავლურია ჩემი სიყვარული –
ბათქაშზე მუქად გახაზული ტუჩები.
დუმს.
ყველა სიტყვას კედლის შიგნით იბრუნებს.
ახლა ყველაფერი სხვაგვარად არის,
ამ უსიტყვო მორჩილებას კი მაინც ვერაფრით გადავეჩვიე.
სულ მინდა დავამშვიდო,
რომ მეტი საშინელება, ვიდრე ეს კედელია, აღარ მოხდება,
სულ მინდა ვუთხრა,
რომ ამის იქით დაბრუნება აღარ არსებობს,
ის კი მაინც ზურგით დგება და მიშვებს.
ეს ისეა, როგორც,
კარი შეხსნა და – ტრიალ მინდორში აღმოჩნდე.
ეს ისეა, როგორც-გზები დაბრუნდნენ და შენ ვერსად გიპოვონ.
მე ვისწავლე ჩუმად ყოფნა.
მის მორჩილებას კი მაინც ვერაფრით გადავეჩვიე –
მივდივარ ხოლმე თეთრ კედელთან და
ტუჩის კუთხესთან ყვითელ ზაფრანებს ვახატავ.

განგაში

შენგან მოხაზულ წრეში მოვექეცე, ტუსალივით,
ყელზე მოვლულ კანაფის თოკის ტყვეობაში.
ნაბიჯი მარჯვნივ, ნაბიჯი მარცხნივ – უსასრულოდ.
ნაბიჯი წინ, ან ნაბიჯი უკან – ტყეებია

ხშირი, ან იქნებ არც ისე – მხოლოდ მომეჩვენა.
სულ ცოტა უნდა, რომ ქალი აყვეს ილუზიებს,
არც გზაა, ერთი ვინრო ბილიკი, მოხვეული.
აღარც მზე – მხოლოდ მკრთალი შუქია, უჩვეულო.

შენი სახელი წითლად, ბატისტის მაქმანებზე,
ამოვაქარგე – ახლა თვალისგან დაცული ხარ,
გარეთ სიკვდილი მთვარეს, როგორც ტივს აქანავებს,
მერე დაჯდება და ცას წყალივით გადაცურავს.

მანამ კი დათვლი ვაზნებს, დარჩენილ დღეებივით
და გზა გექნება სახიფათო და ავდრიანი –
შენ წილ სამშობლოს მინა სისხლით აქვს შეღებილი,
შენ – გულს ჰაერში სამიზნესავით აფრიალებ.

თუმც, რახანია, სამშობლო მზეზე გაგვიხუნდა,
მას, სამშობლოსაც, ჩვენ რა ხანია დავავინყდით,
ყურებში მიდგას მსუყე ფრაზების რახა-რუხი,
გარეთ კი, მაინც, გულისამრევი სიჩუმეა

და შემოსაზღვრულ წრიდან ნაბიჯსაც ველარ ვადგამ,
ყელთან მოჭერილ კანაფის თოკის ტყვეობიდან,
სულს კბილით ვიჭერ, ტყავის მოვერცხლილ ლაგამივით,
ისე მინდა რომ მხარზე, სულ ოდნავ, ჩამოგეყრდნო.



მინა

ცხოვრებას,
როგორც შავ-თეთრ პეიზაჟს,
მხოლოდ მკაცრი ხაზები შვენის.

არავითარი ქრელა-ქრულა,
რა პეპლები და ყვავილები.

სველ მინაზე
ხელის გადასმას უნდა ჰგავდეს ყველა შეხვედრა.

34



* * *

მინაყრილივით მილაგია მუხლზე ხელები
და არ ვიცი საით წავილო.
ჩემი მუშტად შეკრული თითები,
ჩემი ორი მდუმარე საფლავი.
მოდი,
თეთრი ხეები დამირგე და ერთად ვიცინოთ:
„ვაი, დედოფალ ტყემლების ბრალი...
ვაი, დედოფალ ტყემლების ბრალი...“
საფლავებივით მილაგია მუხლზე ხელები
და ვაკვირდები.
ისე დამძიმდნენ – ვერ ავნიე,
ყურებამდეც ვერ მივიტანე,
რომ ჩამეხშო შენი დუმილი.

* * *

რა ცხრა მთა, ცხრა ზღვა, ცხრა ოკეანე –
ნეტა თავს გარეთ გამატანინა შენი ლოდინი,
თუნდაც ჩემი მკლავის მანძილზე,
მზერის მანძილზე,
გაფიჩხული, მკვდარი მხეცივით გამათრევინა.
არც მოვაცლიდი მინიდან აკრულ ბალახებს, ფოთლებს,
სასწრაფოდ ორმოს ამოვთხრიდი სადმე, ხის ძირში
და ჩავფლავდი პანიკურ შიშით –
არ გაახსენდე,
უცებ თვალი არ გაახილოს.

შავლეგ, შენი შორი სუნთქვა...

„შავლეგ, შენი შავი ჩოხა...“

ზაფხულის ფერს შერევია ლეგა,
უშენობას ყველა ნერვით ვითმენ,
ივლისის მზეს ინახავენ შლეგურს
შენთვის, ჩემი ჩამოშლილი თმები.

შენთვის, ჩემი დანისლული მზერა,
აქედან და... შენამდე და... ქარის
იქეთ აღარ გადავკიდოთ გზები,
სადაც ყველა სიხარული ქრება.

სადაც ბნელში სინანული ხობავს,
ვიდრე მიღმა მონატრება ყვირის,
სანამ სითბოდ შემოუცვამს ჩოხა,
შენი გულის ჩამონატეხ ყინულს...

შავლეგ,
შენი შავი ჩოხა, ბიჭო,
შენი სალი, ატეხილი მხრები
სულში ქვებად ჩამწყობია, მიჭირს
და საშველად შენს სიყვარულს უფხმობ,

თორემ ვკვდები, თორემ ნებით გთმობ და
ბოლო ლოცვად ქართულ კაბას ვიცვამ,
სისხლში ვნებად გამბნევია გრძნობა,
თმაში მზესაც უკვე სცივია, ვიცი...

შავლეგ,
შენი შორი სუნთქვა, ბიჭო...





ნანა მარლიშვილი



ვავედრებ უფალს

ნედლი მიწის ოხშივარი მათბობს,
ზღვა ღიმილად დაიცალა ეს ცა,
მარტი ანცობს, როგორც ცელქი ბავშვი,
ნიავი კი ღრუბლის ქულებს პენტავს.
შემოვურბენ ყოჩივარდებს კორდზე,
ტყის სიჩუმეს შევერევი ფრთხილად,
დავუჩოქებ და ვავედრებ უფალს
ჩემი ქვეყნის ყოველ ლამაზ დილას!..

ჩისკრის ვარსკვლავებო

ცისკრის ვარსკვლავებო,
თქვენზე მალოცვინეთ, –
დარდად ნუ ჩამყვებით გულში!..
ბაბუანვერებო, თავი რად დახარეთ,
რატომ დაიმორცხვეთ გუშინ?!
ჩემს გულში ატეხილ
ქარიშხალს ეგონა,
ნამლეკა და სადღაც გაქრა;
ვერ მომატყუა და...
განა შეიძლება,
ტყუილი რომ მითხრას ახლა?!
ლანდივით ჩამიარა
ლამაზმა გრძნობებმა,
დატოვა დარდი და ჯვარცმა!..

სულ მენატრები,
ასე მგონია, ისევ გაქრები,
სულ მეშინია –
შენი დაკარგვის.
მოდი... დავთვრები,
შემომილენავს ქარი აშარი,
იდუმალ ფიქრთა
ღამეულ აჩრდილს.
დავიკარგები –
დროში, სივრცეში
და მერე გრძნობებს
ფრთებივით გავშლი.
ჩემი ცხოვრების
გალენილ კალოს
არაფრად ჩავთვლი,
დახანძრულ ტკივილს
მოგიტან და
ცრემლებით ნავშლი.




* * *

ცხოვრება ცხენია უბელო,
ჯირითში ამოგხდის სულს,
არ ვიცი, საიდან ვუყელო,
რომ არ გადამთელოს სულ.

მჯეროდეს მინდა

მინდა, რომ ამამლეროს გაზაფხულმა,
და შენმა გალიმებამ გამახაროს,
თვალეში ჭინკების აცეკვებამ
სხვა თვალით დამანახოს ეს სამყარო.
მინდა, რომ ვთვრებოდე შელამებით,
ნამკალში მწყრებს ფერხული გავუმართო,
დამახრჩოს ყვავილთა სურნელებამ,
მჯეროდეს, ვცოცხლობ და არ ვარ მარტო...





ბიორბი ბერკიძევილი

ნაოხარი სოფლის მუხრეები



შელამების ხანს – მთა „სანავარდო“-ს მწვერვალი მატყლის ფთილებისნაირმა ღრუბლებმა დაფარა. სადღაც – შორს, გაშავებულ ცაში ელვა იკლავებოდა. ხეებზე ჩანოლილი ნისლები შელამების ბინდუნდმა ერთიანად დამალა. მოახლოებული ავდრის მოლოდინში, ჩიტები სოფლის დაცარიელებული სახლების სახურავებს აფარებდნენ თავს. მალე უმთვარო ღამის წყვილადმი ჩაიკარგა მთის ულამაზესი ხეობა. ნაოხარ სოფელში სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა.

ნარგიზამ ნავთის ღამფის ფითილს ანთებული ასანთის ღერო მიუახლოვა. ცეცხლი ფითილზე გადავიდა და შავი ბოლი ჰაერში წვრილად აინელა. მოხუცმა დიასახლისმა გაბზარული შუშა ღამფის ყელს რის ვაი-ვაგლახით ჩამოაცვა და აბუზღუნდა:

– კაცო, ხო ხედავ, აღარ ვარგა ეს სატილო. რა მოხდება მაჩურაშვილების ღამფა რომ გადმოვიტანოთ, მაინც ოხრდება უპატრონოდ მიგდებული. მაგ ღამფის წასაღებად მოვლენ გამოქალაქელებული პატრონები, არა? – უსაყვედურა ნარგიზამ მეუღლეს.

ირაკლიმ ხელები ჰაერში გაასავსავა, ერთი ამოიოხრა და ღია აივანზე გავიდა.

„ასეც ვიცოდი, ნეტავ, ნერვებს რალად ვიშლი?“ – ჩაილაპარაკა დიასახლისმა, კედლიდან პიჯაკი ჩამოიღო და ქმარს გაუტანა:

– კაცო, ასეთ ამინდში შენი გარეთ ყოფნა შეიძლება? ავად რომ გახდე, რა გვეშველება? წამლის მომტანს ვინ ჩივის, წყლის მომწველიც არა გვეყავს. სულ შენი ბრალია, ჩვენები რომ გადაიკარგნენ. ვის უნახავს თბილისიდან მობრუნებული? – კიდევ ერთხელ უსაყვედურა ნარგიზამ მეუღლეს და ოთახში შევიდა.

„ოხ, თქვენი... ყველა ქალი აბაზიანებივით ჰგავხართ ერთმანეთს. მაინც გამოძებნით საშარო მიზეზს. არადა, უთქვენოდაც რომ არ ვვარგვივართ“, – ჩუმად ჩაილაპარაკა მოხუცმა მონადირემ. მერე სხვენში ასასვლელ კიბეზე ავიდა და აღმოსავლეთის მხარეს ცას გახედა. „შუალამიდან გამოიდარებს. გათენებისას, სანავარდოზე წავალ, იქნებ, რაიმე ვინადირო“, – გაიფიქრა გახარებულმა.

„ტარზანას“ ყვილმა გამოაღვიძა ნადირობის ტრფიალი, ერთ დროს, ხალხმრავალი ხეობის ცნობილი მონადირე. „ტარზანა“ ახლა რომ მათ ქათმებთან ათენ-ალამებს, ადრე, შიშმანაშვილებს ეკუთვნოდა. ბარში რომ სახდლებოდნენ, მამალი გადაიკარგა და სოფელში მშობლიური კერიის მოღალატე პატრონების წასვლის შემდეგ დაბრუნდა. განა მარ-

ტო შიშმანაშვილების მამალი? დედაქალაქში გადმარგებული თანასოფლელებისგან მიტოვებული ორი სახედარი, ექვსი ძალი და ათზე მეტი კატა შეიფარეს ნარგიზამ და ირაკლიმ. ახლა მხოლოდ „ტარზანა“, მთიბელაშვილების ფინია „ჯეკი“, ბაიდაურების სახედარი „ჩორნა“ და ქოქორიშვილების კატა „ლუსი“ შემორჩათ. ამათგან, ძველი ოჯახის ერთგული სახედარი „ჩორნა“. მთელ დროს, ირაკლის სახედართან ერთად, მინდორში ატარებს, შელამებისას კი ბაიდაურების გომურს უბრუნდება.

არ მოტყუებულა ამინდის გამოცნობაში გამოცდილი, ხანდაზმული მონადირე. შუალამიდან ცა გაიხსნა. რიჟრაჟი დარის მომასწავებელი იყო. ირაკლიმ „ტარზანას“ ყვილსაც კი დაასწრო ლოგინიდან ადგომა. ნარგიზამ უსაყვედურა კიდევ:

– სათოხნად წასასვლელს ძლივს გაღვიძებ, სანადიროდ მიმავალს, რა ეშმაკები გაღვიძებენ უთენიასო, – მერე საგზლიანი ზურგჩანთა გაუნოდა, – ირაკლი, დღეს ორმოცი დღე სრულდება ბეჟანანთ ვანიკოს გარდაცვალებიდან. ცოტა სასმელი ჩაგიდგი, სასაფლაოზე აიარე და მის საფლავთან წაიხემსე. სანთელი აანთე და სასმელს თავი წაუქციე. იმ უბედურს, შენს მეტი, ვინ დარჩა მომგონებელი. სიკვდილი სიკვდილია, ყველას კარზე დაიჩოქებს. უბედურება ის არის, რომ ღვთისნიერ კაცს სისხლი და ხორცი არავინ დარჩა. ნეტავ, ვინმე მაინც ჩასახლდებოდეს მის სახლ-კარში. გულსაკლავია, უპატრონობით რომ ოხრდება იქაურობა, – დაიჩვილა ნარგიზამ. ნირნამხდარი ირაკლი ეზოში ჩავიდა.

ბეჟანანთ ვანიკო ბოლო, უპატრონო თანასოფელი იყო, ვისაც საიქიო სასუფეველი დაუმკვიდრეს ნარგიზამ და ირაკლიმ. მარტოსულად დარჩენილებს ხმის გამცემიც აღარ დარჩათ, ერთ დროს – ხალხმრავალ სოფელში.

მკათათვის მზე აღერსიანად ეფერებოდა სანავარდოს ფერდობებს, აბიბინებულ მინდვრებს, ნაოხარი სოფლის კარ-მიდამოებს. ერთ დროს, ნახირით სავსე საძოვრებს – ორი სახედარი, სამი ძროხა და ამდენივე ბოროლა შემორჩენოდა.

ამაო სიარულით დაღლილ ბერიკაცს მუხლში ღონე ელეოდა. სანადირო ძაღლის გარეშე დარჩენილ ირაკლის, თვალის საწიერზეც არაფერი შეუნშინავს. „მოდ, ცოტა დავისვენებ და სახლისაკენ დავეშვები“, – გაიფიქრა იმედეგაცრუებულმა მონადირემ და ხის ძირს მიაყუდა ვაზნებით დატენილი თოფი. „რა ხანია, ამ მხარეში თოფი არ გავარდნილა. უკვე მესამედ მოვიარე, ნადირ-ფრინველით გავსილი, დალოცვილი მთის ფერდობები, სულ ტყუილად. მოდი, ისე, ემ-





მაკების დასაფრთხობად, მაინც დავაგრიანებო“, – გაუელვა ხის ჩრდილში მინოლილ ბერიკაცს. მერე ცდუნებას ვერ გაუძლო, თოფს ხელი წაატანა და ორივე სასხლეტი ერთდროულად დაუშვა. თოფის გრილის ხმამ გადაუარა ფერდობებს და ექომ ნაოხ-არ სოფლამდეც მიაღწია.

„ღმერთო ჩემო, კიდევ გავიგონე თოფის გასრო-ლის ხმა ამ გავერანებულ არემარეზე. იქნებ, ეს წუთი იქცეს ხალხის აქ დაბრუნების წუთად“, – გაიფიქრა ნარგიზამ და თვალზე მომდგარი სიხარულის ცრემ-ლი ხელისგულებით შეიმშრალა.

სანავარდოს მთიდან ჩამოსულმა ირაკლიმ, სახ-

ლისაკენ მიმავალ ბილიკზე გადაუხვია. სოფლის დასაწყისში, შიოლაშვილების ნასახლართან ჩამო-ჯდა და თუთუნი გააბოლა. დიდხანს გასცქეროდა ბარისაკენ მიმავალ, აბალახებულ გზას, ერთ დროს – ავტომანქანები რომ დაგრიანებდნენ. წესად ჰქონ-დათ ნარგიზასა და ირაკლის ნასახლარების თვალის შევლება. აქ, ამ ნაოხარ სოფელში იწყებოდა და აქვე მთავრდებოდა მათთვის სამყარო.

ღმერთმა მშვიდობა მისცეს და დალოცოს ეს ფუძე-კერა, იქნებ, კვლავ სიკეთითა და სიცოცხლით ახმაურდეს ეს კურთხეული არე-მარე, – ქართველობის ერთ-ერთი ბურჯი, ციხე-სიმაგრე და მესაძირკველი.

მეჩონგურა

პატარა, მინურ-ნესტიან ოთახში ნავთისა და ჭვარტლის სუნი იდგა, მაგრამ ასეთ ყოფას მიჩვეულ მეჩონგურეს, ეს არ ანალვლებდა. სანდრომ სა-გულდაგულოდ ალესილი ნაჯახი, გათენებისას – ძე-ბნა რომ არ დაეწყო, ძველ „ტაბურეტკას“ მიაყუდა. მერე – ძველისძველი რკინის ჯამიდან, ცივ წყალში დამბალი, ხმელაპურის ნატეხები ფეხზე მდგარმა გადასანსლა. მერე ნავთის სანათური სულის შებერ-ვით ჩააქრო, ძველი „ტელოგრეიკა“ ტანზე მოიგდო, ფეხსაცმელები გაიძრო, თხელ ლეიბზე გადაწვა და თვალეები მილულა. მთელი დღის მშვიერსა და დალ-ლილ-დაქანცულს მალე ჩაეძინა. ღიად დარჩენილი – ცალფრთიანი კარი გამუდმებით ჭრიალებდა. გონებადაქვეითებულ მეჩონგურეს ავლა-დიდებას მშობლების დანატოვარი ერთოთახიანი ბუდრუგანა შეადგენდა.

რიჟრაჟზე, კარის მეზობლის, „აკრავანთ გიგ-ოლას“ მამლის ყვილიმა დაუფრთხო ძილი მთელს უბანს. სანდრომ ფეხსაცმელები ჩაიცვა, ნაჯახი აიღო – საჩონგურე ხის მოსაჭრელად და ორაგუბის მინდვრისაკენ მიმავალ შარაგზას გაუყვა. მანანნრის რიყეში ლიმონათის ბოთლი წყაროს ცივი წყლით აავ-სო და გზა გააგრძელა. ის იყო, ტყისკენ გადაუხვია, რომ ელვანაცემივით ადგილზე გაშეშდა. „იქნებ, ბერ-დიას მაგიდაზე, გუშინ იქეიფეს და, საჩემო სასმუს-ნავი დარჩათ?“ – გაუელვა თავში მშვიერ სანდროს და ტყისმცველ ბერდიას ფანჩატურში ავიდა. ნაქეიფარ ხევსურს, ხის უბრალო მაგიდაზე, სანვიმარ ლაბა-დაში გახვეულს, ისე ღრმა ძილით ეძინა, მისი მისვლა არ გაუგია. სანდრომ ბერდიას თავთან დადებულ საჭ-მელებიან პარკთან მიახლოება ვერ გაბედა. მთიელი კაცის სიმკაცრე ყველამ იცოდა. ერთხანს, სანდროს მიმართაც დაუნდობელი იყო, მაგრამ კარგად გაც-ნობისა და მისი „ავლადიდების“ ნახვის შემდეგ, მის-დამი სიბრალულის გრძნობა გაუჩნდა. „ეს უბედური ნამდვილი ცოდვისმხილებაა, ალალგულა და ენაყ-ბედი. კარგია, რომ „ჭკვამხიარულია“, თორემ ამის ადგილზე, სხვა თავს მოიკლავდა, ან ბოროტმოქმე-დი-ავაზაკი გახდებოდაო“, – ხშირად იტყოდა ხოლმე, სანდროზე საუბრისას, ხევსური ტყისმცველი. თვი-თონ კი, ხშირად ეპატიჟებოდა ნასუფრალზე, მოქე-იფეები რომ უტოვებდნენ.

სანდრომ ორაგუბემდე მანძილის გავლას დიდი დრო მოანდომა. დასუსტებულ-დაუძლურებულ მე-ჩონგურეს აღმართების ავლა უჭირდა. სულისმო-სათქმელად, ხშირად ისვენებდა. დაღლილ გულს მანანნრის ხევის წყლით იგრილებდა. ორაგუბის მინ-დორთან შეგულბებული ხის მოჭრაც გაუჭირდა. მის საჩონგურედ დაკოპიტებას კი, შუადღემდე – დრო

მოანდომა. „დღესვე დავამთავრებ ამ ჩონგურს და ხვალ ბაზარში პირველივე კლიენტს მივყიდი ნები-სმიერ ფასად და საჭმელებს ვიყიდი“, – გადწყვიტა სანდრომ. მალე სახლისკენ დაეშვა. მანანნრის ხევში, მეტყევე ბერდიას ფანჩატურში, უცხო ადამიანები შორიდანვე შენიშნა ტყიდან გამოსულმა და ტანში საამო ჟრუანტელმა დაუარა. ფეხიზლად მოდარაჯე ტყისმცველმა შორიდანვე იცნო მეჩონგურე და წყ-აროსთან ჩავიდა, რომ სანდროს დახვედროდა.

– არა, ბერ-დი-ა, ხე არ მო-მი-ჭრია. ესე ვი-პოვ-ნე, – იმართლა სანდრომ თავი მეტყევესთან, წინ რომ გადაუდგა მოულოდნელად.

– ალბათ, შენზე გიჟი „ბადოიჩი“ მოჭრიდა და დააკოპიტებდა კიდევ, არა?!“ – გაეხუმრა, შემთ-ვრალი ბერდია გაფითრებულ სანდროს, თან ხელკავი გაუყარა. – ეხლა ჩემთან ნამოხვალ და სტუმრებს გაამხიარულე, თუ გინდა საჩონგურე გაგატანო, – თქვა ხევსურმა და გაბრაზების ნიშნად შუბლი დაჭ-მუჭნა. მშვიერ სანდროსაც ეს უნდოდა.

– ბატონი, პრინცი! მისი ბრწყინვალეობა სან-დრიკ-ძველგალავნელი, – სიცილით წარუდგინა ტყ-ისმცველმა სანდრო შეზარხომებულ მოქეიფეებს და გვერდით მოისვა. ჯერ პურიც არ ჰქონდა სტუმარს გატეხილი, თამადამ სუფრასთან შემოსწრების სა-დღეგრძელოს თქმის უფლება რომ მისცა. ენაყბედმა, ჭკუამხიარულმა სანდრომაც გაუტია:

– გუშინ ბაზარში თხუთმეტი ჩონგური მივიტანე. სულ ერთ საათში გავყიდე, თითო – ოთხმოც ლარად. ნახევარი ფულით საჭმელები ვიყიდე. ის მუშას გა-ვატანე სახლში. მე ხელოსნების სანახავად წავედი. თორმეტი კარებისა და ოთხმოცდაექვსი ფანჯრის შეკვეთა მივეცი, რა თქმა უნდა, თელანუშის მასალის. უშანგი თუნუქი ორ კვირაში ჩამომივა გერმანიიდან, – ისევე თავის „სასახლის“ თემაზე აპირებდა ტრაბახს ლატაკი მეჩონგურე, მაგრამ ბერდიამ შეაცვლევიანა:

– სანდრო, საქონლის ამბავი აინტერესებთ, იმა-ზე გვიამბე, – უთხრა ტყისმცველმა, თან თამადას თვალი ჩაუჭრა. თამადას გუნება შეეცვალა, მაგრამ ხათრით გაჩუმდა.

– შარშან, ორასორმოცდაათი მაკე ცხვარი თუშ მეცხვარეებს მივაბარე. ბატკნებიდან ეხლა ხუთასი მაინც იქნება. ყველისა და მატყლის თანხას ხელზე მომცემენ, საკლავს ყოველთვე მიგზავნიან. სამო-ცამდე ძროხა და ამდენივე ბოჩოლა მთაში მყავს მიბარებული. მწყემსები იქაურები არიან. ეს ცოტა შელავათს მაძლევს და თვეში, თავი-ბოლო, ხუთ ლარს ვუხდი ერთ სულზე. ძროხის ყველით სავსე მაქვს სახლის სარდაფი. ღორები თავის გოჭებიანად – ათას სულს აჭარბებს... – კიდევ აპირებდა თავის



„სიმდიდრეზე“ ლაპარაკის გაგრძელებას, ტრაბახის მოყვარული სანდრო, მაგრამ თამადამ შეანყვეტინა:

– ბიჭებო, ამ კაცს გაუმარჯოს თავის „ავ-ლადიდებით“, თავისი „ჯარებითა“ და თავისი „პეპ-ლებით“, – თქვა შეზარხოშებულმა თამადამ და ქეიფი დაამთავრა.

– ბერდია, საიდან არიან, ან როგორ მოაგნეს შენს მაგიდას მაგ ვაი-მოქეიფებმა? ღვინო დალიეს, დრო გაატარეს და ღვინის მადლის სადღეგრძელო არც გახსენებიათ. შევარცხვინე მასეთი ქეიფი, ეგ „მუცლის ამოყორვა“ უფროა ვიდრე – დროსტარება, – უსაყვედურა სანდრომ და იმავე გზას გაუყვა, მოქეიფეები რომ მიბანცალებდნენ, ხან ლანძღვა-გინებითა და ხანაც დამახინჯებული „მრავალჯამიერთ“.

სანდროს ნათქვამმა გუნება-განწყობილება წაუხდინა შეზარხოშებულ ხევსურს. იდგა გაოგნებული ბერდია-ტყისმცველი ერთ ადგილზე და თვალს არ აშორებდა „ჭკუამხიარულ“ მეჩონგურეს, რიყზე გაბილიკებულ გზას რომ მიუყვებოდა, – ილღიაში ამოჩრილი, დაკოპიტებული საჩონგურეთი.

ბინდებოდა, როცა სანდრომ ჩონგურზე მუშაობა დაამთავრა და ლარებიც გაუბა. მშიერმა და დაღლილმა მეჩონგურემ, ჯერ ცეცხლოვანი ქართული საცეკვაო, მერე სასიმღერო მელოდიები ააჟღერა. დაძინების წინ ხმელაპურის ნატეხი რკინის ჯამში

მდგარ ცივ წყალში დაალბო და რის ვაი-ვაგლახით დაღეჭა.

მეორე დღეს თუშურქუდიანმა, წვერ-ულვამ-შეჭალარავებულმა კაცმა, შევაჭრების გარეშე გადაუხადა სანდროს ჩონგურის საფასური. სანდრომ პური, იაფფასიანი ყველი, პომიდორი იყიდა და აჩქარებული ნაბიჯით შინისაკენ გასწია.

ბერდია ადრე დილიდან ყარაულობდა ხევის წყაროსთან, მაგრამ სანდრო არ ჩანდა. „მოდი, სახლში მივაკითხავ, რაიმე უბედურება არ იყოს მის თავს“, – გაიფიქრა ტყისმცველმა. შოთისპურები, ღვინო, ნარჩენი მწვადი, ნახევარი ქათამი თან გააყოლა და სანდროს სანახავად წავიდა

გვიან საღამომდე ესმოდათ ღარიბი მეჩონგურეს მეზობლებს მოქეიფების ხმა. სანდრო რელიქვიადქცეულ, პაპის გათლილ, ჩონგურზე უკრავდა. რამდენჯერ ყოფილა მშიერ-მწყურვალი, მაგრამ პაპისეული ჩონგურის გაყიდვა გულშიც არ გაუვლია. სამჯერ დალია, შემთვრალმა ბერდიამ, ღვინის მადლის სადღეგრძელო. მის ცნობიერებაში სანდრო, ჭკუამხიარული და ენაყბედი მეჩონგურე, წინადღის პურმარლის შემდეგ, უფრო გონიერი, ენაწყლიანი და სიტყვა-მადლიანი გახდა.

ღმერთმა შვება მისცეს ყველას.





ნათია რუზინიქა

40



იბედოთერაპია

რა ხანია სარკეს ემალემა, სულ არ სცოდნია თანაგრძობა. მშიერი ძალლის გამმაგებით ლოკავს შიში ფიქრებს. იმედი საცალფეხო ბილიკით მიუყვება სასონარკვეთილების უფსკრულს. ღმერთთან სიახლოვის განცდა უდაბნოს მირაჟით სასურველი, მაგრამ მოჩვენებითი გახდა.

– მეშინია განთიადების...
– ნუ ფიქრობ მხოლოდ ცუდზე, დიაგნოზი არ ნიშნავს განაჩენს! მე მჭირდები, შვილებს სჭირდები! – დაამშვიდა მეუღლემ უკვე მერამდენედ.
სამი პატარა დამშრალ მდინარესავით ელოდა დედისგან ალერსით მოდიდებას.

ისევ მიაშურა ტაძარს. მოძღვართან საუბარი გონებას უნათებდა.
– გამხნევი შვილო, ავადმყოფობას ხშირად ქრისტეს სტუმრობასაც უწოდებენ, ამით თავისთან გვაახლოებს ღმერთი. მედიცინა უკვე დაგეხმარა ქიმიო და სხივური თერაპიით. განკურნების მთავარი ეტაპი – იმედოთერაპიაა, ამისთვის კი გყავს ერთი ღმერთი და სამი ანგელოზი. გახსოვდეს, „შეუძლებელი კაცთაგან, შესაძლებელ არს ღვთისგან“.
მოძღვრის ნათქვამი ყავარჯენივით შეეშველა, აღმართში მოხუცივით მიმავალ მის რწმენას.

იმედი წრეზე დადის და ყველა კუთხეში ჩერდება.

შენდოვის ჟამი

მაცდური ქალივით ღელავდა ზღვა...
ყოყმანით მიიღო გამონვევა.
ახსოვს, როგორ შეეხო წყალში მყარ საგანს, როგორ გადაარჩინა მეგობარმა, რომელსაც მერე ხშირად საყვედურობდა ჩადენილს, რადგან...
დადგა ჟამი ეტლთან შეურიგებელი მეგობრობის, სხვაზე დამოკიდებული ცხოვრების, ღმერთის უარყოფის, საკუთარი თავის უარყოფის მცდელობით.
ახლა მასში განაგრძობდა ღელვას შინაგანი ზღვა.

სარეაბილიტაციო ცენტრში ნახა გოგონა ნუგეშისფერი თვალებით და დატალღული თმით. როგორც ძლიერი შტორმის შემდეგ ნავსაყუდელს, ისე შეაფარა თავი ამ თვალებს. იმედივით აძლიერებდა მისი არსებობა.
მუხლმოდრეკით შეიყვანა გოგონამ მასში რწმენა. გოლგოთაზე ასატანი ჯვარივით მძიმე იყო ამის ქმნა. რწმენამ შვა სასნაული.
ერთად გაცვითეს მანძილი ჰორიზონტამდე, ცისარტყელას მოპარეს ფერები, გაზაფხულს – სიცოცხლის წყურვილი.



- აღარასოდეს ვუსაყვედურებ მეგობარს!
 - ესე იგი, ღმერთს შეურიგდი?!
- ხელისგულებით გაცვალეს მოულოდნელი სიხარული.

გზანი უფლისანი


დეკანოზ გიორგი თევდორაშვილს

ქუჩაში ახალფენადგმულ პატარას სიარულში მამიკო ეხმარებოდა.
 სევდამოედძალა, უკვე შევერცხლილი მამა მხოლოდ ფოტოდან ახსოვს, დედა რომ ინახავს საგულდაგულოდ.
 ვიდრე ბავშვი იყო, ეგონა, დაბრუნდებოდა. მოგვიანებით, როცა შიშველი სული ღმერთით შეიმოსა, აპატია
 სიშორე. ლოცვამ შეამცირა მანძილი.
 თავად გახდა ბევრისთვის მამა...

შებინდებისას, მომაკვდავის საზიარებლად ნაიყვანეს უცნობებმა.
 ირგვლივ ყველაფერს მზრუნველი ხელი აკლდა. სულთმობრძავი ძლივს გასაგონად მეტყველებდა.
 - ცოდვით დამძიმებული სული მტანჯავს, შემომეშველე ლოცვით, მამაო.
 - შენდობა სთხოვე ღმერთს, შვებას იგრძნობ, - სცადა ნუგეშისცემა მოძღვარმა.
 დაღლილი ცრემლი მოერია მოხუცს.

მოასწრო ზიარების მადლით მისი განწმენდა.
 ანაზღად, ფოტო შენიშნა ახლადშესვენებულის სასთუმალთან. მზერა გაეყინა. გული აუტირდა, როგორც
 ბავშვობაში. მადლიერებით გაიფიქრა, „დიდ ხარ შენ, უფალო და საკვირველ არიან საქმენი შენნი.“





ტარიელ მარხვაშვილი

42



დაიბადა 1968 წლის 2 იანვარს საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძელში. 1996 წელს დაამთავრა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი – ქართული ენა-ლიტერატურის სპეციალობით. 2000 წელს დაამთავრა შსს აკადემია.

მისი ლექსები ქვეყნდებოდა ჟურნალებში „ცისკარი“, „ნიანგი“ და სხვა. ავტორია ერთი პოეტური კრებულისა.

რა გქვია,
გვიან მიხვდები ამას,
ეს ისტორიის საქმეა ისევ,
ბევრი დრო ნავალს
და ბევრი წყალი
და იქნებ
შემდეგ სახელად იქცე...
ვის რა დაარქვას
ეს იცის დრომ და
როგორც მსაჯული
იმგვარად გვიმზერს!

გაფიქრებასაც ვერ მოასწრებ,
გაგივა ყავლი
და მიგაგდებენ,
მიუგდიათ როგორც მრავალი...
ნუგეშად გრჩება
რაც აქამდე დრო მოილიე
და რაც ბილიკი გითქერია
შენი სავალი...
გაგივა ყავლი...
ავინყდებათ შენი სახელიც
და გზებიც –
შენი სახლისაკენ ბევრჯერ ნავალი.

ვისაც აღარ აქვს ჯიში –
ვისაც სამშობლო არ აქვს,
ის ვერ გაიგებს ჩემი
გულის დარდსა და ვარამს,
მისთვის სულ ერთი არის
ჩემი მზეცა და მთვარეც,
ჩემი უშბა და „ცივი“,
ქუთაისი და ზვარე.
ვგავარ აზიდულ შხარას,
მოვარდნილ იორს, არაგვს,
მე რას გამიგებს კაცი,
ვისაც სამშობლო არ აქვს?!
.....

ამიტომ არ მნამს მათი,
მათი შეხედვა მზარავს!

ათასში ერთხელ ნავილიღინებ,
როცა მარტო ვარ,
ვიხარებ ჭიას...
და მე მგონია,
რასაც ვმღერივარ –
რასაც ვჯახირობ,
სიმღერა ჰქვია.
მე ჩემი მიკვირს,
თორემ სიმღერას
რამდენი არქმევს
სცენაზე ჭრიალს?!...

არ მინდა
თქვენი იარლიყი,
თქვენი პატენტი,
როგორც ვიხედნე,
მომავალსაც ისე გავხედნი.
მე ვარ ქართველი –
გვართ, ჯიშით,
სისხლით ქართველი,
დაიმახსოვრეთ –
სხვა მონახეთ თქვენი სახედნი!

პეპელა ფრენდა
ჭრელაჭრულა, ფრანტი, ლამაზი,
საამქვეყნიო დღე ჰქონია
ჰა და ჰა... ორი...
და რაც იფრინა,
რაც იცხოვრა
მოსვლით წასვლამდი,
სულ გაიარა გასაველი
შრომით და ბრძოლით!..



სიცოცხლე ღირდა

სიცოცხლე
თუნდაც იმიტომ ღირდა,
რომ წამეკითხა
შოთა და საბა!..
სიცოცხლე
კიდევ იმიტომ ღირდა,
რომ გამესინჯა
„ნუნუა“, „ბაბა“...
სიცოცხლე ღირდა თუნდაც ამიტომ –
რომ შევხვედროდი
მზეს და ალიონს,
დავნაფებოდი
მეც ლექსის ნექტარს
და კიდევ ერთხელ
ხმამალლა მეთქვა:
სიცოცხლე ღირდა,
მადლობა ღმერთსა!

ჩუმად მოვსულვარ,
ჩუმადვე წავალ,
როგორც
მირკანში დამდნარი თოვლი,
წავიღებ ვნებებს,
წავიღებ ცოდვებს,
თუ რამ ვატარე
ამ წუთისოფელს...

მანამდე, ალბათ
ჭკუაზე მოვალ,
ცოდვებს გავუმხელ
ზენაარს – უფალს,
თუ შემენდობა,
სიცოცხლე ღირდა!
თუ არა...
ვნუხვარ, უფალო, ვნუხვარ!

მტრად მოხვალ? – მძულხარ

წყალსაც მოგანვდი,
მოგანვდი პურსაც,
რომ არ იფიქრო
სტუმარი მძულხარ!
დაპურდი? ნადი,
გზას გაუყევი,
მტერი თუ არ ხარ,
სტუმარი თუ ხარ...
სტუმრისთვის ლუკმა
არ მენანება,
გაგათევინებ ღამესაც მუქთად,
თუმც „ჯაყობთან“
და „ყივჩალებთან“
სიფრთხილე გვმართებს,
წინაპართ უთქვამთ!
დაპურდი? ნადი,
გზას გაუყევი,
ძმად მოხვალ? – მსურხარ!
მტრად მოხვალ? – მძულხარ!

ძმაკართან, წხინვალში

ხაბიზგინები,
ყველი, მწვანილი,
თხა დაუკლია, აზამატს, ბერნი,
თუნგიდან მოსჩქეფს
შავ-შავი ლუდი,
ბახალზე ყრია ქანარი – ვერცხლი.
მე აზამატას ჩემსას შევჩივი,
ისიც თავისას მიაბობს წყენით,
ბოლოს ვრწმუნდებით
(ადრეც ვიცოდით)
რომ პოლიტიკა
ძმობას ვერ შეცვლის!
სხვენზე ღულუნებს
მშვიდობის მტრედი,
თავზე ისმის ჭიკჭიკი მერცხლის.





თამარ კოლეიშვილი



დაიბადა 1956 წლის 25 მაისს იყალთოში. დაამთავრა თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. მისი ლექსები სისტემატურად ქვეყნდება სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში.

პოეტი

მთელი საღამო ვწერდი და ვშლიდი,
ქარი დაქროდა ჩემს სახლთან, ახლოს,
პოეტს მუდამ აქვს – რაღაცის რიდი,
პოეტი სულ სხვა სივრცეში სახლობს...
...შეუცნობელის შეცნობის ჟინით,
შეატორტმანებს ღვთიური გზნება,
მთებს დაძრავს, როგორც ზღაპრული ჯინი,
უჩუმრად, უხმოდ, ჩაიფერფლება...
კარგია, როცა იცი, რომ ქვეყნად,
ათი ათასი პოეტი დადის,
ზეცა გვახურავს ჩვენ ყველას ერთი,
ჩვენ გვაქვს საერთო ფიქრიც და დარდიც.
ღმერთია ჩვენი: მფარველი, შემწე,
ვგრძნობ, ანგელოზი ფოფინობს მხრებთან,
გვჯერა: სიკეთით გავარღვევთ ბურუსს,
გვსურს პირნათელი მივიდეთ ღმერთთან...

ჩემი სათაყვანო...

თეთრ მწვერვალებს სტუმრობს
თეთრი მდუმარება,
აქ ცა, თითქოს სხვაა,
თითქოს – უკარება.
კორდზე – ღვია, – ნაზი,
როგორც – ლერწმის ღერო,
ბაღში – ატმის ხეთა,
აფეთქება, – მწველი...
ხოდაბუნებს, მინდვრებს, –
ჭრელი კაბა მოსავს,
აქ ხომ, ყველა მღერის,
გული ყველას ლოცავს...
კახურ მიწას ასდის:
ოხშივარი, – დილის,
სადღაც, გაღმა მხრიდან,
ფურ-ირემი ყვირის.
ალავერდი მოჩანს –
მოღერილი ყელით,
ართანაში, ისევ,
ის, – „ლევანა“ მღერის...
და... ერეკლეს ციხეც,
როგორც – უტყვი მოწმე,
არის გარდასული
ავბედობის მომსწრე...
ჩაიქროლეს წლებმა,

რისხვით, განა ბუკით?..
სისხლს რომ ღვრიდნენ ჩვენსას:
ოსმალთ, თუ – თურქი.
კოშკებს კვლავ ატყვიათ, –
უნატიფეს ნაშთებს:
როგორ გვტანჯეს, გვგვემეს,
გვანამეს და გვმანთეს.
ის, რაც სხვამ დაგვაკლო,
დავიტეხეთ თვითონ,
ვინღა დავრჩით, ნეტავ,
ალალი და ხვითო...
მჯერა მოგვარდება,
მაღე, ყველაფერი,
ღვთივკურთხეულ მიწას
კვლავ, მოუვა ფერი...
ჩემს წრფელ სურვილს ახლა,
მონატრება ჰქვია,
მინდა ღრუბლებს გავყვე,
თეთრს, – ბამბისფერფრთიანს,
ან, – მოკითხვა ყველგან
დავაბარო ნიავს,
ვნახო: კიდი-კიდე,
ვნახო: უშბა, შხარა,
ხან, ვიარო ნელა,
ხანაც – ჩქარა-ჩქარა...
მოვაგროვო ციდან –
მოცვენილი ცვარი,
შევაჩერო მკერდით,
მოვარდნილი ქარი.
შევსვათ მარგალიტის
მიძვად წმინდა წყალი.
ღამით, კაბადონზე,
ვარს კვლავებო გთვალთ...
ვინძლო, ჩემი მიწა
არვის ვანაცვალო,
ჩემი ქვეყნის ხიბლმა
თრთოლვით დამიაროს...
დაგვილოცე, ღმერთო:
კერია და კალო,
ხერთვისი და თმოგვი,
გრემი, თეთრი წყარო.
ბაზალეთი, ზარზმა...
ყველა საფიცარი...
მინდა ჩემი კუთხე,
ფეხით დავიარო,
ყველა ტაძრის კართან –
მუხლი მოვიყარო,
...ჩემი სამშობლოა, –
...ჩემი სათაყვანო...



შევიწვლები, – თუკი, კიდეც, მოვალ...

თუ, ამქვეყნად კიდეც ერთხელ მოვალ,
ეს სურვილი შემისრულე, ღმერთო,
გავჩნდე ღამით, იყოს ფიფქთა თოვა
და ოთახში შუაღამის ენთოს...
ვიყო თუნდაც, უსახური, უშნო,
თუნდაც, დედის საძულველი შვილი
და ყველასგან უქომაგო, უძმო,
დავხობავდე, როგორც – მატლის მლილი.
დე, ცხოვრებამ დამალენოს ფრთები,
ჩემს ოცნებებს, მაინც, ღაღად გავშლი
და დალილი სულის იალქნებით,
ვიცურავებ ნუთისოფლის ზღვაში...
მისხალ-მისხალ გადავითვლი მარცვალს,
დავჯერდები ცოტაოდენ საზრდოს,
მე დავუთმობ ჩემს სასახლეს სხვას და
სადღაც, მინდვრად, ავიშენებ სადგომს.
ძველებურად გამოვლენავ ხორბალს,
ღამით დალილს არ მეყოფა ძილი,
ვაბზრიანებ ჯარას, ძაფის გორგალს,
მეყოლება უამრავი შვილი.
მრისხანებას დავიოკებ მყისვე,
ბოროტებას დავამარცხებ ღიმიით,
დარდს გავატან მორიალენის სიღრმეს,
გულს გამითბობს ზეციური სხივი...
მე ავიტან დამცირებას, – მრავალს,
ვერ ვიტანდი სულ პატარა სიტყვას,
მეხსომება, ვემსახურო მთავარს, –
საფიცარად მქონდეს ცა და მიწა.
უდრტვინველად მოვიხადო ვალი,
ჩემს ცხოვრებას ერქვას: ჭირთათმენა,
ვიყო მშვიდი, თავმდაბალი ქალი,
არ დავკარგო სასოება, რწმენა...
შევიბრალო ცოდვილი და ურჩი,
ჩემი წილი სხვასაც ვუზიარო,
ფიქრი ცუდი არ გავივლო გულში,
ჩემი ხნული მედგრად გავიტანო...
ვუპატრონო სიძველეებს, ამ ცას,
ქართულ მიწით ვიამაყო მუდამ,
მტერს ეგონა, საბოლოოდ დასცა,
სურდა ჩვენში მკვიდრად დაებუდა.
მაგრამ თუკი, კვლავ დადგება ჯანლი, –
ომი მეხად დაატყდება მიწას,
აბჯარს, თითქმის პირტიტველა ბალლი,

ვხედავ, თითქოს, რომ საომრად ისხამს.
მის მაგივრად, ომში, თავად წავალ,
ვით – წყნეთელი: მაია და ლელა,
მამულისთვის – სასიკვდილოდ მზად ვარ,
რომ დავიცვა სამკვიდრო და კერა...
...ახლა იქნებ, გვიანია ერთობ,
წლები განვლე, თითქმის დამათოვა,
რამდენი რამ არ მცოდნია, ღმერთო,
შევიცვლები, თუკი, კიდეც მოვალ...

* * *

ვაი, სანუთროო ცოდვიანო,
ასე, თვალნი როგორ დამეცა,
სხვისი – ნახელავი დავინუნე,
ჩემი – გამოვფინე კარებსა...
აღმართში ხნული ავიტანე,
წყალი არ ვასვი ხარებსა,
ჩემს თვალში – დირეც ვერა ვნახე,
სხვისი – გულზე ეკლად დამესვა...
ნემსის მპარავი შევაჩვენე,
აქლემის ქურდი რომ დამეცვა,
თონეში ჰური ჩამივარდა,
წყაროზე კოკა წამექცა...
წყალი დიდი დოქით მოვიტანე,
პემვი კერიაზე დამექცა,
მეზობელს ჯინაზე გავეჯიბრე,
ტკბილიც ვიშოვე და მწარეცა,
ჩემი წარმატება ცას მოვფინე,
სხვისი ცუდი – არემარესა,
ოცნების კოშკი ავიშენე,
მზეც ჩემად ვცან და მთვარეცა...

ღლეები მიდიან...

ღლეები მიდიან, ჩქარ-ჩქარა მიდიან,
ცამ გამოაფინა ღრუბელთა ლაშქარი,
ცხოვრება, ძვირფასო, ხანდახან ფლიდია,
როგორც – ეს, ვერაგი, ქარია აშარი;
უბედო ღლეები მიძივივით აესხა,
ღლემ ღამეს სადავე დროებით დაუთმო,
იყო დრო, უაზროდ ვებრძოდი კაემანს,
ახლა კი – მზადა ვარ, გრიგალებს გავუძლო.





ზაქარია რაზმაძე

46



დაიბადა 1987 წლის 7 ნოემბერს, თბილისში. დაამთავრა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი. ბავშვობიდან მღეროდა ვოკალურ-ინსტრუმენტულ ჯგუფებში, ასევე, ფოლკლორულ ანსამბლებში. როგორც ინდივიდუალური შემსრულებელი გრან-პრის სამგზის მფლობელია. ამჟამად მუშაობს თელავის მერიის კულტურის ცენტრის დირექტორად.

თელავს

როს, შემოდგომის ჩუმმა სიომ დაჰქროლა კახეთს,
ურმულის ზღვაში ჩაძირული სევდაც გამოჩნდა,
ცივის მთებიდან წამოსულმა სუსხიან ქარმა
აანოკა შუამთის ტყეც, არ დააყოვნა.
ვისაც უნახავს თოვლის საბანში გახვეული ძველი ქალაქი,
ერეკლეს ძველი ახალ დროს რომ ეჩურჩულება,
ჭადრის შრიალზე შენუხებული ძველი მეარღნე
ალაზნის მხარეს პირს რომ იქცევს და ჩაფიქრდება...
როგორც უდაბნოს ქარიშხალი, ისე წაგიღებს –
სადღაც, ფიქრებში... ისტორიაც თვალწინ გიდგება,
როგორც სალ კლდეზე მოხტუნავე ჯიხვი ამაყი
და ამ განცდაში ოროველას მღერაც გინდება.
იქით გახედავ – ალაზნის ველს... მემათიანეს...
წყნარი, ნელი სვლით კალაპოტს რომ ემორჩილება,
თვალს გააყოლებ ალავერდის ბრწყინვალე ტაძარს,
უკან... შუამთის მონასტერი მოჩანს ვით სევდა...
ამ ნეტარებით თავბრუდახვეულ ღამის ვნებაში,
ბახუსის მოსვლას ვერც კი იგრძნობ, დაგათენდება,
მამ, გაუმარჯოს!.. შუამთიდან დანყებულ გზას და...
ცივის მთებიდან სიამაყით დანახულ თელავს...

სულის ძახილი

თუკი, ოდესმე დაფიქრებულხარ გარდასულ დღეზე,
და თუ, გიგრძენია შენი სამშობლოს სულის ძახილი,
საუკუნეთა ჟამთა სვლაში თუ, გიპოვნია –
ან, გარდასული დღეები და სევდის ნაპირი...
თუკი, ოდესმე, გაგიგია: ვინ გყავდა ძველად,
სიზმრად გინახავს: დავით მეფე, ან – გორგასალი,
იქნებ, თამართან მუსაიფშიც აპობდი ღამეს...
იქნებ, ერეკლეს თხრობით უთქვამს კახთა ამბავი...
იქნებ, გიორგი, იგივე „გლახო“ გჩუქნიდა ფარ-ხმალს
ცხრა ძმანი გედგნენ სადარაჯოზე, არც იყავ მხდალი...
იქნებ, ცოტნე და მისი მოძმენიც გიცავდნენ ტაძარს,
იქნებ, ტიროდა მამლუქის დედა ქვეყნის ვარამით.
თუკი, ოდესმე, დაფიქრებულხარ გარდასულ დღეზე, –
ყაზბეგის თვალით თუ დაგინახავს ვაჟკაცის მკლავი,
იქნებ, ფშაველამ... სტუმრობისა წესიც გასწავლა.
იქნებ, ტაბიძემ შემოგიხსნა შენ გულის კარი...
იქნებ, ილიაც ყვარლის მთებთან გიმღერდა ნანას,
იქნებ, აკაკის გაუზრდიხარ აკვანში – შვილი,
ან, ლეონიძე, იმ ხის ძირში გითხრობდა ზღაპარს,
მტკვრის ნაპირს, იქნებ, გილამაზებდა ბარათაშვილი...



თუ, სვეტიცხოვლის კართან მდგარსაც არ გიფიქრია,
 თუ, არსაკიდე არ დაგისახავს ფიქრების მწყემსად,
 თუ, არ გტკენია, მოკვეთილი მარჯვენა მკლავი,
 თუ, არ ინამე შენ ის დღე, როცა მან სული შექმნა...
 ალაზნის ველზე ფრთაგაშლილი ალავერდის წინ,
 აბიბინებულ მინდორ-ველზე თუ, გირბენია...
 იქნებ, იყალთოს ნანგრევებზე თმაგანწილი,
 შვილმკვდარი დედის ტირილისთვის მოგისმენია...
 იქნებ, გვესმოდა ქართველის ჭირი, ქართველის ვარამი,
 იქნებ, გვესმოდა კონსტანტინე გამსახურდია,
 იქნებ, დათასაც... მოუხდია თავისი ვალი,
 იქნებ, წინამურს შეთქმულებით მოკლეს ილიაც,
 მაშ, ვალადა გაქვს... შენ, ერთადერთს, ქართველისა სული,
 მოვალეობად ნუ გაიხდი ანმყოში გმინვას...
 მიმოიხედე, შენს ქვეყანას მოავლე თვალი,
 ქალაქსა... სოფელს... მთებში ისევ წინაპრებს სძინავთ...
 თუკი, ოდესმე, ყოფილხარ თუშეთს, – ივლისის თვეში,
 თუ, ერთხელ მაინც შეგიგრძენია მთის სიდიადე,
 თუკი, ფერდობზე შეგინიშნავს გაშლილი ცხვარი,
 ცხენის ჭენებით თუ მოგივლია ის არემარე...
 ან იქნებ, ფშაფში... ვაჟას ლექსზეც გიქეიფია,
 იქნებ, სვანეთში შესწრებიხარ ზამთრის საღამოს,
 იქნებ, არაგვზე თევზაობით დაგთენებია
 და სული შენი მიგიცია ვნების სამყაროს...
 შელამებისას თუ ყოფილხარ ნარიყალაზე,
 თუ დაგინახავს თბილისს შუა გაჭრილი მტკვარი...
 ტივზე ნამღერი, – ჭრელ ბაღდადზე... თუ, ყურთ გსმენია,
 თუ ჟრუანტელს არ დაუვლია თავიდან ტანში.
 ან იქნებ, კახეთს, თელავს ნახე ცხრა საუკუნე,
 შუამთის გმინვა, იქნებ, შენს ყურს არც კი სმენია...
 თუ, შემოდგომას, ღვინობის თვეს, რთველში დაღლილი,
 გლუბკაცის ნათქვამ სიტყვებისთვის მოგისმენია.
 თუ, ნოსტალგია არ გწვევია ქართული სუფრის,
 კახური ღვინით, დღე – ღამეშიც აგირევია...
 თუ, გონაშვილის ოროველა და გოგლას ლექსი –
 მალრანის მხარეს, უღრან ტყეშიც, მოგისმენია...
 და თუ, ალიონს შეხვედრილხარ კავკასიონზე,
 თუ, დილის ჭირხლი არ გფენია სულის მალამოდ,
 და თუკი, ცრემლიც დაგვდენია საქართველოზე,
 თუ, თავი ჩვენი გაგვინირავს ქვეყნის საკარგოდ?..
 მაშ, გუგუნებდეს ორ ზღვას შუა, ნაომარ ველზე,
 მრავალჯამიერ იყოს, მარად, ქართული სული,
 და საქართველოს ციხეებზე, კვლავ, კიაფობდეს:
 ქართული ზეცა, ქართული მზე და ქართული გული!!!..

* * *

შენს სილამაზეს შევადარებ ღამეს იდუმალს...
 მთვარის მორევში...
 ვით უსასრულო, უსაზღვრო ფიქრებს,
 აბსტრაქტულ საგანს ჩემი ოცნების...
 ვით თეთრი მტრედი, ცაში აჭრილი,
 ვნებიან ბაგეს ბაგე ეხება,
 როგორც შვლის ნუკრი... ტყეში გაჭრილი,
 შენი თვალების ფერიც მერევა...
 ყველას ოცნებად ჰყავხარ ფიქრებში, ვით ანგელოზი...
 თეთრი ღამიდან...
 არც მე ვარ მათგან გამონაკლისი, ვზივარ... დაწვწერე...
 დრო კი, – გავიდა...





მაყვალა ზურაბაშვილი

48



დაიბადა 1948 წლის 11 ნოემბერს ლაგოდეხის რაიონის სოფელ ყარსუბანში. დამთავრებული აქვს თბილისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებელი.

მონატრება

მთის ფერდობზე მთიელ ქალთა ხმები ისმის,
ცისფერთვალა გოგო იქით მეგულება.

მენატრება მისი თვალთა გამოხედვა,
მისი გულის სითბო ძლიერ მენატრება.

გვეპარება, ეს სიბერეც გვეპარება,
ის პირველი სიყვარული მენატრება.

ვერხვის ხეთა ფოთოლცვენა მაგონდება,
შენი სახე არასოდეს მავინწყდება.

ჩამიქროლებს ნაზი სიო, მეფერება,
არა, არ მსურს, არასოდეს დაბერება.

დრო და ჟამი გრძნობებს მისცემს დავინწყებას
და დარჩება ჩვენს ხსოვნაში ტკბილ ზღაპრებად...

სიბერე და სიყვარული

სულმა სული თუ იპოვა,
დათოვლილი, თეთრი თმებით,
სიბერეში სიყვარული?
იტყვის ვინმე გაოცებით.

თუ სხეულით დავბერდებით,
არ ბერდება მხოლოდ სული,
სიბერეშიც ჩნდება, თურმე,
ის, – ნანატრი სიყვარული.

თვალთა თბილი გამოხედვა,
მოკრძალება, კრთომა გულის,
სიბერეშიც ხდება ხოლმე –
აფორიაქება სულის.

შემოდგომა დაგვდგომია, –
ჯერ არა ჩანს გაზაფხული,
თითქოს, სულთა ქორნილია,
ზღაპრული და დათაფლული.

მოფერება

სიო ფოთლებს არხევს ნაზად,
გაგეშლები ფიანდაზად,
შენზე ფიქრით დავილაღე
გენაცვალე...

მეგობრობამ ფრთა გაშალოს,
მტერმა მტრობა დაიშალოს,
სევდის წყაროვ, დარდის წყაროვ,
დაშრი მალე...

სიო ფოთლებს აშრილებს
და ფოთლები ჩურჩულებენ, –
წუთისოფლის შვილები ვართ,
გენაცვალე...

კარგს დავთესავთ, წინ დაგვხვდება,
ამის მეტი რა შეგვრჩება,
დარდ-ნალველიც გაგვშორდება,
უფრო მალე...






ნუზარ ვანიშვილი

არქეოლოგიური მოგზაურობა ტაოში

გავრძელება. დასაწყისი იხ. „ოლე“ №1, 2015.

მეორე დღე – 11 სექტემბერი



გვიღებ, რაც საჭიროა ის გადაიღებ. გამოდი ახლა აქეთ და ლოცვა გვაცალო“. მიტროპოლიტი ხომ კეთილმონყალე და მიმტვევებელია და მალევე მაპაატია.

დოლისყანიდან გამოსულნი შავშეთ-იალნიზჩამის გზების გასაყართან, იმერხევისა და ალაბალიკის მდინარეების შესართავთან გაგვაჩერეს. თრთის მთელი თურქეთი ჟანდარმების წინაშე. ეს გასამხედროებული პოლიციაა და თითქმის იგივე უფლებებით სარგებლობს რითაც ჩეკა ადრესაბჭოურ პერიოდში. ერთი კი გასაკვირია, სამი სიტყვა არ იციან სხვა ენაზე. ჩვენი პასპორტების დათვალიერებისას ერთ-

11 სექტემბერი ერთ-ერთი უმძიმესია წლის განმავლობაში – იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის დღე.

სასტუმრო დილის 9 საათისთვის დავტოვეთ. გავეშურეთ კვლავ აღმოსავლეთით და დოლისყანის ტაძრის სიახლოვის გამო დღე მოლოცვით დავინყეთ. დოლისყანის გადასახვევი, ართვინიდან აღმოსავლეთით მიმავალ გზაზე, ხუთიოდე კილომეტრშია სოფელ ჰამამლის გზაზე. ბუნება მდიდარია, მეჩეთი აქაც აუშენებიათ ეკლესიიდან ათიოდე მეტრში. თუმცა, აშკარაა, თვით ტაძარს იყენებდნენ წლების განმავლობაში ჯამედ. ჩრდილოეთის კედელზე, მიწიდან ოთხ მეტრზე, ხის კარი ჩამოუკიდიათ. ტაძარს, ამავე დონეზე, ან უკვე მოხსნილი იატაკის კვალი ეტყობა. ტაძარი ალაგ-ალაგ შეეთეთრებულია, იატაკის დაბლა კი სინესტისგან დაზიანებული. ტაძარი მდიდარია ფრესკებით, ქართული წარწერებითა და თაღებით. შეიძლება ითქვას, ეკლესია მყარად დგას. შენობის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნიბოა ცოტა ჩამოშლილი. უფლის წყალობა, თურქების ნებართვა და 15 ვაჟკაცი 15 დღეში აღადგენდა დოლისყანას. მეუფემ ილოცა და იგალობა. მერწმუნეთ, არ მეჩვენება, რომ გაგანია სიცხეში მწერები ბზუილსა და ჭრიჭინს წვეტდნენ, ჩიტები ჭიკჭიკს, ადამიანები კი შარიშურს როცა მეუფე გალობდა. მხოლოდ მე დავბორიალებდი ვიდეოკამერით და იგი გამინყრა კიდეც: „ჩვენ რას

დროულად ათი ჟანდარმი იჭყიტებოდა გადაშლილ საბუთში.

შავშეთის ქანობიდან მოედინება იმერხევი. ჩვენ გავუყვივით ალაბალიკის დინებას (ალაბალიკ ნეჭრი) სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ.

როგორც აღვნიშნე, არტაანიდან ართვინისაკენ ორი გზა მიდის. მაგისტრალური ქ. შავშეთის გავლით, რომელმაც ორი უღელტეხილი გადაკვეთა (2540 მ. და 2650 მ.) და მეორეხარისხოვანი გზა ქ. იალნიზჩამის გავლით, რომელიც არტანუჯიდან აღმოსავლეთისაკენ ექვსიოდე კილომეტრში გაიყო სოფელ გეჯითლისთან – იენი რაბათის ეკლესიის ასახვევიდან ერთ კილომეტრში.

ქალაქ არტანუჯს სიმაღლეში გაზრდა თუ შეუძლია, რადგან გარშემო ორასმეტრიანი კანიონების ბუნებრივი სამკუთხედი აკრავს. ქალაქს დასავლეთიდან გადმოჰყურებს უძველესი და ძლევამოსილი ციხე-სიმაგრე კურაპალატების დროინდელი დედაქალაქისა.

მეუფემ ბრძანა, რომ ისტორიული წყაროებით ეს კლდე-მთა, ძირი და ბალავერი ციხე-სიმაგრისა ვახტანგ გორგასალს აღმოუჩენია და ციხე აუგია. თბილისის დაკარგვის გამო კი აშოტს ტახტი არტანუჯში გადმოუტანია. ასე რომ, კიდეც ერთი მაღლი და დიდება მეფე ვახტანგს თბილისისა და





არტანუჯისთვის. ციხე-სიმაგრის კლდის სამხრეთ-დასავლეთ მუცელზე ამკარად დავინახე, ჯვრის წინ, კურთხევის მოლოდინში მუხლმოდრეკილი და ხელე-ბგანვდილი მლოცველის სილუეტი – ბუნების ამ ნახ-ატს რამოდენიმე ფოტო გადავუღე.

სოფელ ფერხატთან გეჯითლამდე, გზიდან 20 მეტრის ქანოზზე მდინარე ალაბალიკზე გადებულია უძველესი ქვის ხიდი – თალოვანი, მუცლიანი, სიგანით 2 მეტრამდე, სიგრძით 5-6 მეტრი. მსგავსი ხიდები დღემდე მრავლადაა ამ მიდამოებში. პირველ-მეექვსე საუკუნეში მდინარე ჭოროხსა და მის შესართავებზე 120 ასეთი ხიდი იყო გადებული. ჩქარი და წყალუხვი მთის მდინარეები ქმნიდნენ აუცილებლობას, ხოლო კლდოვანი და მყარი ნაპირები საშუალებას ასეთი ხიდების აშენებისა. ესაა ერთ-ერთი დასტური პრო-კოფი კესარიელისა და სტრაბონის გადმოცემისა, რომ ამ ხიდებით ისარგებლა პერსარმენიის ჯარმა დვინიდან პეტრამდე ჩასასვლელად.

სოფელ გეჯითლიდან ორ კილომეტრში არ-ტანუჯ-იალნიზჩამის გზა კვლავ ორად გაიყო, მარ-ჯვნივ მდინარის აღმა და გასწვრივ მიმავალი და მალ-ლობისაკენ მარცხნივ აღმავალი. თავიდან პირველს გავუყევით (წინაღამის წვიმისგან ატალახებულს), რომელიც გოგლე მაპს საიტისა და რუსული სამხ-ედრო რუქის მიხედვით მდინარის ხეობას აუყვება 5-7 კილომეტრზე, გადავიღის იალნიზჩამის უღელტეხ-ილს 2100 მეტრზე და უერთდება არტაან-კოლას გზას ჩაირბამისთან. შესაბამისად, ჩაუვლის სამხრეთიდან სოფელ ქინძისციხეს, სოფელ კანდრიის და მთა კანდილს.

ჩვენი თეორიული და პრაქტიკული კვ-ლევებით ვასკვნით, რომ ეს უმოკლესი და ოპტიმალური გზა იყო ჯარის გადასაყვან-ნად პერსარმენიული დვინიდან ლაზიკის პეტრამდე.

ქვემოთ მოგან-ვდით ეტიმოლოგიურ და ლანდშაფტურ-გეოგრაფიულ მს-გავსებებს ისტორიულ წყაროებთან.

თავიდან მდინა-რის ხეობა ავირჩი-ეთ, თუმცა ტლაპო-გუბებმა და თურქმა ტრაქტორისტმა გა-დაგვაფიქრებინეს, კილომეტრამდე უკან დავბრუნდით და გზაგასაყართან მალლობს ავუყე-ვით... და ჰოი საოცრებაჰ! თურქეთის უდაბურ ჯურ-ღმულში კახა ლომიას ნითელი სასკოლო ავტობუსი გამოჩნდა ამაყი ქართული დროშით, ორი პატიო-სანი სახის მამათი და 20 კაცამდე მრევლით. რა-ბათის ეკლესია მოვილოცეთო, მანქანიდან გვითხრა მოყვასმა. გადასვლა და გატალახიანება ერთი იქნე-ბოდა. ერთურთი დავლოცეთ და დავმორდით.

დიდება უფალს...

300 წელია სანთელი არ დანთებულა ტაო-კლარ-ჯეთის ეკლესიებში, იოანე ნათლისმცემლის თა-ვის კვეთის დღეს კი, მიტროპოლიტი, რამოდენიმე მოძღვარი და ათობით მრევლი ლოცულობდა იოანე ნათლისმცემლის ოშკის ტაძარში.

წმინდა გრიგოლ ხანძთელის ხსენების დღეს წირ-ვა აღველინება ხოლმე (აგერ უკვე 2 წელია) ხანძთის მონასტერში. უდიდესი წინსვლაა ეს!

აღმართს შევუყევით, ზოგან 20-22 პროცენ-

ტიანს. მალე ჭალებს გავცდით და ქვემო ალპური ზო-ნის ორი თურქული სოფელი გავიარეთ, საკმაოდ ყრუ და ლარიბი. იმდენად უპატრონო, რომ მინარეთებიც კი არ იდგა. სოფელში უმინარეთობა უეკლესიობა-ზეც მიანიშნებს. ეს ახალი დასახლებებია. იმდენად ლარიბი ბუნებაა, აქ ქართველი კაცი არ დასახლდე-ბოდა. აქაური მოსახლეობა იერთა და ახოვანებით გათურქებულ ქურთებს ჩამოჰგავან. თურქეთის მთავრობას ისინი ერაცის საზღვრიდან სტრატეგი-ული დანიშნულების ადგილებში ჰყავს ჩასახლებული. აქ გზა გაცხოველებული ტემპით შენდება, თანამე-დროვე ტექნიკითა და ტექნოლოგიებით. თურქეთის მსგავსი ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული აღმავლობა ძნელად წარმოსადგენია. კაცმა არ იცის, როდის დაიწყება ახალი ცივი ომი. ამიტომაც, ქვეყ-ნის შენება მოსასწრებია. პატრიოტები და გონიერები არიან, სხვა რა უნდა თქვა?

არსიანის ქედის ეს გადასასვლელი შავშეთ-ართვინისას არ ჩამოუვარდება სიმაღლით. ბუნება კი მომხიბვლელია, ალპურია. ღრუბლებში დავდიოდით მანქანით. თერმომეტრი ცელსიუსით 6 გრადუს სით-ბოს აჩვენებდა. საღამოს, ქალაქ აქშარის გავლისას კი ტემპერატურა 28 გრადუსი იყო. მანქანა გავა-ჩერეთ 2700 მეტრ სიმაღლეზე. გადმოვედით. თვალ-წინ ჩემი ქვეყნის მთები მეფინა. ერთ კილომეტრში ტბა მოჩანდა, კუს ტბაზე 2-3 ჯერ დიდი. ყველა მთა სხვადასხვა ფერი იყო, თავები ჰქონდათ ამოყოფილი ქუქქულა ღრუბლებიდან. ვნახეთ შეყინულნაპირი-



ანი გუბეები. საქონლის სადგომები. ქემალ ფაშას სურათი და დროშა ერთ-ერთ ასეთ საზაფხულო სად-გომზე. ამ მიკარგულ ალპურ მთაზე მალე 10 მეტრი სიგანის გზა გაივლის. უღელტეხილიდან 2-3 კილო-მეტრში უკვე მოასფალტებულ გზაზე გავედით და მალე ქინძოტამალში შევედით. სიტყვა ქინძის მნიშ-ვნელობა ყველამ ვიცით, ასევე ქართული წარმო-შობის სიტყვაა ტამალი, რაც სიტყვა დამალა-დანაა წარმოებული. სოფელს მოსახლეობაც ასე მოიხსე-ნიებს, გარდა ტრაფარეტისა (ზაგდასენ) და რუქისა. დასახლებას თავზე ადგას ორი ციხე – ქინძისციხე და ლაქმაკალე. ქინძისციხესა და სოფელს შორის პა-ტარი ღელე-მდინარეა. თურქეთში ბუნება ხელუხლე-ბელი და წმინდაა.

ქინძოტამალელები კონტაქტურნი არიან, თანაც ჩვენი ამ სოფელში ჩასვლა იგივეა, რაც თბილისსა და გორში ხავერდ სოლანასი. მათი ერთადერთი კითხვა იყო, ალთუნს ეძებთ? ნეტა რამდენი ციხე-სიმაგრე



მოანჯღრის, რამდენი ეკლესიის ბალავარი გადათხარეს ოქროს ძებნაში. ჩვენი ოქრო და ალთუნი სკანდას ციხე, ქინძის ციხე, კანდილის მთა, სოფელი კანდრითი და ეს მიდამოები იყო. სოფელ ქინძოტამალში, ადგილობრივების თქმით, სამი ეკლესია იყო. ორის ბალავარზე ჯამეა. მესამე ქვებიანად გააქრეს, მიწაყრილები მიგანიშნებენ ნაგებობის არსებობის კვალს. აღნიშნული ორი ციხიდან ერთი სულ ჩაქცეულია, მხოლოდ ცალი კედლის ქვა-ლოდებიღაა მწყობრში. ქინძის ციხე კი სანახევროდ ჩამონგრეულია. აღარ არსებობს სოფელი კანდრითი (კანდარეტ) და მისი ნასახლარების ნასაძირკვლებიღაა.

ძნელად სათქმელია, არის თუ არა ქინძისციხე პროკოფისეული სკანდას ციხე, მაგრამ დახასიათებითი მსგავსება უდავოა. ასევე უდავოა, რომ ამ მიდამოებში არსებული მრავალი ციხე-სიმაგრედან ერთ-ერთი იქნებოდა სკანდა. ხარებისა და ცხენებისთვის მიუდგომელი სტრატეგიული მალობები აქ მრავლადაა. რადგანაც არსებობს ეტიმოლოგიური ობიექტები – მთა კანდილი, სოფელი კანდრითი, მდინარე კანდრითისწყალი, უნდა ეარსება კანდრითის-კანდილის-კანდის-სკანდის ციხესაც. არსიანის ქედზე და მის გადაღმა საკვების დეფიციტი და უსიცოცხლო მთა-კანიონები, უმოსავლო ტერიტორიები გზის გასწვრივ, კატეგორიულად გამოირიცხავს ჯარის უზემოსავლიან ქართლ-იმერეთ-გურია-აჭარაზე გავლას.

ბერტოლდ ბრეხტი წერს, საქართველოში კაცს არ მოშვიდებაო. დღევანდელი საქართველოს რეგიონები დასაბამიდან სავსე იყო ყურძნით, ხილით, ხორბლითა და პირუტყვის საკვებით. ხსენებულ ჯარს კი ცხენები, მძიმე გზაზე, უბალახობის გამო დახოცვია. არსიანის ქედის გადაღმა ჯარმა იარა მდინარის გასწვრივ გზაზე. მდინარის შენაკადებზე ქვის ხიდები იყო გადებული. ხიდები დღესაც მრავლად გვხვდება ჭოროხის მკვებავ წყლებზე. იმერეთსა და კოლხეთის დაბლობზე დღესაც პრობლემაა ხიდის გადება არამყარი გრუნტის გამო.

იანიზამიდან ართვინამდე ჯარს რამოდენიმე დღე მაინც დასჭირდებოდა. ცხენი კი შიმშილობაში ადამიანივით გამძლე არ არის. კაცი თევზს დაიჭერდა, პირუტყვის დაკლავდა, ცხენი კი მხოლოდ მცენარეს შეექცევა. ბალახი კი ამ გზაზე არც დღესაა და არც მაშინ იქნებოდა. ვულკანური წარმოშობის კლდე-მთები დღემდე ვერ დაფარულა ქარის მოტანილი მტვრით, რომელიც საუკუნეების შემდეგ მიწად იქცევა და ხავსსა და ბალახს აჩენს.

ჩვენი კვლევის მთავარი დასკვნა: ამ მიდამოებს პროკოფი და სტრაბონი მოიხსენიებენ იბერიად (არსიანის ქედი-არტაანი-კარი-კოლა-კარნუქალაქი-თორთუმი-სპერი-შაგმეთი), ხოლო ბათუმი-ფინდიკ-ლი-ბორჩხა-ართვინ-რიზეს მხარეს ლაზიკად. ანუ მდინარე ჭოროხი არის პროკოფისეული ფაზისი. ისტორიული ლაზეთი არის არა დღევანდელი იმერეთი, სამეგრელო, გურია, არამედ 250-300 კილომეტრით სამხრეთ-დასავლეთით გადაჭიმული შავიზღვისპირეთი. პერსარმენის მეფე ხოსროს დღევანდელი თბილისი-გორი-ქუთაისი-სენაკი-ფოთი-ბათუმის გზა არ გაუვლია. ამ დასკვნის გაცნობისას გთხოვთ გაითვალისწინოთ ისიც, რომ მიტროპოლიტ ანანიასე გადმოსულია სულიწმინდის მადლი – სიმართლის მჭვრეტელი.

ჩვენს ქინძოტამალელ გამყოლებს ვაჩუქე ეტიკეტზე წმინდა გიორგის გამოსახულებიანი შამპანური „ბაგრატიონი“. სოფელ ბავშვებს კი კამფეტები, სანერ-კალმები, ფერადი ფურცლები. წინ გვქონდა მდინარე მტკვრის სათავეებთან მგზავრობა და კლარჯი მეფეების ეკლესია-სასახლე ბანას მონახულება. ღმერთო, დიდი მადლობა. რას ვიფიქრებდი ოდესმე ბანაში თუ მოვიდოდი, – უფლის დიდება ალავლინა მეუფე ანანიამ.

სოფელ პენეკიდან, ტაძარ პენეკ-კილისისიმდე გზის სასწავლებლად, დიდი სიხარულით დაგვემგზავრა 13 წლის საჭინი. საოცარი ყმაწვილი იყო, ომანიანი ტემბრით. თვალის გუგები, ცენტრიდან რკალამდე, ღია ცისფერიდან მუქ ლურჯში გადადიოდა. ხშირი, ქერა თმა ჰქონდა და მუდმივად კეთილგანწყობილი ღიმილი. პაპაჩემი გურჯი და ქრისტიანი იყო, მე კი თურქი და მუსლიმი ვარო. ლოცვისას სანთლის შუქით აჩირალდებული სახით გარინდებული გვიყურებდა. ერთი ღირა, ჩემი მეუღლის გამომცხვარი ალადიკები, კამფეტები, სანერ-კალამი, სანთელი და წმინდა მარიამის ხატი ვაჩუქე. დედაა მეთქი, ვუთხარი. დახედა, აკოცა, შუბლზე მიიდო, კიდეც აკოცა და გულთან შეინახა. ეჭვს გარეშეა, ეს მის ცხოვრებაში პირველად მოხდა. ჯეკ ლონდონის „წინაპართა ძახილი“ გამახსენდა, მაგრამ იქ მგელზეა საუბარი, აქ კი გათურქებული ქართული გენის ყვირილზე.

ბანაში გვარიანად დაგვიღამდა. ჩვენ თვალწინ ჩავიდა მზე, ამოვიდა კვერცხისებრი თეთრი მთვარე. დასავლეთის ცას ხშირი ღრუბლები ფარავდა. საკმაოდ დაბნელდა. ხუთი დიდი კელაპტარი ანათებდა ბანას შიდა სივრცეს. მუხლმოდრეკილი მიტროპოლიტი ლოცვებს ხმადაბლა, მაგრამ მკაფიოდ წარმოთქვამდა. ბუნება გაირინდა. ბანას ტაძრის ჩრდილოეთის მორღვეული კედლებიდან კელაპტართა ნათელს ახლომდებარე სოფლიდანაც დაინახავდნენ. სიოც არ იძვროდა და ოდესღაც ნაცნობ ლოცვასა და გალობას სამარისებურ წყვილადმი იავნანას ძალა ჰქონდა, ქეთოში რომ წარსული გააღვიძა.

ბანას გარშემო შემოვუარეთ. იქაურობა სავსეა კედლის ნანგრევებით. ერთმანეთს ხელს ვკიდებდით, ვეხიდებოდით. ბალახს გადაველო ჩამოცვენილ ლოდებზე. საჭინი და მე უხმოდ განვიცდიდით ერთ-ერთის ენის არცოდნას. პირველად შემსწრე მართლმადიდებლური ლოცვა-რიტუალისა იმდენად ახლოს მოდიოდა ჩემს გვერდით, რომ რამოდენიმეჯერ ხელსა, იდაყუსა და მკლავზე შემეხო. ინსტიქტურად გამოხატავდა სიახლოვისა და კეთილი ინტერესის სურვილს.

მანქანაში ჩავსხედით და არ მეჩვენება, არა... ბუნებამ გაიღვიძა. ღამურები, ჭრიჭინები, მწერები. მანქანის შუქზე კი კვირია ჩიტი მიგვიძღვოდა. ღმერთია მოწამე, ამ ეპიზოდს მხატვრულობისთვის არ ვწერ.

ბანადან იუსუფელამდე ასოცი კილომეტრია. ორჯერ გაივლით ერზერუმისაკენ სამხრეთით მიმავალ გადასახვევს, მაგრამ გეზი ჩრდილო-დასავლეთისკენ უნდა აიღოთ, რათა გაიაროთ ქალაქი ოლური და დიდებული სოფელი იმხანი. მამა გიორგიმ მწუხარება გამოთქვა, სიბნელის გამო ბუნებას ვერ ვათვალისწინებთო. მეუფემ თქვა, ხვალ იმხანში დავბრუნდებით და მოლოცვას აქედან დავინწყებთო. სოფელი იმხანი გზისპირასაა გაშენებული. მაგისტრალი თითქმის ცარიელი იყო. საათზე მეტი ვიმგზავრეთ და სამიოდ მანქანა თუ შეგვხვდა. იმხანთან ქუჩქულა დათვის ბელმა გადაგვიბინა და ტყეს მიაშურა. აქაური ფლორა ძალზე მდიდარია.

იუსუფელი აშკარად ქართული წარმოშობის სახელია მცირემინიანი, კანიონების ჭრილში გადაწოლილი პატარა 6400 კაციანი ქალაქისა. როგორც თვითონ ეძახიან, მდინარე ბარსალი მიუყვება მთელ ვინრო ხეობას, რომელიც ას მეტრს არ აღემატება. ქალაქი ღამის ცხოვრებით ცხოვრობს. იუსუფელში შესვლისას ღამის ათ საათს იყო გადაცილებული. მამაკაცები საღამოს ლოცვიდან – მეჩეთიდან ცენტრისაკენ, ჩაიხანებისაკენ მიიჩქაროდნენ, რათა სათამაშო-საყომარო მაგიდებთან კარგი ადგილი დაეკავებინათ და ათასობით ლიჭრი ჩაი დაეღიათ. როგორც სასტუმრო ბარხალის მფლობელმა, ადმინისტრატორმა და ამასთანავე დამლაგებელმა – 28 წლის სელიმ იალმაზმა მითხრა, ჩაი დიდად არ მი-





ყვარს, დღეში ათ ჭიქამდე თუ დავლევ, სხვები 25-35 ჭიქას სვამენო. 35 ჭიქა მაგათი ჩეფირი ორ ლიტრაზე მეტი მდლუარე, 70-80 ნატეხი შაქარი და 700-800 მგ. კოფეინია.

სასტუმრო ბარხალი იყო იაფი, უბრალო და სუფთა. კარზე მრავალ ენაზე და ქართულადაც

ენერა „გამარჯობათ“. მიგვიღეს, დაგვაბინავეს, ჩაი მოგვართვეს... და მიგვატოვეს. საყომაროდ გაიქცნენ ჩაიხანაში. ჩვენს განკარგულებაში სამსართულიანი სასტუმროა 15 ცარიელი ნომრით.

ასე დამთავრდა 11 სექტემბერი, ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი დღე ჩემს ცხოვრებაში.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



ალექსანდრ ბორბოვსკი

დრო, ტირანები და... ყველაზე ჭკვიანთა ხვედრი...



ერთხელ, ათ ამერიკელ წამყვან მეცნიერს მიმართეს კითხვით: მიაჩნიათ თუ არა, რომ – ამერიკის საზოგადოების დამახასიათებელი თვისებაა არაკეთილი და უნდობლური დამოკიდებულება ინტელექტის მიმართ. პასუხი ერთსულოვანი იყო: დიახ! ანტიინტელექტუალიზმით განმსჭვალულია ყველაფერი, რაც ვლინდება სკოლებისა და კოლეჯების ზნეობრივ ხასიათში, ბიზნესში, შრომისადმი დამოკიდებულებასა და მეცნიერებაში. „ანტიინტელექტუალიზმი შეერთებულ შტატებში, ამტკიცებენ ისინი, – ფართოდ არის გავრცელებული და ფესვები ღრმად აქვს გადგმული“.

დიდი ხანია, რაც დამკვიდრდა ეს მოვლენა? დასავლეთში, ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში გაისმა ხმა, ჩივილი იმის შესახებ, რომ განათლებულები ძალიან მომრავლდნენ. ინტელექტუალობის მიმართ მტრული ფესვები უფრო ღრმად, შორეულ წარსულში მიდის, ამგვარი მტრობა საზოგადოების სხვადასხვა ფორმაციას კვალდაკვალ მიჰყვებოდა. მისი დამახასიათებელი თვისება იყო ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა. ისინი მიდიან და მოდიან წარსულის ისტორიული სცენებიდან.

ჯერ კიდევ, ეფესელები, – მოგვითხრობს არისტოტელე, – დევნიდნენ ყველაზე გამოჩენილ თანამოქალაქეებს.

„დიახ, არავინ უნდა იყოს ჩვენ შორის საუკეთესო, – თავმდაბლურად ასკვნიდნენ ისინი, – დაე, იცხოვრონ მათ სხვა ადგილასა და სხვა საზოგადოებაში“.

განთქმული პიესების ავტორებს, ხელოვანებსა და სახელმწიფო მოღვაწეებს, რომლებიც თანდათან ხდებოდნენ ცნობილი – ყველას, ერთი ბედი ელოდათ: განდევნა, გაძევება.

მწერალი და მოგზაური იბნ-ფალდანი, რომელმაც X საუკუნეში ვოლგაზე მცხოვრებ ბულგარებთან იმოგზაურა, მოგვითხრობს: „როცა, ისინი, განსწავლულსა და საქმეში გამორჩეულ ადამიანს ხედავენ, ამბობენ: ეს ადამიანი მოწოდებულია ემსახუროს ღმერთს. ამიტომ, შეიპყრობენ, ყელზე ბანარს შემოახვევენ და ხეზე ჰკიდებენ“.

ყველაზე გამორჩეული ადამიანები – ყველაზე საშიშები არიანო, – ასე თვლიდნენ, როგორც ჩანს, არა მარტო ძველი ბერძნები, ან ბულგარები, – სხვებიც. ჩვენ ამაში დავრწმუნდებით, თუ გავეცნობით სხვადასხვა ხალხის გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებას, – დავინახავთ, თუ რა დევნას განიცდიდნენ თავიანთი თანამედროვეებისაგან.

გაძევებულ და დაწყევლილ იქნა სპინოზა, ეს უდიდეს სიძველეთა ისტორიკოსი პოლიბეას გადასახლეს. გაძევებულ იქნა დანტე; პუშკინი, ლერმონტოვი, ჩერნიშევსკი? – ყველა მათგანმა გამოსცადა გადასახლება და შერისხვა. სხვები იძულებით გადაიხვეწნენ სამშობლოდან. გერცენმა სამუდამოდ

მიატოვა რუსეთი, ბაირონმა ინგლისი, აინშტაინმა და ფეიხტვანგერმა – გერმანია. სხვადასხვა დროისა და ეპოქის ადამიანებს ერთნაირი ბედი ხვდათ წილად. სამმა უდიდესმა მეზღვაურმა – მაგელანმა, ვესპუჩიმ და კოლუმბმა სხვა ქვეყნების სახელით მოახდინეს აღმოჩენები. კოლუმბი სევილიაში ბორკილებით დაბრუნდა; კორტესი, რომელმაც მექსიკა დაიპყრო შერისხულ იქნა; პიზარო მოკლეს, ხოლო ნუნეს დე ბალბუასს, რომელმაც წყნარი ოკეანე აღმოაჩინა თავი მოჰკვეთეს. განა საკვირველი არ არის? – რომ სოკრატეს, რომელმაც ასე ბევრი გააკეთა თავისი თანამოქალაქეებისთვის, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს.

სამნახევარი საუკუნეა, ხალხი იცინის და ტირის „დონ კიხოტის“ წაკითხვისას. ის კი, ვინც მათ ეს სიხარული მიაჩნია არაერთხელ იქცა დევნილად. მის ზურგს უკან მძიმედ დახურულა ციხის კარი. საპყრობილეს პური ცნობილი იყო „რობინზონ კრუზოს“ ავტორის დანიელ დეფოსთვისაც. ორჯერ გასამართლებულსა და სამარცხვინო ბოძზე გაკრულს ბრბო დასცინოდა. სწორედ მას მიესაჯა სამარცხვინო სასჯელი – სახალხოდ ყურების მოჭრა. ბომარშე, „სევილიელი დალაქისა“ და „ფიგაროს ქორწინების“ ავტორი მრავალი წელი იჯდა ციხეში. ასეთივე იყო რადიშჩევისა და დოსტოევსკის ხვედრი, შევჩენკოს ბედი?!. გერცენი წერდა დიდი ადამიანების გამოუვალ მდგომარეობაზე, რომლებიც მათსა და თანამედროვე საზოგადოებას შორის გაჩენილ უფსკრულში იჩხებებიან.

ვფურცლავთ ისტორიის გვერდებს და ვხედავთ გენიოსებს, რომლებმაც მრავალი დამცირება, მწუხარება და შეურაცხყოფა განიცადეს. ვინ არის ის მუსიკოსი, პარიზის ქუჩებში ვიოლინოზე რომ უკრავს და მადლიერებით იღებს სპილენძის გროშებს სადილისთვის?!. ეს, ჩეხების ნაციონალური სიამაყე, – დვორჟაკია. პალტოსა და ხელთათმანებში გამოწყობილი კაცი კი, გაყინულ ოთახში ცივ ნოტებზე რომ დამხობილა – მოცარტია. მას სილარიბისგან შემის ყიდვაც არ შეეძლო. აი, უკვე მეორე კვირაა მხოლოდ პურითა და წყლით ვიკვებები, – წერდა სენ სიმონი, – უცეცხლოდ ვმუშაობ. გადასახადების დასაფარვად ტანსაცმლის ჩათვლით ყველაფერი გავყიდე.

მარია სკლოდოვსკაია-კიურის, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული ატომური ერის დასაწყისი, უჭმელობისგან დასუსტებულს თავბრუ ესხმოდა. ედგარ პო მთელი სიცოცხლე შიმშილობდა. ზაფხულობით, აყვავებულ ბაბუანვერას აგროვებდა, ხარშავდა და მეუღლესთან ერთად მიირთმევდა. უდიდესი პოეტი – ნეკრასოვი, გათოშილი და უბინაო პეტერბურგის ტრაქტირებში შედიოდა, ცდილობდა არავის ეცნო და მაგიდებიდან პურის ნაჭრებს აგროვებდა.



უდიდესი ადამიანები, – წერდა ჰეგელი, – არასოდეს არიან ბედნიერები. ადრე კვდებიან, – მათ კლავენ, ან ასახლებენ...

დევნა, რომელსაც გამოჩენილი ადამიანები განიცდიან, ხშირად უაზრობას წარმოადგენს.

ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნეში, კორინთოს ტირანმა პერიანდრმა მილეთის ტირან ფრასიბულთან ელჩი გაგზავნა, რომელსაც დაავალა გაეგო, თუ როგორ დაამყარა მან სახელმწიფოში წესრიგი. ფრასიბული, – მოგვითხრობს ჰეროდოტე, – ელჩთან ერთად ქალაქგარეთ გაემგზავრა. შემდეგ, დათესილ მინდორში გაისეირნეს. ფრასიბული, როცა ყანაში სხვა თავთავებზე უფრო მაღალ თავთავს მოჰკრავდა თვალს უმაღლესად და ისროდა... ამას მანამდე აკეთებდა, ვიდრე ყანაში არ მოსპო ყველაზე საუკეთესო და ტანაყრილი თავთავები. ფრასიბულმა ელჩი ისე გაუშვა, სიტყვიერი პასუხი არ გაუცია.

კორინთოში დაბრუნებულ ელჩს პერიანდრმა

მოუთმენლად დაუნყო გამოკითხვა, თუ რა რჩევა მისცა მას ტირანმა. როდესაც ელჩი ყველაფერს მოუყვა, პერიანდრი მიხვდა, არნახული სისასტიკე უნდა გამოეჩინა გამორჩეული ქვეშევრდომების მიმართ.

მრავალი ხელისუფალი ამ კლასიკური მაგალითის მიხედვით მოქმედებდა. იყო დრო, როცა ჭკვიან ადამიანად ყოფნა საშიშიც კი იყო. კლავდიუსი, როცა იმპერატორი გახდა, აღიარა, რომ თავის წინამორბედ კალიგულას განგებ აჩვენებდა თავს სულელად – სხვაგვარად, ვერ გადაარჩებოდა...

ძველი ჩინელი ფილოსოფოსის ლაო-ცზინის აზრით, თვითმპყრობელის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა – ხელქვეითები შორს ამყოფონ ცოდნისგან, ჩაკლან მათში ინტელექტი, რამეთუ, ყოველმხრივ განათლებულთან ყოფნა საშიშია.

**რუსულიდან თარგმნა
დურმიშხან სამცხელმა**



მინანარი: შავბნელმა დრომ და შავბნელი დროის მსახურებმა ვინ არ შეინირეს?!

შანდორ პეტეფი?... ილია ჭავჭავაძე?... გარსია ლორკა?... პაბლო ნერუდა?... ხოზე რიზალი?... ნაზიმ ჰიქმეტი?... გაბრიელ გარსია მარკესი? გენიალურმა კოლუმბიელმა მწერალმა „მარტოობის ასი წლის“ ავტორმა, სამშობლოდან გაძევებულმა, მექსიკაში 87 წლის ასაკში დაასრულა სიცოცხლე 2014 წლის 17 აპრილს და ეს სია საკმაოდ ვრცელია... მაგრამ ეს უღმერთობა, კიდევ, რამდენი, სადამდე და, როდემდე?!

რაც, ყველაზე სატანურია, – უღირსობის, უზნეობის, უსულობის, უგულობისა და უმადურობის მწვერვალია, – ადამის მოდგმას, დღესაც, უდიდეს ცოდვად ადევს კისერზე: მშობლიური ნაზარეთიდან იესო ქრისტეს გაძევება და, მიწიერთაგან, ზეციერის ჯვარცმა.

ნეტავ, სად არის საზღვარი: კაცობრიობის სიმართლისა და უსამართლობისა?!

ვარნაოზ რაინაული





ელისო ჭიჭიაშვილი



მოდილიანის პოეტური ჟიჟნა



„საწყალი ნიკალო“, იტყოდნენ ხოლმე ძველ თბილისში, როცა ფიროსმანაშვილის სახელს ახსენებდნენ. ასევე პარიზის მონმარტრსა თუ მონპარნასზე „საცოდავი ამაღეო“ შეარქვეს მოდილიანს. თუმცა, კაცმა რომ თქვას, „საწყალი“ ან „საცოდავი“ რა სახსენებელია, როცა ისეთ შესანიშნავ მხატვრებზეა ლაპარაკი, როგორც ნიკო ფიროსმანაშვილი და ამაღეო მოდილიანია. მათ თითქოს არაფერი აკავშირებთ ერთმანეთთან. არც ხატვის მანერა აქვთ ერთნაირი, მაგრამ მაინც... ფიროსმანაშვილისა და მოდილიანის მიერ შექმნილი უბრალო ადამიანთა გატანჯულ სახეებს რომ ვუყურებთ, მდუმარე სევდითა და სასონარკვეთილებით სავსე თვალებს, ფერებში ამეტყველებულ გულუბრყვილო გაოცებას, ტკივილნარევ ღიმილს, უმწეოდ ჩამოცვენილ მხრებს თუ მოკვეთილად დაშვებულ ხელებსა და რაღაც იდუმალი ჟრუანტელით გარინდებულ სხეულებს, არ შეიძლება „საწყალი ნიკალასთან“ ერთად ის „საცოდავი ამაღეოც“ არ გაგვასხენდეს. იქნებ იმიტომაც, რომ ორივეს ერთნაირი ცხოვრება ჰქონდა, ორივე ერთნაირად ებრძოდა შიმშილსა და უიმედობას...

უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ ნიკალა სამიკტიტონებში ქმნიდა თავის შედეგებს. ამაღეოც მონ-

პარნასის კაფეებში ეძებდა მუშტარს. თუ ვინმეს მოიხელთებდა, წინასწარ ეტყოდა: ხომ იცით, ჩემი ფასი ერთ სეანსში ათი ფრანკი და ერთი ბოთლი ღვინოა, არც მეტი, არც ნაკლებიო. ათი ფრანკი მას დღიურ სარჩოდ ჰყოფნიდა. იგი ისე საოცარი სისწრაფით მუშაობდა, რომ ერთ დღეზე მეტს არ ანდომებდა შეკვეთილი სურათების ხატვას. რამდენიმე წუთში ოციოდე ესკიზს გააკეთებდა და ყველას ისე გადაყრიდა, რომ არც აკვირდებოდა და არც ასწორებდა. როგორც ჩანს, ამით იგი მხოლოდ „ხატვის ექსტაზში“ შედიოდა და ხელს ინაფავდა; ჯერ ბოთლს მოიყუდებდა და შემოქმედების რალაც იდუმალი ცეცხლით ალგზნებული მივარდებოდა მოლბერტს, რომ „ერთი ამოსუნთქვით“ დაემთავრებინა სურათი.

ერთხელ, მისი მეგობარი და კოლექციონერი ლ.ზბროვსკი მივიდა მასთან ახალშერთული მეუღლითურთ და სთხოვა, ჩვენი პორტრეტი დახატეო. ამაღეო დათანხმდა. ჯერ რამდენიმე ათეული ესკიზი გააკეთა, მერე გაშმაგებული შეუდგა ხატვას და საღამოს გამოუცხადა, მგონი დავამთავრე კიდეცო...

ზბროვსკის შერცხვა, ასეთ შედეგში ათი ფრანკის მიცემა როგორ ვაკადროო, მაგრამ კარგად იცოდა, ზედაც რომ გადაკვდომოდა, ამაღეო მეტს არ აიღებდა და სთხოვა, მოდი, მუშაობა ხვალაც განვაგრძოთო.

– თუ გინდა პორტრეტი გავაფუჭო, კეთილი, განვაგრძოთ, – მიუგო ამაღეომ.

„უბრალო ნახატებში“ იგი უფრო ნაკლებს იღებდა. როტონდის, ან სხვა რომელიმე კაფეში ვინმე მოხეტიალე უცხოელს გამოიჭერდა, მიუს-მოუსვამდა ფანქარს და ეტყოდა:

– ხუთი ფრანკი, მაღამ!..

როცა მუშტარს ვერ იშოვიდა, ადრე დახატულ სურათებს ილღიაში ამოიჩრიადა, ან ძველ, დაგლეჯილ ჩემოდანში ჩაანყობდა და კარდაკარ დადიოდა დღიური სარჩოს საშოვნელად. ასე მიაღგა იგი თავის მეგობარ იტალიელ მწერალს და მიუტანა დღეს უკვე საქვეყნოდ ცნობილი ოთხი შიშველი ნატურა.

– თითოში ორმოცდაათ ფრანკს ვთხოულობ, – უთხრა წინასწარ.

მწერალს სიცილი აუტყდა:

– ორმოცდაათი ფრანკი კი არა, საუზმის ფულიც არა მაქვს. კიდეც რომ მქონდეს, ოთხი შიშველი ქალის სურათი რა ოხრად მინდა...

მოდილიანიმ შემდეგ ეს სურათები მონმარტის რომელიღაც მაღაზიის ვიტრინაში გამოფინა გასაყიდად, მაგრამ „ზნეობის დამცველმა“ პოლიციელმა ნება არ დართო. ამაღეოს გარდაცვალებიდან ორიოდე წლის შემდეგ კი, ვილაც ამერიკელმა კოლექციონერმა, ამ ოთხი სურათიდან მხოლოდ ერთში, რვაასი ათასი ფრანკი გადაიხადა. მერე მოდილიანის სურათებზე მილიონებიც დაატრიალეს.



„საცოდავი ამადეო“ კი ქუჩა-ქუჩა დანანალებდა ლუკმა-პურის საშოვნელად, მაგრამ მისი ნახატების მყიდველი არავინ იყო. იხვეწებოდა, ეს ძველი ჩემოდანი მაინც შეიძინეთო.

ასეა, „გენიალურ ადამიანებს სიცოცხლეში არა მარტო დიდებაზე, არსებობის წყაროზედაც ეუბნებიან უარს. სიკვდილის შემდეგ კი გუნდრუქს უკმევე-ნო“, – წერს ჩეზარე ლომბროზო.

ა.კორნიმა ლომბროზოს ეს სიტყვები ეპიგრაფად წარუძღვარა თავის რომან „ჯვაროსნის ძეგლს“, სადაც ამადეო მოდილიანი ეუბნება მხატვარ სტეფენს:

– თქვენს წინაშე დგას სილატაკით, მაგარი სასმელებით და უზომო ნიკოტინით განადგურებული უსახელო ადამიანი. მე სრულიად მარტო ვარ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ სტუდენტ გოგონას, რომლის უბედურება ისაა, რომ ვუყვარვარ. ნუგეშად ისლა მრჩება, რომ მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ხელოვნებისთვის ერთხელაც არ მილატაკია...

ასე იყო „საწყალი ნიკალაც“. მარტო ნუ დამტოვებთ, ემუდარებოდა თურმე ნაცნობებს, მაგრამ მაინც ისე უპატრონოდ მოკვდა შიმშილისგან ღონემიხდილი, რომ ჩვენდა სამარცხვინოდ, საფლავიც კი არ ვიცით მისი...

ნახევარი საუკუნის შემდეგ „საწყალი ნიკალას“ სურათები ესტუმრა იმ „საცოდავი ამადეოს“ პარიზს, რათა თავისი „გულუბრყვილო გენიალობით“ მოეხიბლა „მხატვრებისა და პოეტების დედაქალაქი“. სიცოცხლეში კი არც ფიროსმანაშვილსა და არც მოდილიანის, ერთი ხეირიანი გამოფენაც არ ღირსებიათ, არც სახელი, არც დიდება, არაფერი, გარდა შიმშილისა და უიმედობისა...

მოდილიანი 22 წლის ჭაბუკი იყო, როცა იტალიიდან პარიზში გადასახლდა. ადრე იგი მშობლიურ ქალაქ ლივორნოში ცხოვრობდა, გაკოტრებული ბანკირის ოჯახში. ერთხანს ფლორენციაში, რომსა და ვენეციაში დაეხეტებოდა და საკმაოდ ცნობილ მხატვრებთან სწავლობდა ხატვას. მერე ყველაფერი მიატოვა, ადრეული ნამუშევრები გაანადგურა და სულის გარდა რომ არაფერი ებადა, ისე შეუერთდა მონმარტრის „მოხეტიალე გენიოსთა“ ჯგუფს.

ლათინურ კვარტალში მაშინ უამრავი ბედის მადიებელი იყრიდა თავს. მონმარტრი მათთვის პარნასიც იყო და გოლგოთაც. ბევრმა აქ დიდების შარავანდით შემოსა თვისი სახელი, ბევრიც სრულიად უსახელოდ ჩაკვდა მის ვიწრო ქუჩებსა და ბნელ სარდაფებში. ეს ის დრო იყო, როცა სეზანის გარდაცვალების შემდეგ მოდერნიზმის ტალღები მოანყდა პარიზს. ყველა ახალ გზას ეძიებდა და ახალ მიმართულებას ქმნიდა. ფრანგებიცა და სხვა ქვეყნიდან გადმოხვეწილი უცხოელებიც: ჟორჟ რენო და ფრანსის პიკაბია, რობერტ დელონი და ანდრე დორენი, ჟორჟ ბრაკი და ფერდინანდ ლეჟე; ესპანელი პაბლო პიკასო, გერმანელი პაულ კლეე, ემილ ნოლდედა, ფრანც მარკი. იტალიელი კარლო კარა, უმბერტო ბოჩონი და ჯინო სევერინი; ამერიკელი ჯონ მარტენი და რუსეთიდან ჩამოსული ვასილ კანდინსკი, მარკ შაგალი, პიერ არხიპენკო და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი ბედის მადიებელი, ბედნიერი თუ უბედური მხატვარი და პოეტი...

მათ შორის დადიოდა ამადეოც, მაგრამ თითქმის არავისთან არ მეგობრობდა. ისიც „საკუთარ გზას“ ეძიებდა და სულაც არ უნდოდა ვინმეს „მონაფე“ ყოფილიყო. როგორც ჩანს, თავდაპირველად არც ის იცოდა, პოეზია უნდა ქცეულიყო მის საქმედ თუ მხატვრობა. მოქანდაკე ჟაკ ლიფში წერს, როცა მოდილიანზე ვფიქრობ, მის სახელს რატომღაც პოეზიას ვუკავშირებო. ნაცნობების გადმოცემით, ამადეო ისე არავის უნახავს, ჯიბეში რომ საყვარელი პოეტის ლექსების კრებული არ ჰქონოდა ჩაჩრილი: დანტე, ვიონი, ემერსონი, უიტმენი, ბოდლერი, რემბო ან სხვა



ვინმე. შესანიშნავი მესხიერება ჰქონდა და უამრავი ლექსი იცოდა ზეპირად, ხმამაღლა კითხვა უყვარდა. დათვრებოდა თუ არა, მოჰყვებოდა დეკლამაციას დღისით თუ ღამით ქუჩაში, მოედანზე, კაფეში, პარკში თუ ვინმეს ბინაზე – ეს მისთვის სულ ერთი იყო. იგივე ლიფშიცი წერს:

– მახსოვს, ერთ ღამეს, ძალიან გვიან, დაახლოებით სამ საათზე, ძლიერმა ბრახუნმა გამომაღვიძა. ავდექი, ლამპა ავანთე და კარი გავაღე... მოდილიანი იყო, საშინლად მთვრალი... შემოვიდა, წიგნის თაროები შეათვალიერა და ჩახლეჩილი ხმით თქვა, ერთხელ აქ ვიიონის ლექსების კრებულს მოვკარი თვალი და მინდა მოვძებნო...

მეგონა წიგნს ნაიღებდა და ნავიდოდა, მაგრამ არა... ჩაჯდა სავარძელში და დაიწყო ვიიონის ლექსების ხმამაღლა კითხვა. მეზობლებს გაეღვიძათ და ერთი ამბავი ატყეს: კედლებზე, ჭერზე, იატაკზე აბრახუნებდნენ და ყვიროდნენ, ხმაური შეწყვიტეთო. ამადეო ამას აინუნშიც არ აგებდა, იჯდა მოჩვენებასავით და ლამპის მბჟუტავ შუქზე უფრო ხმამაღლა კითხულობდა, სანამ ძალა არ გამოეღია.

ამადეო და ოცი წლის ანა ახმატოვა კოკისპირული წვიმის დროსაც საათობით ისხდნენ ლუქსემბურგის პარკში უზარმაზარი შავი ქოლგის ქვეშ და ორხმად, ზეპირად კითხულობდნენ ბოდლერის, ვერლენის, ლაფორგისა და მალარმეს ლექსებს, უფრო ხშირად კი ლოტრეამონის „მალდორორის სიმღერას“. ადრე ამადეოც წერდა ლექსებს, მაგრამ არ აქვეყნებდა. პოეზიასთან კავშირი მას არც შემდეგ გაუწყვეტია. შეიძლება ითქვას, რომ იგი მხატვრობაშიც პოეტი იყო. ყოველ შემთხვევაში, ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს მისი პოეტური ფერწერა. მოდილიანის სურათები რაღაც მაგიური ძალით აერთიანებს პოეზიას, მხატვრობასა და მუსიკას. ვილაცას უთქვამს, „მხატვრობა მუნჯი პოეზიაა“. არ ვიცი რამდენად



სწორია ეს; ის კი ნამდვილია, რომ მოდილიანის ნაწარმოებები, უწინარეს ყოვლისა, ფერებისა და ხაზების პოეტური მეტყველებაა. ამიტომაც ამბობენ, მოდილიანის ნახატები „მდუმარე საუბარია“, დიალოგიაო მხატვარსა და ნატურას შორის. ნაცნობ-მეგობრები კაფეში რომ ისხდნენ და საუბრობდნენ, მოდილიანი დუმდა და ხატავდა. ასე მონაწილეობდა სხვათა საუბარში. მწუხარება, სევდა, სიჩუმე, ტკივილი, სილამაზე, მშვენიერება – ყველაფერი ფერებსა და ხაზებში სახიერდებოდა. იგი უფრო თვალებით აღიქვამდა სამყაროს, ვიდრე გონებით, თუმცა იმას კი არ ხატავდა, რასაც ხედავდა, არამედ რასაც წარმოიდგენდა. თვითონაც ამბობდა: „ადამიანს კი არ უნდა უყურო და ხატო, არამედ წარმოიდგინო“. ასეც იყო. „წარმოდგენილს“ იგი ფერებდა და ხაზებდა აქცევდა და ზუსტ ფსიქოლოგიურ მსგავსებას ქმნიდა. გალაკტიონი ამას „ირიბი ხაზების ამეტყველებას“ უწოდებდა, მოდილიანი „ხაზებით საუბარს“. მართლაც გასაოცარია მისი ნახატების არაბესკული სინატიფე, ოვალური და ირიბი კომპოზიციების უაღრესად ფაქიზი და ლაკონური ფორმა.

– მოდილიანის ნახატები დახვეწილი ელევანტურობაა, – წერს ჟან კოკტო, – მისი ხაზები ხშირად ისე მკრთალია, გეგონებათ, ერთი ხაზის სპექტრიაო. ისინი არასოდეს ხვდებიან ერთმანეთს და სიამის კატის მოქნილობით უვლიან გვერდს ყოველგვარ დაბრკოლებას.

ასეთსავე შთაბეჭდილებას ახდენს მოდილიანის „სწული ფერების“ ავადმყოფური სიმსუბუქე. ზოგჯერ ფერი ნისლივით ადნება ტილოს და გაურკვეველი ბურუსით იმოსება („ცისფერკაბიანი გოგონა“, „ჭაბუკი“ და სხვა). ზოგჯერ კი თვალისმომჭრელი ელვარებით აკიაფდება („შიშველი ნატურები“). ფერებისა და ხაზების ამგვარი „პოეტური ამეტყველება“ კი, როგორც წესი, უაღრესად მუსიკალურია. მუსიკა მოდილიანის ნახატების ისეთივე აუცილებელი კომპონენტია, როგორც პოეზია. ამიტომაც აქვს მას ასეთი იდუმალი მიდრეკილება ფერწერის პოლიფონიური ჟღერადობისადმი. მისი ერთი სურათი თითქოს მეორეში მთავრდება, მეორე-მესამეში და ასე იქმნება ერთი და იმავე თემის ფუგისებური ვარიაციები. ამგვარი ვარიაციები უმთავრესად კვარტეტის ფორმით ვლინდება (ქვის ოთხი ფიგურა, ოთხი შიშველი ნატურა, პებუტერნის ოთხი პორტრეტი, კარიადიტების ოთხი ესკიზი და სხვ.), ისევე, როგორც თომას სტრენზ ელიოტის პოეზიაში. საკვირველი ის არის, რომ მოდილიანი ამის მიღწევას მარტო ფერწერაში კი არა, ქანდაკებაშიც ცდილობდა. მასალად მხოლოდ ქვას იყენებდა. მხოლოდ ქვის თლა მიაჩნდა მას მოქანდაკის კეთილშობილურ საქმედ. სამაგიეროდ, ძერწვა არ უყვარდა. „თიხის ზელასა და ტალახის თითხნას არც ჰკადრებდა“ მის მიერ ჩაფიქრებულ პოეტურ სახეებს. როდენის შემდეგ ძერწვამ თავისი დრო მოჭამაო, – უმტკიცებდა მოქანდაკე ლიფშიცს. პეიზაჟების ხატვას ხომ სულ ვერ იტანდა. ამის გამო, ერთხელ, ცნობილ ესპანელ მხატვარ დიეგო რივერასაც წაეჩხუბა.


– პეიზაჟი არ არსებობს! – ყვიროდა გაშმაგებული მოდილიანი.

– პეიზაჟი არსებობს! – პასუხობდა რივერა.

ძლივს გააშველეს, მაგრამ ვერ შეარიგეს. ამაღეო, თუ ერთხელ რამეს აიჩემებდა, აღარც გადათქვამდა. არც არასოდეს უცდია პეიზაჟების ხატვა. მაინცდამაინც არც ნიკო ფიროსმანაშვილს უყვარდა „შიშველი პეიზაჟები“. იგი მხოლოდ ფონად იყენებდა ბუნების სურათებს. ამაღეო კი სულაც უარყოფდა, მარტო ადამიანებს ხატავდა, მეტადრე მათ, ვისაც იცნობდა და უყვარდა. უმთავრესად პოეტებს, მხატვრებსა და უბრალო ადამიანებს: ჟან კოკტოს, ბლევ სანდრანს, მაქს ჟაკობს, ზბროვსკის, კისლინგს და სხვებს. ამაღეომ ანა ახმატოვას თექვსმეტი სურა-

თი დახატა. ამათგან, ერთის მეტი ყველა დაიკარგა. ის ერთიც, უფრო ქანდაკების ესკიზსა ჰგავს, ვიდრე ნახატს. ესეც დამახასიათებელია. როგორც სპეციალისტები წერენ, მოდილიანის არასოდეს გაუწყვეტია კავშირი იტალიური რენესანსის მხატვრობასთან. ზოგიერთები მას ბოტიჩელისაც ადარებენ. ახმატოვას სურათი კი ძალიან ჰგავს ჯულიანო მედიჩის სარკოფაგის სახურავზე გამოსახულ ალეგორიულ სკულპტურულ ფიგურას, რაზედაც წერენ, ქალის ყველაზე იდუმალი და მნიშვნელოვანი სახე არისო მიქელანჯელოს ნაწარმოებთა შორის. მოდილიანის მიერ შექმნილი ფიგურაც ეგვიპტური სფინქსის მსგავსად მყარ, მტკიცე საფუძველზეა დაყრდნობილი. ახმატოვა წერს:

– იმ დროს, მოდილიანი, ეგვიპტეზე ოცნებობდა. მას ხშირად დავეყავდი ეგვიპტურ განყოფილებაში და მარწმუნებდა, სხვა ყველაფერი ყურადღების ღირსიც არ არისო... იგი მხატვარად ეგვიპტელი დედოფლის ან მოციკვავე ქალის სამკაულებში...



სულ ასეთ ძიებაში იყო მოდილიანი, ვიდრე „თავის თავს იპოვიდა“. მან შექმნა სრულიად თავისებური სტილი ისე, რომ ადვილად განერიდა კუბიზმისა და სხვა მოდერნისტულ მიმართულებათა მოძალეობას. ლიფშიცის აზრით, მას არასოდეს არ შენელებია ინტერესი ხალხისადმი და ხატავდა თავდავიწყებითა და დიდი ინტენსიურობით ისე, როგორც ამას გრძნობა უკარნახებდა და ხმა უბიძგებდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ზანგებისა და საერთოდ პრიმიტიული ხელოვნებისადმი თაყვანისცემის მიუხედავად, არასოდეს განუცდია მათი ძლიერი გავლენა, ისევე, როგორც კუბიზმისა. მას არ სურდა აბსტრაქცია გრძნობებშიც შეჭრილიყო, ან მასა და საგნებს შორის ჩამდგარიყო. ამიტომაც ქმნიან მისი პორტრეტები შესანიშნავ ხასიათებს და ამიტომაცაა მისი შიშველი ნატურები ასე სექსუალურად გულახდილი... იქნებ იმის გამოც, რომ სიყვარულის ღმერთს არასოდეს მოუკლია მისთვის მონყალება, არც თვითონ შეუწუხებია თავი ზედმეტი მოკრძალებით.

– მთელი ჩემი ვნება ერთ თასში უნდა მოვათავსო, – ამბობდა იგი.

– რასაც დაიპყრობ, იმის მფლობელი ხარ! – ესეც მისი სიტყვებია.





ან კიდევ:

– ცხოვრება იმ ადიდებულ მდინარედ მესახება, სიხარულით რომ გადმოდის ნაპირებიდან...

ამას ამბობდა უკიდურესი სილატაკითა და ავადმყოფობით დატანჯული ადამიანი, ვისაც საკუთარი დემონური გენია უბიძგებდა შურისმაძიებლობისა და ცხოვრების უარყოფისაკენ, მაგრამ მაინც ისე გულწრფელად უყვარდა სიცოცხლე, რომ გოლგოთაზე შემდგარმა, „უმაღლესი ფორმისა და ეფექტური თვითშემუსვრის“ ფორმად აქცია იგი. ამიტომაც ამბობენ, ამაღეო სიკვდილს გაშმაგებით ეძებდაო. ამასვე ადასტურებს მისი ხანმოკლე ცხოვრებისა და ფიქრების ელვისებური უნესრიგობა.

ნაცნობ-მეგობრების გადმოცემით, იგი გასაოცარი სილამაზის ახალგაზრდა იყო. შავი, გრუზა თმა ჰქონდა. ამაყი შუბლი, დიდი ლურჯი თვალები და თეთრი ფერმკრთალი სახე. სულ მუდამ ხავერდის გახუნებული შარვალი ეცვა, ქუდი ცხვირამდე ჰქონდა ჩამოფხატული, ხელები ჯიბეში ჩაწყობილი. ტანის ელეგანტური რხევით დადიოდა მონმარტრის ქუჩებში. მიუხედავად იმისა, რომ ტუბერკულოზის მძიმე სენით იყო დაავადებული, მაინც უნესრიგო, ბოჰემურ ცხოვრებას ეწეოდა. მაგარ სასმელებსა და ჰაშიშს ეტანებოდა, ქუჩებსა და პარკებში აღამებდა. ჟან კოკტო წერს:

– თვალს რომ დავხუჭავ, ასეთი სურათი წარმომიდგება: მთვრალი ამაღეო დგას მოედანზე და დათვივით ბუქნაობს. კისლინგი მეთასევე იმეორებს „ნავიდეთ, მოდი ნავიდეთ“, მაგრამ იგი უარს ამბობს, ხუჭუჭა თავს აქნევს და ანიმნებს, არაო. კისლინგის ძალა ეძლევა, ნითელ ქამარზე ჩავლებს ხელს და ექაჩება. მაშინ მოდილიანი სხვა ცეკვას იწყებს, მკლავებს მალა სწევს, თითებს ესპანელივით ატკაცუნებს და ციბრუტივით ტრიალებს... კისლინგი შორდება. მოდილიანი ხარხარებს და უფრო გატაცებით ცეკვავს...

თვალს რომ გავახელ, რას ვხედავ? – განაგრძობს

კოკტო, – ისევ მოედანს, ხალხითა და მანქანებით სავსეს. მოდილიანი საათობით დგას როდენის ბალზაკის პოზაში გაქვავებული და არაფრის დიდებით არ მოგვყვება შინ.

თუმცა, რა უნდა ექნათ, „საცოდავი ამაღეო“ უყვარდათ ისეთი, როგორც იყო. არც ის აკლებდა თავის სიყვარულს უბრალო ადამიანებს და გატაცებით ხატავდა მათ. ასეთია მისი სურათები: „მსახური ქალი“, „მერძევე გოგო“, „მწყემსი ბიჭი“, „ვიოლონჩელის დამკვრელი“, „ვექილი ნიკუა“ (ასე ძლიერ რომ ჰგავს ფიროსმანაშვილის ნახატს), ყვითელი ან მწვანე კაბიანი პატარა ავადმყოფი გოგონები და, რა თქმა უნდა, პორტრეტები თავყვანისმცემელებისა, რომელთა უბედურება ის იყო, რომ უყვარდათ იგი. მათ შორის: ელვირა, დუნია, მარგარიტა, არიანე, ბეატრიჩე, უფრო ხშირად კი ჟანა ჰებუტერნი, რომელმაც ქალიშვილი ნანოლი შესძინა ამაღეოს. ყველას რალაც გასაოცრად რბილი, სათნო და კეთილი გამომეტყველება აქვს, ყველა რალაცით შევიწროებულია, შენუხებული...

ფიროსმანაშვილი ადამიანებსა და ცხოველებს ფართოდ გახელილ თვალებს უხატავდა. ისინი გაოგნებით მისჩერებიან ქვეყნიერებას. მოდილიანი იშვიათი გამონაკლისის გარდა, სულაც არ ხატავდა თვალებს. ოვალურ, ოდნავ დამრეცილ სახეზე ის ორ ფერად ლაქას დაადებდა, ისიც არაპროპორციულს, აღმაცერს, და ეს იყო ყველაფერი. თუმცა, კაციშვილი ვერ გაიგებს, ხელოვანის რა მაგიური ძალა აძლევს ამ „ლაქებს“ ასეთ გამომეტყველებას!.. ამაღეოს მიერ დახატულ სახეებს რომ უყურებ, გული ტკივილისგან გეკუმშება, იმდენი სევდა, ტკივილი, ტანჯვა და მორჩილება მათში აღბეჭდილი. თვითონ ამაღეოც ამბობდა, ხელოვანმა მშვენიერება ტკივილით უნდა განიცადოსო. იგი მხოლოდ მაშინ ხატავდა „სერიოზულად“, როცა განცდას ტანჯვის სიმალემდე აიყვანდა. იქნებ ამიტომ ქმნიდა თავის საკუთარ ჯოჯოხეთს. მკურნალობას რომ ურჩევდნენ, ბრაზდებოდა, თითქოს სიკვდილს ეძებდა. ამბობდა, მხატვარმა ხანმოკლე, მაგრამ ინტენსიური ცხოვრებით უნდა იცხოვროსო...



...და მართლაც, თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე მოდილიანმა უამრავი ნაწარმოები შექმნა. საქმეში ჩახედულ ადამიანთა ცნობით, პირველი მსოფლიო ომის წინ, მარტო ორი წლის განმავლობაში მან სამასამდე სურათი დახატა. სხვა დროს – კიდევ უფრო მეტი, მაგრამ, დანტეს სიტყვებით რომ ვთქვათ, მაინც ცხოვრების შუა გზაზე შემოალამდა.

იმ საბედისწერო დღეს, 1920 წლის იანვრის სუსხიან ამინდში, გვიან ღამემდე პარკში იყო. ბევრი ეხვეწნენ მთვრალ მოდილიანს, წამოგვევიო, მაგრამ გაჯიუტდა და მარტო დატოვეს... თოვლში... ყინვაში...

დილით გათოშილი ამაღეო საავადმყოფოში მიიყვანეს, მაგრამ უკვე ამ ქვეყნისა აღარ იყო.

– *Cara italia, cara!* – წამოიძახა თურმე სიკვდილის წინ და ვიდრე სული გაეყარა სხეულს, ვილაცის ლექსებს ჩურჩულებდა.

მწუხარებისგან გაოგნებული ჟანა ჰებუტერნი ძლივს ააგლიჯეს „საცოდავი ამაღეოს“ ცხედარს. მერე შინ წავიდა, მაგრამ მშობლებმა უარი უთხრეს მიღებაზე... გამობრუნდა, მეხუთე სართულზე ავიდა, იქიდან გადმოვარდა და ფილაქანს დაენარცხა, ისიც და მისი დაუბადებელი ბავშვიც. ჟანა მაშინ მეორე შვილს ელოდა ამაღეოსგან და მეცხრე თვეში იყო გადამდგარი...

ის უბედური „სტუდენტი გოგონაც“ მალე მოკვდა დარდისგან...

ვინ იცის, იმ ტრაგიკულმა ამბებმა, თუ რაღაც სხვა გუმანმა მთელი ლათინური კვარტალი შეძრა. ამაღეოს დასაფლავებაზე ზღვა ხალხი მოვიდა... მის კუბოს ყვავილებს უფენდნენ.

ასე შედიოდა მკვდარი ამაღეო უკვდავებაში...

ლათინური კვარტალი თითქოს დაცარიელდა... მეგობრებმა მოდილიანს „მონპარნასის უკანასკნელი ელევანტური წარმომადგენელი“ უწოდეს. იგი, მაშინ, ოცდათექვსმეტი წლისა იყო. ამაღეოს არ უყვარდა, როცა ეკითხებოდნენ, რამდენი წლისა ხარო. მაგრამ თუ არ მოეშვებოდნენ, პასუხის ნაცვლად ბოდღერის დღიურიდან ამოკითხულ სიტყვებს შეახსენებდათ:

– ჩემზე ამბობენ, ოცდაათი წლისააო, მაგრამ მე თუ ყოველ წუთში სამ წუთს ვცხოვრობ, რატომ ოთხმოცდაათისა არ ვიქნები?!

მართლაც! ამაღეო მოდილიანი ისეთი ინტენსიური შემოქმედებითი ცხოვრებით იცხოვრა, რომ ოცდათექვსმეტისა კი არა, რატომ ასზე მეტისა არ იქნებოდა!..

ან თუნდაც ჩვენი „საწყალი ნიკალა“, ისეთივე ბედუკულმართი ცხოვრება რომ ჰქონდა, როგორც იმ „საცოდავ ამაღეოს“.





მანანა გოგიშვილი დაიბადა 1948 წლის 1 სექტემბერს, თბილისში. 1974 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მუსიკა-ფილოლოგიის ფაკულტეტი. მიღებული აქვს უამრავი დიპლომი და სიგელი კეთილსინდისიერი მუშაობისთვის განათლების სფეროში.

მანანა გოგიშვილი

ჩვენი თანაქალაქელი – გარი კუნცევი

2014 წლის 6 ნოემბერს, თელავური შემოდგომის ლამაზ, მზიან დღეს, ქალაქის ცენტრში, მეფე ერეკლეს მოედანზე, მრავალსართულიანი სახლის კედელზე, ქალაქის მესვეურთა მიერ გაიხსნა მემორიალური დაფა წარწერით:

„ამ სახლში ცხოვრობდა ხმის რეჟისორი, დრამატურგი და პუბლიცისტი გარი კუნცევი“.

ქართული კინოს მოყვარულთათვის ცნობილია ეს სახელი და გვარი; კადრს მიღმა მოფუსფუსე, თავის საქმეში უზომოდ შეყვარებული ხმის კინოოპერატორი, რომლის პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული ფილმის ხარისხი და წარმატება.

დიახ, გარი კუნცევი თელაველია, სატახტო ქალაქში დაბადებული და გაზრდილი, თბილისში კი რაინდად დაკაცებული. მისი შინაგანი ინტელექტი და მრავალმხრივი განათლება ყველას ანცვიფრებდა: დახვეწილი მოქართულე, საინტერესო, ემოციური მოსაუბრე. საქმეში პროფესიონალი, პატრიოტი, უღალატო მეგობარი, ცოლ-შვილის მალმერთებელი კარგი მეუღლე და მოსიყვარულე მამა. ახლობლებისგან კი დიდი სიყვარულისა და პატივისცემის მიმღები. ამაზე მეტი, ცხოვრებაში, მოკვდავს რა რეგალიები სჭირდება?!

ასეთი ღვანლმოსილი კაცი დადიოდა ქალაქში კრძალვით, მორიდებით, ღირსებით. მას განსაკუთრებული სითბოთი და პატივისცემით უყვარდა თელავი და თელაველები. გარდაცვალება ისურვა თელავში და აქვე აღესრულა კიდეც. ლამაზად და ალალი ცრემლით გააცილა თელავის საზოგადოებამ მარადისობის გზაზე „კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს“, ქვეყანას, ქართულ კინოს.

სულით ძლიერი ადამიანების თვისებაა – იარო ცხოვრების წრელ გზაზე, სიკეთე, სიყვარული თესო და არ გაბოროტდე.

მისი შრომისმოყვარეობა გადამდები იყო და ამ

თვისებამ მის შვილებშიც იჩინა თავი. ვაჟიშვილმა, ვახტანგმა საინტერესო ფილმი უძღვნა ამაგდარი მამის ხსოვნას.

თელავის კულტურის სამსახურის თანადგომით, აღნიშნული ფილმის ჩვენება – პრეზენტაცია ჩატარდა სამუსიკო სასწავლებლის გემოვნებით გაფორმებულ დარბაზში. ფოიეში უნიკალური ფოტოები იყო გამოფენილი. კინოჩვენებას ესწრებოდნენ კულტურის მოღვაწენი და ქართული კინოს ბერძენა – რეზო ჩხეიძე მეუღლითურთ. გამომსვლელებმა, გარი კუნცევი, მოგონებებში თბილად გაიხსენეს.

ფილმის ნახვის შემდეგ აღფრთოვანებისა და სიამაყის გრძნობა დაგვეუფლა, რომ ვიცნობდით ამ დიდებულ ოსტატს და მასთან ურთიერთობის სიხარული გვქონდა.

ქართული კინოს წარმატებას ქმნიდნენ პროფესიონალები, თავის ქვეყანასა და საქმეში ფანატიკურად შეყვარებული ნიჭიერი ადამიანები. ქუდბედიანი დაბადებულია გარი კუნცევი, რადგან წარმატებით მუშაობდა მსოფლიოს საუკეთესო რეჟისორებთან და უამრავი ჯილდოს მფლობელი გახდა. მისმა უბადლო ნამუშევრებმა მოხიბლა კინოხელოვანნი და მაყურებელთა ფართო აუდიტორია.

გარის სული მისი გახმოვანებული ფილმების თანამდევია, რაც კინოჩვენებისას შევიგრძენით – მისი სული გვეფერებოდა, მარტოს არ ტოვებდა აცრემლებულ მეუღლეს, შვილებს, მეგობრებსა თუ კოლეგებს.

სამშობლო ამაყია იმ ერის შვილებით, რომელთა უმთავრესი მოვალეობაა საკუთარი თავის შეცნობა და მიწიდან ცამდე სავალ გზაზე სწორად სიარული.

ბედნიერებაა იცხოვრო ისე, რომ მარადისობაში გადასვლის შემდეგ ასეთ პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებდე.



„საბავშვო ქრისტიანული ლექსების“ წარდგინება

ამა წლის 1 ივნისს საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულმა ახალგაზრდობისა და ინტელექტუალური განვითარების ცენტრმა (ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარი) უმასპინძლა ქართული ქრისტიანული პოეზიის ატომეულის III ტომის – „საბავშვო ქრისტიანული ლექსები“ წარდგინებას. პროექტის ხელმძღვანელია ლია დაუშვილი, პროექტის ავტორი და შემდგენელი-რედაქტორი აკაკი დაუშვილი, კოორდინატორები: გივი ჩიღვინაძე და ანა ერისთავი.

ატომეული ისტამბება ქარელის წმინდა ნიკოლოზის სახელობის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახურის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის – მამა ილია ჩიკვაიძის ლოცვა-კურთხევით.



ქეთევან დოლიძე



მზია ჩხეტიანი და ლია დაუშვილი

ქართული ქრისტიანული პოეზიის ატომეული გამოცემა ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის „წმინდა ნინოს ჯვარი“ ფარგლებში.

I ტომი „ეკლესია-მონასტრები ქართულ პოეზიაში“ დაისტამბა თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის თანადგომით, II ტომი „ანგელოზი ქართულ პოეზიაში“ გამოიცა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით. განსაკუთრებული სიამაყით გვინდა აღვნიშნოთ, რომ III ტომი – „საბავშვო ქრისტიანული ლექსები“ დაისტამბა თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტის (მერი ბატონი პლატონ კალმახელიძე) თანადგომით.

სალამო გახსნა, პროექტის ხელმძღვანელმა, ლია დაუშვილმა, რომელმაც თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა ავტორებს, ხოლო ფინანსური დახმარებისთვის თელავის მერიას.

სიტყვებით გამოვიდნენ პოეტები: მზია ჩხეტიანი, ქეთევან დოლიძე, ანა ერისთავი, მამუკა დემეტრაშვილი, მაია დიაკონიძე და სხვანი.

გთავაზობთ რამდენიმე ლექსს კრებულიდან – „საბავშვო ქრისტიანული ლექსები“.



აღფგომა

გაიდვიძეთ ყმანვილებო,
ნამოდექით მარდათ, ცქვიტად,
შემოსძახეთ უმანკო ხმით
„ქრისტე აღსდგა ჭეშმარიტად“.

რა ხანია თქვენ ფანჯრის წინ
პანანინა ჩიტი გალობს,
თქვენს ადგომას ელოდება
და კუსკუსით დაცქრიალობს.

გევედრებათ, მეგობრებო,
გამოაღეთ ფანჯრის კარი,
თქვენთან ერთად მიინდა ვაქო
და ვადიდო მაცხოვარი!

მაცხოვარი, ვისმა გულმაც
ქვეყნათ ყველა შეიყვარა;
ობლებს კვერი გამოუცხო
და ჩაგრულნი გაახარა!

ნახი თარგამაძე

ჩვენი ღმერთი

– უცებ მიპასუხე,
არ დაფიქრდე, ქეთი,
საქართველო ჩვენი
რა ფერია? –
თეთრი!
– რატომ, თეთრი, ქეთი?
ამიხსენი ერთი.
– ყველა ფერზე უფრო
ლამაზია თეთრი.
იმიტომ, რომ თეთრი
არის თავად ღმერთი.
ღმერთი არის ერთი,
საქართველოც ერთი
და ორივე ერთად
არის ჩვენი ღმერთი!
რა ვქნა, ასე ვხედავ,
სხვანაირად ვერ ვთქვი.

თინათინ ჩალაური

დაიხსომე ჰაჭარავ!

სამშობლო გაქვს ერთადერთი,
ერთი ღმერთი, ერთი რწმენა,
დედაც ერთი,
მამაც ერთი,
ერთადერთი დედაენა.
მაცდურიც გყავს
ბევრზე ბევრი,
მოშურნე ხომ უთვალავი,
მარჯვნივ – მტერი,
მარცხნივ – მტერი
ბოროტი და ავზე ავი.
დაიხსომე,
შენც ერთი ხარ,
და შენ უნდა ასახელო
დედა, მამა,
ერი, ღმერთი,
ერთიანი საქართველო!

სამშობლო

– მამი, მამული რას ნიშნავს?
მამი, სამშობლო რა არის?
მამული მხოლოდ მიწაა,
ბარია ანდა მთა არის?
– სამშობლო, შვილო, ღმერთს შემდეგ
არის ყველაზე მთავარი.
– მამი, თვით ღმერთი რა არის?
მამი, უფალი ვინ არის?
– შვილო, უფალი მზე არი,
ჩქამი უჩქამო მდინარის,
ბალახის სუნთქვა, პირიმზე,
შროშანი პირმოცინარი,
სამყაროსავით ბებერი,
მაინც უმანკო ბაღლია,
იგი შუქია დიადი,
დღეს რომ გვიმზევებს თალხიანს,
ყველას ერთნაირ უშუქებს
თვალდაშრეტილს და თვალლიას...
მამული წმიდა მიწაა,
სად მამა-პაპა მარხია...
სამშობლო ამ სამყაროში
შენი ჭერი და სახლია.

მარიამ ნიკლაური

მფარველია უფალი

ღვთისკენ სავალ ბილიკებით
გველოს, ჩემო პატარავ,
სიკეთისთვის გინათებდეს
ვეება მზე ცხრათვალა.
გაზრდილიყავ ზნეკეთილი,
გაგეშალოს ფრთებიო,
სიყვარულით მოგექარგოს
წუთისოფლის გზებიო.
უფლის თვალი გიფარავდეს,
ქვეყნის გასახარადა!
შენს სამშობლოს გაეზარდე
იმედად და ფარადა!

მთვარისა ჭყობიძე

ღმერთი ძალას მომეცემს

მე, პატარა მარიამმა,
ლექი ვიცი, ბევრი,
ციკვაც ვიცი, ხატვაც ვიცი,
და კარგადაც ვმღერი.

ახლა ვსწავლობ გალობას და
წმინდანების ლოცვებს,
იმედი მაქვს, მამა ღმერთი
ღვთიურ ძალას მომეცემს.



შვილის ვალო

აგერ ჩვენი ყველანმინდა,
 ნიკორნმინდა, ნინონმინდა,
 მეც კურცხალი სიხარულის
 ღაპალუპით გადმომცვივდა.
 აქეთ წმინდა გიორგია
 იქით – წმინდა მარიამი,
 დილის მზეში გახვეული,
 სულ ოქროს ცვარ-ნამიანი.
 მე თავს ვუხრი წინაპართა
 ხელით ნაგებ ტაძარს ყოველს,
 ნათლის მთოველს –
 სვეტიცხოველს,
 კვირაცხოველს,
 ძელიცხოველს...
 ჯერ სად არის, თავად ნახავთ,
 თუ ვარ საქართველოს შვილი,
 ჩვენს ტაძრებს და
 ციხე-კოშკებს
 სულ ფეხდაფეხ შემოვივლი.

ნუნუ კამუკაშვილი

მთის და ბარის სალოცავი

მთის და ბარის სალოცავი
 ჩვენს წინაპრებს ულოციათ,
 ხელში გუთნით შეხვედრიან
 მოციმციმე ცისკრის ციაგს!..

რწმენა ჰქონდათ დიდი უფლის
 და სიმართლე ჰქონდათ ფარად...
 ღვთისმშობელმა საქართველო
 იმიტომაც დაიფარა.

რადა ლალოზ, უფლის ჩიტო?!

– რადა ლალოზ, უფლის ჩიტო,
 რად ჭიკჭიკებ, რადა მღერი?!
 – დილით ბიჭი დაიბადა,
 ასახელოს უნდა ერი!
 მამულს რწმენით ემსახუროს,
 ღვთიურ სიტყვას მისცეს ფასი,
 სიყვარული ჰქონდეს მუდამ
 ჯერ ღმერთის და მერე კაცის.

ნინო ტარყაშვილი

ბავშვის სიზრძნე

– იცი, უფალი
 რამხელაა?
 ჰკითხეს ბიჭუნას.
 ბავშვმა სირთულით
 კითხვა სულაც
 არ დაიწუნა:
 უთხრა: – ისეთი
 დიდია რომ
 სამყაროს იტევს,
 და ჩემს პატარა,
 სათუთ გულში
 ეტივა კიდეც.

ვაჟა სორნაული

ეკლესიის მშენებლები

ჯურხამ ლამაზქოჩრიანმა,
 შავტუხა და შავთვალამ,
 მოიტანა ქვა და თიხა,
 ხისგან ჯვარი გათალა,
 მერე ბექაც დაეხმარა,
 ცელქი და კაფანდარა
 და წყაროსთან ააშენეს
 ეკლესია პატარა.



**ქრისტიანული პოეზიის V ფესტივალი
„წმინდა ნინოს ჯვარი“**

ფესტივალი ჩატარდება 2015 წლის სექტემბერს – თბილისში.
თითოეული ავტორისაგან მიიღება ერთი გამოუქვეყნებელი ლექსი 2015 წლის 30 ივნისის ჩათვლით
ელექტრონულ მისამართზე

festivali2011@yahoo.com

festivali 2011@ mail .ru

ლექსს უნდა ერთვოდეს ავტორის სახელი და გვარი, ბინის მისამართი და ტელეფონის ნომერი.

საფესტივალოდ დაიბეჭდება საუკეთესო ლექსებისგან შედგენილი კრებული.

3 გამარჯვებულს გადაეცემა ფესტივალის მთავარი პრიზი – წმინდა ნინოს ჯვარი.

ფესტივალის 5 მონაწილე დაჯილდოვდება პრიზით – წმინდა ნინოს ჯვრის მედალიონი.

ტელეფონი: 555 46 44 29.

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტი

ღმერთი ქართულ პოეზიაში

გამოსაცემად მზადდება ქართული ქრისტიანული პოეზიის ანტოლოგიის IV ტომი – „ღმერთი ქართულ პოეზიაში“. გთხოვთ ლექსები გამოგზავნოთ ელექტრონულ მისამართზე ამა წლის 30 ივნისის ჩათვლით

festivali2011@mail.ru

უკვე დაისტამბა I ტომი – „ეკლესია-მონასტრები ქართულ პოეზიაში“, II ტომი – „ანგელოზი ქართულ პოეზიაში“, III ტომი – „საბავშვო ქრისტიანული ლექსები“.

ანტოლოგიის გამოცემა ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის „წმინდა ნინოს ჯვარი“ ფარგლებში.

ტელეფონი: 555 46 44 29.



მხატვარი
ვახტანგ (ვატია) დავითაშვილი
(1946-2000)

